



№ 2 // 2022

ლიცენზიანული –  
სამსახურის მიერ გამოქვეყნილი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელიშვილი

კომიტეტის უზრუნველყოფა  
მარინე სიყმაშვილი

---

აუტორი გამოიცის  
საქართველოს კულტურის, სპორტისა და  
ახალგაზრდობის  
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს  
კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com  
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

# სარჩევი

კროზა		60
ქეთი იმერლიშვილი	3	55
ნანი მანველიშვილი	7	
		68
კოეზია ბექა ახალაია	10	
		77
კროზა		
ნინო დილმელაშვილი ჩემი ერთადერთი სიყვარული	15	
კოეზია მურად მთვარელიძე	49	
ბრიტისა-ცეცისტისა		
ამირან გომართელი ლუკა ბაქანიძის		
უწვეულო ხუთეული		
ლალი ავალიანი „დავიწყების შიში“		
ავთანდილ ნიკოლეიშვილი ქართველ მუჭაჯირთა ტრაგიკული ხვედრი		
ახალი თარგმანები		
შერვუდ ანდერსონი		
ამბავი კაცისა ინგლისურიდან თარგმნა		
რუსუდან მახათაძემ		

## ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
ურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე  
განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ  
ბიბლიოთეკა „იურილში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

# ქეთი იმერლიშვილი



## ჩრდილობინი ველი

იბადება. მტკიცნეულ პროცესს გა-დის. ყველაფერს გრძნობს. კუნთები ერთიანად დასჭიმვია და ახალ სამყაროსთან შესახვედრად ემზადება. აქეთ-იქით ეხეთქება, რომ ნაჭუჭისმაგვარი კედლები გაარღვიოს და ვაკუუმიდან გავიდეს. ყურებში სისხლის მოძრაობის ხმა ჩაესმის, ნაკადულივით უჩქეფს. ვე-რაფრით გაუგია, უცნაური ხმები საიდან წარმოიქმნება. კედლები თანდათან ბზარებს იკეთებენ. ისე, როგორც ჭე-ქა-ქუხილისას ცა გრაგნილებს იმჩნევს ხოლმე. სხეულზე შემოხვეული დამცავი აპი წელვადობას კარგავს და იხევა. ტკაცუნის ხმა ესმის, შემდეგ დაშლის. დახურულ სივრცეში გრილი ჰაერი აღ-ნევს. შიმველ სხეულს ცივად ხვდება და აკანკალებს. დროებით სამყოფელს ტოვებს. მზე დამაბრმავებელ სხივებს დანისლულ თვალებზე ნამის სახით აწ-ვეთებს და მალიმალ ახუჭინებს. ფილ-ტვები ეხსნება, უანგბადნარევ ჰაერს სუნთქავს და შოკისმომგვრელი სიახლე ახალგამოჩეკილი ბარტყივით ჭყივილს აწყებინებს. სხეულიდან ამოსული ხმები პირველად ჭრიან გარემოს და ირ-გვლივ გაურკვეველ ბგერებად იფანტე-ბიან.

დაბადების ადგილი – დედამინა.

სახელი – მინის კაცი.

დრო – გაზაფხული. მზის ამოსვლის უამი.

მინის კაცი დრეკადი ტოტია, დღი-თიდღე იზრდება. დაბინძურებული გა-რემო მის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის, ჯერჯერობით ყველაფერს იტანს. სანამ გახევებას დაიწყებს, წინ დიდი გზაა. დამოუკი-დებლად ნაბიჯების გადადგმას ეჩვევა. ლაპარაკი არ ხიბლავს. უფრო მეტად დამკვირვებელია და ფიქრის პროცესი იზიდავს.

სადღაც შორს მინის კაცისთვის სცენას აშენებენ. წარმოდგენა არ აქვს, რომ ასეთი სცენები ყველა ადამიანს აქვს, სადაც დროდადრო თავის წარმ-ჩენა უწევთ.

გაყინულ ქალაქში, მისთვის უხილავ ნაპირზე, თოვლი დევს. ბოლოში დიდი ხე მოჩანს. მუხასავით გაშლილი, ბევრი ტოტებით. თოვლი სუფთაა, ლაქები არ ადევს.

მინის კაცს ნაკვთები ეცვლება, გა-დასხვაფერებას იწყებს. საკუთარი ოთახის ფანჯრებს ფართოდ აღებს და ერთმანეთში ახლართულ ბილიკებს გასცექრის. მათი გამოცალკევებისგან

თავს იკავებს, სამუშაო იარაღებს იმარჯვებს და ახალი ბილიკების გაკვალვას იწყებს.

მინის კაცს გაზაფხულის პერიოდი ენურება, გარემოცვა ნაქსოვივით ერლვევა, კომფორტის ზონიდან გადის და ხელში შეჩეჩებული ცარიელი ტომრით ზაფხულს უახლოვდება.

პლანეტები ბრუნავენ, არ ჩერდებიან.

### ზაფხული:

მინის კაცს აქტიური პერიოდი უდგას. გამოცდილების მოსასხამისთვის თარგებს ქმნის და სცენაზე ასასვლელად ემზადება. იცის, რომ ნელ-ნელა მაყურებელი უგროვდება და მისგან კონკრეტულ სიტყვას ელის. პირველი წარმოდგენისთვის საგულდაგულოდ არჩევს დროს, როლს, კოსტიუმსა და გრიძს.

ის დღეც დგება. ხალხით გადაჭედილი ღია სივრცე მის გამოსვლას ელის.

მინის კაცი განიცდის. ხელის გულები უოფლიანდება და გული გაორმაგებით უცემს. თავს აიძულებს პირველი ნაბიჯი გადადგას. ფეხს მთვრალი კაცივით ურევს და სცენის შუაგულისკენ ბარბაცით მიინევს.

უზარმაზარი აუდიტორია აპნევს. აღარ ახსოვს სათქმელი. არც ის, ასეთ დროს როგორ უნდა მოიქცეს, მაგრამ მაინც იწყებს როლის თამაშს. ცუდად გამოსდის...

მაყურებელი უკმაყოფილოა. წარბებს კრავს და არ ერიდება უკმერქებელებს. მინის კაცს ყველაფერი ესმის, მაგრამ სცენაზე დგომას მაინც აგრძელებს.

აღარავინ უსმენს. იმედგაცრუებული ხალხი იქაურობას ტოვებს.

მინის კაცს სული ეხლინება. სცენის კიბეებიდან დალონებული ჩადის და თავდახრილი სადღაც მიმაღვას ცდილობს.

- პირველ ტკივილს გილოცავ! -

თეთრწვერა მოხუცი ღიმილით აჩერებს და სახეში მისჩერებია.

მინის კაცი გაოგნებულია. არ იცის, რა უპასუხოს. თვალებს უსწორებს და მისი ღიმილი ნერვებს უგლეჯს.

მოხუცი უდრტვინველად დგას, კიდევ რაღაცის თქმას ცდილობს, მაგრამ მინის კაცი სიბრაზეს ერევა და გვერდს უქცევს.

ბერიკაცი თვალს აყოლებს და კვლავ ელიმება.

მინის კაცს ფიქრები ტვინს უდუღებს და მომდევნო წარმოდგენისთვის ძალებს იკრებს, რომ დღევანდელი მარცხს წარმატება დაუპირისპიროს.

თეთრს შავი ცვლის, შავს – თეთრი. წარმოდგენებს თანდათან ხვეწს. ხალხი ტაშს უკრავს. თავადაც კმაყოფილია.

ხევდება. მისი მართვა უწინდებურად მარტივი აღარ არის.

დღის ბოლოს, სხვების მსგავსად, ცოდვათა სახლისკენ მიდის. გრძელრიგში დგება, ტომარას გვერდით დგამს და, ვიდრე მის სახელს დაიძახებენ, სხვების ტომრებისკენ აპარებს თვალს. ყველას სხვადასხვა წონისა და ზომის ტომარა აქვს. ზოგისას გაფუჭებული თევზის სუნი ასდის. რაც უფრო მყრალია რომელიმეს ტომარა, მით არ ცხრება ზურგს უკან საუბრები.

მინის კაცს ხშირად უმართლებს – მის ტომარას ბევრს არაფერს უმატებენ. არ ყარს და საზიდადაც არც თუ ისე მძიმეა.

ძილის წინ ტომარას საწოლთან აყუდებს, წვეპა და დღის ამბებს აჯამებს. შემდევ ღამე გონებას უკეტავს და დროებით ყველას და ყველაფერს ეთიშება.

მინის კაცი ხვდება, რომ ყველაფრის მიმართ უცხოვდება და თავს მარტოსულად გრძნობს. არსებული გარემო მოძრაობის არეალის გაზრდისა და ფართომასშტაბიანი სვლებისკენ უბიძგებს. ჩარჩოებიდან გამოდის და პერიოდულად დროსა და სივრცეში უჩინარდება.

სამყაროს მატერიალური ფასეულობებისგან გამოჰყოფს და გაფილტრული სახით შეიგრძნობს. ასე გაცილებით მარტივად უახლოვდება თავისუფლებას.

მიწის კაცი ოჯახის წევრებს დროებით ემშვიდობება და სამყაროს შეცნობის გასაგრძელებლად მიდის. ახლა, როცა კონკრეტული სახლი აღარ აქვს, ბუნებისგან ნაშენებ სახლში აფარებს თავს. ბალახებზე გართხმული საბაზ ზეცას იფარებს და დედამიწის სურნელში ღრმად ჩაძინებული ფშვინვას იწყებს.

ზოგჯერ ღია ცის ქვეშ ყოფნა და მარტო დარჩენა ეზედმეტება, მატერიალურ ორმოებს უბრუნდება, საკუთარ სურვილებს სიტუაციების მართვას უსადაგებს და ცხოვრების დინებას ხან ჩქარი, ხან ნელი რიტმით მიჰყება.

მიწის კაცი მოგზაურობს. ათასი რკულისა და ნირის ხალხს ხვდება. უამრავ აუთვისებელ სივრცეს ხედავს. მიზნად მოგონებების შეგროვებას ისახავს და გონებაში მუზეუმს ქმნის. ერთადერთი, რაც მოგზაურობების სერიებიდან არ მოსწონს, სხვადასხვა ხალხის მიერ მოგონილი წესები, შემოსაზღვრული ტერიტორიები და დაწესებული ზღვრებია. ზღვრებსა და აკრძალვებს მიწის კაცი ვერასოდეს შეეგუება.

ღია ზღვაში ამოვარდნილი ქარიშხლები მის ხომალდს სხვის ხომალდებზე ხშირად ახეთქებენ, მაგრამ ბრძოლები სიცოცხლეში ისევ სიცოცხლით აჯილდოებენ.

პლანეტები ბრუნავენ, არ ჩერდებიან.

### შემოდგომა:

მიწის კაცს სიმწიფის სეზონი უდგას. ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად წარსული დღეებიდან მოსავალს იმკის. ხანდახან ერეტიკული აზრები უტევენ, მაგრამ იცის, როგორ გაუმჯლავდეს.

ხვდება, რომ სახლში დაბრუნების

დროა. ყველაფერს ამთავრებს და ოჯახის წევრებს უბრუნდება. შეცვლილია და მათთვის გაუგებარ ენაზე საუბრობს. გარშემო უვლიან და უცხოსავით უყურებენ. ბოლოს ეგუებიან, ისეთად იღებენ, როგორიც არის.

მიწის კაცს ყველა დედამიწელთან შეუძლია ურთიერთობა. ამაში წარსულში შესრულებული როლები ეხმარება, მაგრამ უმტეს შემთხვევაში ნამდვილ ადამიანად დარჩენას ცდილობს. თავისინაირი ორი მეგობარი ჰყავს, საკმარისად მიიჩნევს.

ფოთლები ცვენას იწყებენ.

პერიოდულად ასაკი ახსენებს თავს და ავადმყოფობებით იტანჯება. გახევებული სხეული გამოფიტვას იწყებს, თუმცა მედგრად უდგას, არაფერი აშინებს. იცის, რომ გარდაუვალია.

საცხოვრებლად ტბის პირას აშენებულ ხის სახლში გადადის. ნაპირთან ჯდომა უყვარს, მშვიდად შესცერის შემოდგომის ფერებით მოტანილ მოსავალს და წინ დახვავებულით ტკბება. ფიქრები ცისკენ იწყებენ მოგზაურობას და ღრუბლებს ეკვრიან. სახლის სარკმლიდან საყვარელი ადამიანების ხმა ისმის. ვანილიანი ვაშლის ღვეზელისა და შავი ჩაის სურნელი ბავშობისდრო-ინდელ კადრებს უცოცხლებს.

მოგონებები...

მიწის კაცი ხშირად სტუმრობს სახლთან ახლოს, ტყის სილრმეებს. ხეებიდან მოწყვეტილ ფოთლებს შრიალი გააქვთ და ხალიჩებად იხატებიან. ატკიებული სახსრები ვერ აჩერებს, დახეტიალობს და შემოდგომის სურნელს ღრმად ისრუტავს. დრო სწრაფად გადის. სალამი მუქი სამოსით უახლოვდება და მუჭით სიცივე მოაქვს.

– მიწის კაცო! – ექოსავით ესმის ხმები.

მიწის კაცი უკან იხედება და ჰიონტიზე უკან დადევნებულ მეგობრებს, წყლისა და ჰაერის კაცებს ლანდავს.

– აქეთ! აქეთ! – ხელებს უქნევენ და

მიანიშნებენ, უკან დაბრუნდეს.

მიწის კაცს მეგობრების დანახვა უხარია, მათკენ სვლას იწყებს და სა- ხეზე სიხარულის ნაპერწკალი ენთება.

შეციებულ მეგობრებს ბუხარში ცე- ცხლს უნთებს და მასპინძლობს.

დროებითი ლხინი მიწის კაცის ბუ- ხარში ჩასაქრობად გამზადებული ცეც- ხლივით იპარება და კვლავ სიცივე და სიჩუმე ისადგურებს. გვიან შემოდგო- მას ახასიათებს, ვერაფერს გააწყობს...

პლანეტები ბრუნავენ, არ ჩერდებიან.

### ზამთარი:

მიწის კაცს ჯანმრთელობა ტან- საცმელზე დამაგრებული ღილებივით სწყდება და ეკარგება. თანდათან გამ- ხმარ, გამოფუყულ ხეს ემსგავსება.

მისი ხმა აღარავის ესმის, ვეღარავის აგონებს.

რახანია აღარც წარმოდგენები გაუ- მართავს. მისი როლები მივიწყებას ეძ- ლევა.

ლოგინს ეჯაჭვება და ერთ წერტილს მიშტერებია.

ახლო წარსული ჩამოშლილი შენო- ბის ფრაგმენტებად შემორჩა.

მკაცრი ზამთრის ქარები ფანჯრის მინებს ასკდებიან და ოთახში ღრიალით შეხეთქვას ლამობენ.

დაჩიავებული მიწის კაცი უკანას- კნელ ძალ-ღონეს იკრებს, საწოლიდან

დგება, ტომარას იკიდებს, სახლს ტო- ვებს და ტყისკენ მიდის. გზას უკანმო- უხედავად აგრძელებს და ყინვას ეგე- ბება.

— მიწის კაცო, დაბრუნდი! — წყლი- სა და ჰაერის კაცები მის შეჩერებას ცდილობენ, მაგრამ ამაოდ, მიწის კაცი ყურს არ ათხოვებს და ყინვას მიჰყვება.

მეგობრების ხმა იკარგება. ქარი დგება. მიწის კაცი გაყინულ მდინარეს- თან მიდის. ირგვლივ გაყინული ქალა- ქია, გაყინული ქუჩებით, სკვერებითა და სახლებით. არავითარი ჩქამი! მდუ- მარება სუფევს.

მიწის კაცი გაყინულ მდინარეს კვეთს და თოვლიან ნაპირზე გადადის. ნაპირის იქით დიდი ხეა. მისია... წინ მი- იწევს და თოვლიან ნაპირს ნაფეხურებს ამჩნევს. ტომარა თოვლზე ლაქებს ტო- ვებს. ჩრდილებიანი ველი იქმნება.

მიწის კაცი ხესთან მიდის, თავს მაღლა სწერს და მხედველობაშელა- ხული თვალებით ტოტებს შეჰყურებს. მზე ჩადის. ლოდინით დაღლილი უკა- ნასკნელი ფოთოლი ყუნწიდან წყდება და მხარზე ეცემა. უცნაური შეგრძნე- ბა ეუფლება. სხეული უცივდება, მიწად შეკრული სხეული ნელ-ნელა ეფშვნება და მტვერივით კოსმოსში იბნევა.

ჩრდილებიან ველზე მხოლოდ ლაქე- ბი და ნაფეხურებია!..

პლანეტები ისევ ბრუნავენ, არ ჩერ- დებიან...

# ნანი განველიშვილი



306

სახლებში სულები ცხოვრობენ. სახლებს არ ტოვებს ფუძის ანგელოზი. როგორც კი შენებას დაიწყებ, ყოველი ქვის ნათალზე ჯდება, აკურთხებს. მძიმე საქმეა ფუძისანგელოზობა და მერე მარტო ჩამოჯდომაც რომ არ ჰყოფნის? უნდა დაჯდეს და ილოცოს: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდი-სათა“. ვისაც ყური უჭრის, ყველას ეს-მის ფუძის ანგელოზის ხმა. ამას მთაში ამბობდნენ და მერე ჩვენთანაც.

როცა პირველად კიბეებზე დაგვორდი, მაშინ მივხვდი, ჩემი სახლის საფეხურები სხვანაირად მტკითადა. არსად სხვაგან – არც სკოლაში, არც ბაღში ასეთი მტკივნეული არ ყოფილა კიბის საფეხურზე ჩამოკიტრიალება.

მერე ის სახლი დაიწვა. მე ქალაქში წამოვედი სასწავლებლად და ოცდახუთწლამდე შემოვრჩი. იმ სახლს, სადაც მე და ნუცა ვჩერდებოდით, შეღუული კედლები და ვინწრო სადარბაზო ჰქონდა. ის კიბეებიც იკბინებოდნენ, მაგრამ სხვანაირად.

ოცდახუთისას შემიყვარდა თავდა-  
ვიწყებით. რუსთაველის პროსკეტის  
ხელიხელჩაკიდებული მიღუცებოდით,  
თეთრი ბამბისქულა ნაყინებით ხელში,  
მაგრამ იმას ბეჭდის ფული არ ჰქონდა,  
მამაჩემს - ქორწილისა და მზითვისა.  
ამიტომ, გვირილის ყვავილით დავინიშ-

ნე და როცა ზაგსში, ქალბატონმა ბეჭედი მოგვთხოვა, ჩვენი დაოჯახებული მეგობრების ბეჭედი ვითხოვთ.

ოცდათხუთმეტი წლის ასაკში სახ-  
ლის შენება დავიწყეთ. მაშინ ვნახე  
პირველად ფუძისანგელოზი. ჯერ კი-  
დევ ცარიელი ეზოს შუაგულში ჩამოვ-  
და და ლოცვა დაიწყო. სახლი ცენ-  
ტრიდან შორს იქნებოდა, სამაგიეროდ,  
მთასთან იყო ახლოს. უკვე ვხედავდი,  
როგორ მოვაშენებდი ყვავილების ბალს,  
ჩემი ქმარი კი ვენახზე ოცნებობდა.

გავიდა ნახევარი წელი და ქვა ქვაზე  
აღარ ჩერდებოდა. „სასანული თუ გინ-  
და“ – ასე იწყებოდა ჩემი ქმრის დი-  
ლა. მაშინ სოფლის მოხუცმა გვირჩია,  
შესანირი სჭირდება მთავარანგელოზს  
და გამოიწირეთო. ასეც ვქენით – ჩვენ-  
თან ერთი ეკლესიაა, იქ თუ ფეხშივე-  
ლი ახვალ, სურვილს ჩაუთქვამ და შე-  
სანირს შესწირავ, ღმერთი წყალობით  
გადმოგებდა.

ლამით წავედით. დილით შეგვეშინდა – ვინმეს რომ ვენახეთ, საყვედური არ აგვიჭიდებოდა... ან უფრო მეტი...

გამოენისას ავედით. პატარა ეკლე-  
სია იყო, სადა. დედალი შევწირეთ. მეტი  
არაფერი გვქონდა. გულით კი ვცდი-  
ლობდით ლოცვას, რაც მახსოვდა ბაბო-  
ჩემისგან: „სახელითა მამისათა და ძისა-  
თა და სულისა ნმიდისათა, ამინ! უფალო

იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი. ამინ!“ იმ ღამეს, არ მკითხოთ როგორ, მაგრამ მივჰვდი, ფუძის ანგელოზს არ სურდა ეზოს განაპირა ბზის ტოტებს შევხებოდით. მას მერე ხელი არ მიხლია, არც გაზაფხულზე გავკრეჭდით ხოლმე, არც შემოდგომით. თავისით იზრდებოდნენ – ველურად.

საქმე მეორე დღესვე დაიძრა, ოლონდ მიზეზს ვერსად ვამბობდით. გულში გვიხაროდა. კარგი ორსართულიანი სახლი დადგა.

ორმოცდახუთისას სამი შვილი მყავდა, დიდი ბალი და ორჯერ დიდი ვენახი გვერდა. ხანდახან, შობა დილით, ვხედავდი, როგორ გვიყურებდა შორიდან ფუძის ანგელოზი და მადლიანი ხელით პირჯვარს გვწერდა. თან ყოველთვის აყვავებული ბზის ტოტების უკან იდგა და ჩამოფლეთილ ტანსაცმელს იფარავდა. ყოველ კვირა ღამეს აკანკალებული ხელით სანთელს ვანთებდი ბზის პირზე – ისე, რომ ვინმეს არ დაეწახა.

ორმოცდათხუთმეტისას პირველი შვილი გამითხოვდა. ეზოში დიდი სეფა იდგა. ციდან გუნდებით თოვდა და უფრო მეტი სიცივე იდგა. ცისფერი მოსკვიჩი მიღოდავდა ეზოდან. თან ჩემი შვილი მიჰყავდა. ვტიროდი. რა გამაცინებდა. სეფაში კაცების გნიასი ისმოდა. ქალებს ორთქლადენილი თეფშები ერთი მაგიდიდან მეორეზე გადაპქონდათ. ვეღარ გავუძელი, მეორე სართულზე ავირბინე და ჩემი გოგოს ოთახში ჩავიკეტე. ბალიშებს, ტანსაცმელს ვყნოსავდი, მექებარი ძალივით. „ნივთებში რჩება ჩვენი წილი სიცოცხლე!“ – ჩამესმოდა ყურებში. დაცარიელებულ სახლში პიანინს მივუჯექი და ძველებური ჰანგი ავამლერე:

„მე შენზე ვფიქრობ და თითქოს გხე-დავ

ვფიქრობ და თითქოს დღეა მზიანი..“

სამოცდახუთის რომ შევსრულდი, ჩემი სახლის კიბეებზე ყიურით არ-ბოდნენ შვილიშვილები. „ფრთხილად,

არ წაიქცე, ბაბუკა!“ – მთელ ეზოში ჩემი ხმა ისმოდა. „მოდი, რამე შეჭამე!“ – სათითაოდ დავდევდი. ერთს შაქრიან ნახევარმთვარეს ვუცხობდი, მეორეს – კრემიან ფუნთუშას. ხელები ხან ტალახში მქონდა ამოსვრილი, ხან – თიხაში. ერთად ვხატავდით მზიან პეიზაჟებს. როცა ციოდა, ღუმელს ვანთებდი, ისე გავხურებდი, რომ სახე შემოდგომის ვაშლებივით აბრაწვოდათ. ვისხედით პირდაპირ იატაკზე, როგორც თანატოლნი და ვთამაშობდით. მაშინ მეც მათი ასაკისა ვიყავი ან ცოტა მეტისა.

ფუძის ანგელოზი კი იდგა ბზის ტოტის უკან და ხან ილიმოდა, ხანაც პირჯვარს გვწერდა.

სამოცდათხუთმეტისა მარტო დავრჩი. სახლის ექო მელაპარაკებოდა. თითქოს უფრო მეტი ზამთარი იყო, ვიდრე გაზაფხული. როგორ მინდოდა აქ დარჩენილიყვნენ, ჩემთან. ისევ ეგრძნოთ სოფლის ჰაერი, დედის სახლი. კიბეები ისევ ისე მწარედ იკინებოდნენ. ახლა უფრო ხშირად ვგრძნობდი, დამძიმებული ფეხები როგორ არ მომყვებოდა უახლოეს წყარომდე.

ოთხმოცდახუთისა ვარ ახლა. გარდავიცვალე. ჩემი სახლის ეზოში ვდგავარ ფუძის ანგელოზის გვერდით. სახლში ვერ შევსულვარ. ტრაფარეტი აქვს „იყიდება“ – და ფეხს ვეღარ ვადგამ. შეუსვლელად ვგრძნობ, როგორ აკლდებათ ნივთებს ადამიანის სიყვარული და ცარიელდებიან. სათითაოდ გამოაქვთ სახლიდან ძველი სკამები, აგურისფერი წიგნები და სხვების ცხოვრებაში მიაქვთ.

„ძალიან მომწონს, ოლონდ ცოტას გადავაკეთებ. აქ ყავისფერ შპალერს გავაკრავ აქ უურნალების მაგიდას დავდგამ“ – ტიტინებს ახალგაზრდა ქალი.

ცელს დაყრდნობილი შუახნის კაცი კი ფულს ითვლის. მერე, გასვლისას, ცელს გამოუსვამს ბზის ძირებს. „რა ოხრობად ამოსულა, ვის რაში არგია!“

— გვესმის ჩემი ბიჭის ხმა.

ხვალ ჩვენც მივდივართ. ფუძის ანგელოზი აღარ იღიმის, აღარც პირჯვარს წერს. ფუძის ანგელოზი ცხოვრებაში ერთხელ აკურთხებს სახლს და ლოცვასაც მხოლოდ ერთხელ წარმოთქმამს.

მიტოვებული სახლები ერთმანეთს ჰყავს. გულზე ხელები დაუწყვიათ და ახალ პატრონს ელოდებიან, რადგან ნამდვილმა პატრონმა შუა გზაზე დატოვა.

მიტოვებული სახლები ერთმანეთს ჰყავს. ყური ვისაც უჭრის, ყველას ესმის ფუძის ანგელოზის ხმა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!“

ახლა კარადა ვარ.

ახლა კარადის უკან გადავარდნილი ფოტოსურათი ვარ.

ახლა ჩემს სახლში ჩემი სამახსოვრო ბარათილა ვარ.



## ბექა ახალაია

როცა ვუყურებ აივნიდან დედაჩემს, რომელიც  
სამსახურისკენ მიიჩქარის ყოველდღე, ზამთარ-ზაფხულ  
(ოცი წელია, ტანსაცმელს ჰყიდის ბოშების ბაზრობაზე),  
სულ მახსენდება სევდიანი ეს ორი ისტორია:

პირველი: ერთხელ, ბავშვობაში, თურმე, თამაშობენ  
დედაჩემი და კარის მეზობლის ბავშვები (და-ძმანი),  
ბავშვების მამა, ორი კვირის ნასული ქალაქში,  
გამოჩნდა ამ დროს მოსახვევთან, გაიქცნენ ბავშვები.

- მამაა! – ყვირიან, თან გარბიან მამისკენ მთელი ძალით.
- მამაა! – ყვირილით უკან მისდევს მეგობრებს დედაჩემი,  
განა არ იცის, ის კაცი რომ არაა მამამისი,  
განა არ იცის – მამამისი ჯერ კიდევ მაშინ მოკვდა,  
როცა ის ისევ დედამისის, შვიდი თვის ორსულის,  
მუცელში იჯდა, ხოდა, მამა თვალით არ უნახავს,  
მაგრამ უცნაურ, გამოუთქმელ უინს ჰყავს აყვანილი,  
მისდევს მეგობრებს, მეგობრები მამას ეხვევიან,  
მამაც ეხვევა მონატრებულ შვილებს და ჯიბიდან  
ამოაქვს ბლომად კანფეტი და მათ უყრის მუჭებში,  
იქვე მდგარი დედაჩემისკენ არც კი გაიხედავს...

დგას დედაჩემი, მარტო დგას და ცრემლებს ვერ იკავებს,  
ისინი, ასე ბედნიერები, შინისკენ მიდიან,  
დგას დედაჩემი, მარტო დგას და, დედაჩემს ახსენდება  
შავ-თეთრი ფოტო, ჩარჩოიანი, ფოტოდან მომზირალ  
კაცს, რომელზეც ყველა ამბობს, რომ მამამისია,  
მისთვის არასდროს უჩუქებია კანფეტები,  
სახლშიც არასდროს დაბრუნებულა, ქალაქში ნასული.

მეორე: ერთხელ, ბავშვობაში, სახლის წინ – მზე აცხუნებს – ფეხბურთს ვთამაშობთ მე და ძმაკაცი, სრულიად მარტონი, ამ დროს ფერდობზე, ვხედავ, ჩამოდის დედაჩემი (ქალაქში იყო წასული, რომ ჩემთვის და ჩემი დისთვის ეყიდა სკოლის ტანსაცმელი, აგვისტოს ბოლოა).

– დედაა! – ვყვირი და მისკენ გავრბივარ მთელი ძალით.  
– დედაა! – ყვირის და, ჩემი ძმაკაციც გვერდით მომდევს, მშვენივრად იცის – დედაჩემი არაა დედამისი, მშობიარობას რომ გადაჰყვა, მას როცა აჩენდა.  
მაგრამ უცნაურ, გამოუთქმელ უინს ჰყავს აყვანილი, მომდევს, გავრბივართ, ფეხმიშვლები, ჩაის პლანტაციის შუაში გაჭრილ, ვიწრო ბილიკზე. გამხმარი ვარჯები ტანს გვიკანრავს, მაინც გავრბივართ, რა გაგვაჩერებს.

დედაჩემი ორივეს გულში მაგრად გვიკრავს და ჩანთას გახსნის, ამოალაგებს ნაყიდ ტანსაცმელს, ნაწილს მე მაძლევს, ნაწილს – ჩემს ძმაკაცს, სიმაღლე ერთი გვაქვს და მასაც კარგად მოერგება, ორივეს გვიხარია, თუმცა ვერაფრით ვერ მივმხდარვართ, დედაჩემს რა ატირებს.

როცა ვუყურებ აივნიდან, როგორ მიიჩქარის  
სამსახურისკენ დედაჩემი, ყოველდღე, ზამთარ-ზაფხულ  
(ოცი წელია, ტანსაცმელს ჰყიდის ბოშების ბაზრობაზე),  
სულ მახსენდება სევდიანი ეს ორი ისტორია.

## ბავშვობის სახლი

ბავშვობის სახლი მესიზმრება ხშირად ამ ბოლო დროის, თითქმის ყოველთვის აპოკალიპტურ სიზმრებში ვნახულობ – მთელი ოჯახი იქ ვართ ხოლმე, მამიდაც ჩვენთანაა, ის კი არა, ბებოც და ბაბუც ცოცხლები არიან.  
ზედა სართულის დერეფანში ვდგავართ და ველოდებით რაღაცა ისეთს, რაც ჩვენს სოფელს მიწასთან გაასწორებს –

ზოგჯერ ცუნამი გადაუვლის, ყველაფერს წალეკავს,  
ზოგჯერ ქარიშხალს მიაქვს ხოლმე, რაც არის, ყველაფერი,  
ზოგჯერ მოზრდილი ასტეროიდი ვარდება, ჯოჯოხეთის  
ცეცხლი ტრიალებს. ზოგჯერ, უბრალოდ, გვბომბავენ ვიღაცები,  
და ასე შემდეგ, აპოკალიპტურ სიუჟეტს რა გამოლევს.

ჩვენ ვიკეტებით დიდ ოთახში, დარაბებს ჩავრაზავთ,

როცა ხმაური მიწყნარდება, ვალებთ და დერეფანში  
გავდივართ ისევ – არაფერი, საერთოდ არაფერი  
(არათუ სახლი – ხეც და ქვაც კი) ირგვლივ აღარაა,  
და ვართ მარტონი გავერანებულ იმ მინისამყაროში,  
დგას ჩვენი ოდა – წარლვნის შემდეგ ნოეს კიდობანი.

ბებო ამბობს, რომ ჩვენი ოდის სიმყარეს განსაზღვრავს  
ბუხარი, მტკიცედ ნაშენები უბრალო რიყის ქვებით,  
სწორედ მის გამო ვერ ერევა ჩვენს ოდას ვერაფერი,  
ვერც ცუნამი და ქარიშხალი ვერ ძრავენ ადგილიდან,  
მას აქვს ისეთი თილისმა, რომ ჭურვებს და კოსმოსურ  
საფრთხეებსაც კი უმკლავდება... ბაბუა ამაყად  
გვიყურებს, რადგან მან ააშენა ის ბუხარი, არავინ დაიხმარა,  
თითქოს ისინი ხელს დააკლებდნენ, იცოდა იმთავითვე,  
რომ ოდესმე ბუხრის სიმტკიცე გადაგვარჩენდა.

ჩემს შვილს არ ესმის ეს ყველაფერი, დივანზე თამაშობს,  
მისთვის ბუხარი სითბოს წყაროა, სხვა მეტი არაფერი.  
ბუხრის თავზე კი, სადაც რეალურ ცხოვრებაში,  
გვერდიგვერდ დევს ბებოს და ბაბუს გადიდებული ფოტოები,  
სარკმელია დატანებული, სარკმლიდან ტყე ჩანს.

### წითელი ჯვარი (1993)

რაღაცნაირი შემოდგომაა, ზამთარი გეგონება,  
ერთხელ უკვე ითოვა, თუმცა არ დაუდია,  
არადა, მხოლოდ ოქტომბერია, რა დროს თოვლი იყო,  
მაგრამ ამინდიც ქვეყანასავით აირია,  
როგორც იტყვიან მოხუცები. ცას ხშირად ახედავენ,  
თითქოს იქ, ზევით, ამინდთან ერთად, ქვეყნის მომავალიც  
იკითხებოდეს, მაგრამ ქვეყნის მომავლის კი არა,  
უკვე ამინდის გამოცნობაც აღარ შეუძლიათ.

შვიდის წლის ვარ და რაღაცებს ვხვდები, თუმცა მისახვედრი  
რა არი, ცხადზე უცხადესია ისედაც ყველაფერი.  
კარგად ვიცი, რომ იარაღიან უცნობს თუ დავინახავ,  
უნდა ვერიდო – ვერ გაიგებ, მტერია, მოყვარეა...

ბაგა-ბალი დგას სოფლის ცენტრში, მოზრდილი შენობაა,  
შიგნით ცხოვრობენ აფხაზეთიდან დევნილები.  
მამიდაჩემი თავშეჯდომარეა დევნილთა კომიტეტის,  
კვირაში ერთხელ ცხენს შეაბამს დანჯლრეულ ურიკაში,

წამიყოლებს და ჩამოვივლით მთელ სოფელს კარდაკარ, ვთხოულობთ სიმინდს, ლობიოს... ანუ, ყველაფერს, რაც იჭმევა, თავზე არავის გადასდის, მაგრამ გვაძლევენ უშურველად, ჩვენ ბაგა-ბალში მიგვაქვს, დევნილებს ვუნაწილებთ.

ერთი დღეა და, სავსე ურიკით, აღმართი ავიარეთ, ჩვენს გვერდით, უცებ, გაძეძგილი „ვილისი“ ჩერდება, გადმოაბიჯა ორმა (იმ სხვებს გადმოსვლაც დაეზარათ), გადაკიდებულ იარაღებს ხშირ-ხშირად ისწორებენ...

მამიდაჩემი გარკვევით უხსნის, სურსათი ვისთვისაა... მასოვს, რომ, თითქოს, დაგვიჯერეს, წასვლა დააპირეს, და სწრორედ მაშინ, ზუსტად მაშინ, ერთ-ერთმა დაინახა წითელი ჯვრები, ოთხი ჯვარი, ურიკის გვერდებზე (მამიდაჩემის დავალებით გუაშით მივახატე).

დაინახა და ახარხარდა, მეორეც. გადმოლაგდნენ სხვებიც და აჟყვნენ, იხარხარეს კარგა ხანს, ჩვენ გვეგონა, გადავრჩით, რადგან გავახალისეთ ისინი. სულ ტყუილად, ხელი დაავლეს ჩვენს ტომრებს და „ვილისის“ მისაბმელზე გადაზიდეს, ერთი ტომარაც არ დაგვიტოვეს...

ვიდექით ასე, ვუყურებდით მიმავალ „ვილისს“ და ბოლმა მახრჩობდა, ცრემლს ვყლაპავდი, რა მექნა, არ ვიცოდი... მამიდაჩემმა ჯვრების მიხატვა როცა მთხოვა, დავინტერესდი, რისთვის იყო, რაზეც მიპასუხა, რომ დაგვიცავდა ის ჯვრები და არაფერს წაგვართმევდნენ.

და, აი, სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა, დავაძრე ცხვირსახოცი, დავიხარე და დავასველე ჭუჭყიან გუბეში, მერე მივვარდი ურიკასთან და ჯვრები ჩამოვწმინდე.

## ჰატიმარი

გ-ს

თუ ახალი ხარ, თან პირველად მიგაბრძანეს, თან თუ სინდისი ჯერ არ დაგიკარგავს, წინ კი მთელი ათი წელი იშლება ასე მყუდროდ, ერთფეროვნად, ძილი იშვიათად თუ გამოგივლის, არც შენ უხმობ, დილით ილვიძებ მხოლოდ ლვიძილისგან, ლია თვალებს უფრო ახელ, იხსენებ ერთი გრძელი, უწყვეტი და ცუდი სიზმარივით იმ ეპიზოდებს, მთელი ლამე სწრაფად რომ ცვლიან თავში ერთმანეთს და ძლივს ეწევი, გიდევს

დამძიმებული თავი ბინძურ ბალიშზე და ერთ-ერთ  
თანამესაკნეს, სამლოცველო კუთხის ცოტა გვერდით  
რომ წევს, გახედავ: თავს ისჯის და, ყოველ ღამე, თავქვეშ  
ჩუსტები უდევს ( „- ბალიში რო მდომებოდა, სახლში,  
ცოლ-შვილთან ერთად ვიწვებოდა! ზედმეტია ესეც,  
ქვა უნდა მედოს, მარა, არ მაქვს!“), უყურებ და ფიქრობ,  
ხომ არ აჯობებს, შენც მიბაძო, რამე მსგავსი წესად  
დაიდგინო და მკაცრად მიჰყვე, დაიცვა და, იქნებ,

გიშველოს, თუნდაც სულ ცოტათი. საქმეა, რომ თითო  
საათით – თვალი, მერე თავიც მოიტყუო, ვითომ  
უკეთ ხარ, აღარ გახსენდება საცოდავი დედა,  
ცუდად რომ ხედავს და, თანდათან, უფრო ცუდად ხედავს,  
მაგრამ სათვალეს არ იკეთებს, არ ნებდება, ვინმე  
თუ შეახსენებს, გულში ბრაზობს, თქმით არაფერს იტყვის  
(სულ სხვას ამბობენ ხელმეორედ გასაწმენდი მინა  
და მწვანილის ან ხახვის ჭრისას გასერილი თითი);

იქნებ, გიშველოს სულ ცოტათი. საქმეა, რომ თითო  
საათით – თვალი, მერე თავიც მოიტყუო, ვითომ  
უკეთ ხარ, აღარ გახსენდება მოტეხილი მამა,  
გულის ჯიბით რომ დაატარებს წნევის დამწევ წამალს.  
რაც შუნგირება გაიკეთა, აღარ სვამდა, აღარც  
ეწეოდა და კარგად იყო, მიჰყვებოდა ასე,  
უცებ კი – როგორც დედა ამბობს, ეშმაკმა თუ ნახა –  
ასმაგი ჟინით მიეძალა სიგარეტს და სასმელს;

გიშველოს, იქნებ, სულ ცოტათი. საქმეა, რომ თითო  
საათით – თვალი, მერე თავიც მოიტყუო, ვითომ  
უკეთ ხარ, აღარ გახსენდება უმცროსი ძმა, ის ძმა,  
მეზობლები რომ მოსულელოს ეძახიან. მისი  
დანახვა მუდამ ლიმილს იწვევს, უპოროტოს, მაგრამ  
მაინც ლიმილს და ნერვებს გიშლის ეს ამბავი, თანაც  
მასვე აბრალებ, გეგონება, უხაროდეს, ეგრე  
რომ უყურებენ... ასეთია, ვერ პატიობ ამას;

გიშველოს, იქნებ, სულ ცოტათი. საქმეა, რომ თითო  
საათით – თვალი, მერე თავიც მოიტყუო, ვითომ  
უკეთ ხარ, აღარ გახსენდება ნაკრძალივით ეზო  
(ერთნაირად რომ იხდენს ხოლმე თითქმის ყველა სეზონს),  
ეზოში – ბლოკის დიდი სახლი, ყვავილნარი (კარგად  
მოვლილი), წიფლის ოწინარი, ქვის გვიმი და, ცალკე,  
წყარო... ხო, მართლა, გადაიმტვრა ის ალუჩის ნერგი,  
შარშან, აპრილში, წყაროს უკან, მე და შენ რომ დავრგეთ.

## ნინო დილმელაშვილი



### ჩვენი ერთადერთი სიყვარული

„ის ყოველთვის ამბობდა, რომ თავისუფლება სულის მდგომარეობაა და არა სხეულისა, ამიტომ იმისთვის, რომ ფრენა შეძლო, ფრთები აუცილებელი არ არის“.

მეზიზლება ეს ხმა. უკვე მეორე წელია, ეს ხმა მაღვიძებს და ჯერ კიდევ ნახევრადმძინარე ვაცნობიერებ, რომ საწოლიდან უნდა წამოვდგე. დღეს ჩემი შვებულება დასრულდა, ის შვებულება, რომელიც მანამდე ვერ მივიღე, სანამ სამსახურში გული არ წამივიდა. სწრაფად ვდგები, რომ ისევ არ ჩამეძინოს, ვაკეთებ დიდი ფინჯნით ყავას და ფანჯარასთან ვჯდები – ეს არის ჩემი დილის ტრადაცია, ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ფანჯრიდან დილის ჰაერს ვსუნთქავ, მიყვარს ლია ფანჯრები. დილიდან ცუდ ხასიათზე ვარ, რა გასაკვირია, რთულია მოსთხოვო ვინძმეს იყოს ბედნიერი, როცა შვიდ საათზე დგები. ვიცვამ, რაც ხელში მომხვდება – მაინც ვის ვეპრანჭები? – ვფიქრობ ჩემთვის.

სადარბაზოში, როგორც ყოველ-

თვის, ჩემი მეზობელი მხვდება. ჩემს დანახვაზე თავს აქეთ-იქით აქნევს (ანუ ვეცოდები ასე ადრე რომ მივდივარ სამსახურში), მიღიმის და მესალმება. მეც ვულიმი, სწარაფად მივდივარ, რომ არ გამომელაპარაკოს, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, მაინც მესმის მისი ხმა:

– ასე ადრე გადიხარ?

ვითომ არ იცის! მე მხრებს ვიჩეჩავ.

– ხელფასი მაინც გაქვს კარგი?

ყოველ დილით მეკითხება, ალბათ, იმ იმედით, რომ დღეს მაინც დამცინცლავს ინფორმაციას, მე კიდევ, როგორც ყოველთვის, ვპასუხობ:

– კი, რა ვიცი, მე კი მყოფნის.

რა თქმა უნდა, ვატყუებ, არაფერიც არ მყოფნის. მთავარია, ახლა თავი დავალნიო მის კითხვებს.

გზაზე სულ ერთი და იგივე სახეებს ვხედავ. ვხედავ მეტოვე ქალს, რომელსაც ყოველ დილით ვულიმი და ვესალმები, ის კი მაინც მიბლვერის და უცნაურად მიყურებს, ვერ ვხვდები რატომ. სანამ ჩემი მარშუტკა მოვა, მაღაზიაში შოკოლადის ყიდვა უნდა მოვასწრო.

ჩემ წინ სამი ადამიანია, წყნარად ვდგები და მოთმინებით ველოდები ჩემს რიგს. როგორც იქნა მივაღწიე, გამყიდველი ბიჭი მიღიმს – უკვე რამდენი ხანია სულ აქ ვყიდულობ შოკოლადს.

– როგორც ყოველთვის? – მეტყოთხება ის და აი, იმ დროს, როცა საპასუხოდ პირს ვაღებ, უცებ ვხედავ ხელს ჩემ წინ, რომელიც ეკუთვნის ქალბატონს, რომელიც ჩემ უკან დგას რიგში და მესმის ხმა:

– ერთი პური მომეცით!

დიდი მოთმინების უნარი უნდა გქონდეს ადამიანს, რომ ამ ქცევამ არ გაგაღიზიანოს (თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ დილის 7 საათზე გავიღვიძე), მე კიდევ ამ ბოლო დროს მოთმინების უნარი დავკარგე.

– მე მგონი თქვენზე წინ მე ვდაგავარ! – ვეუბნები ქალს, იმ იმედით, რომ იქნებ ვერ შემამჩნია... რა ვიცი, ყველაფერი ხდება.

– მე მეჩქარება – უკმეხად მპასუხობს ქალი და ისევ იმეორებს: – ერთი პური მომეცით!

ეს უკევ მეტისმეტია.

– მეც მეჩქარება! – მშვიდად ვპასუხობ მე.

– მე ერთი პური მინდა! – არ მითობს ქალი.

– არც მე მიმაქვს მთელი მაღაზია! – ისევ მშვიდად ვპასუხობ მე (ეს გარენულად ვარ მშვიდად, თორემ სინამდვილეში მინდა ამ ქალს ვწვდე და თმით ვათრიო).

– რა თავხედი ხართ! – მეუბნება.

– რა? – მეცინება მე – ამხელა ქალი ხართ და ისიც არ იცით, რომ რიგში უნდა ჩადგეთ და კიდევ მე თავხედი?

– გითხარით მეჩქარება მექთი! – იმეორებს ნერვულად.

– დილით, ალბათ, მთელი საათი რომ არ დაგეკარგათ მაგდენი ტონალის წასმაში, დროულად მოასწრებდით ყველაფერს.

– უზრდელო! – განიწმატდა ქალი

და უკვე თითქმის ყვირილით გაიმეორა:

– ერთი პური მომეცით!

გამყიდველი ბიჭი, რომელიც აქამდე ჩუმად იდგა, ხმას იღებს.

– არ გვაქვს!

– როგორ თუ არ გაქვთ? – ხელით უთითებს ქალი:

– აბა ის რა არის?

– არ ვყიდით! – უმეორებს ბიჭი.

ქალი განიწმატებულია, არ იცის, რაქნას, წავიდეს თუ დარჩეს, ბოლოს მაინც წასვლა არჩია, წავიდა, მაგრამ, სანამ გავიდოდა, მრავალმნიშვნელოვანი შეკითხვა დაგვიტოვა:

– სად გაიზარდეთ?!

როგორც იქნა, ვიყიდე ჩემი შოკოლადი.

– შენ რომ გადაუსწრო მასეთის რიგში, მაშინვე დანას დაგარტყამს! – მეუბნება გამყიდველი ბიჭი. რთულია, მის ნათქვამში ეჭვის შეტანა.

მე ვულიმი და გამოვდივარ. გული მიგრძნობს, დღეს რთული დღე მელის. სულ ასეა, დილიდან თუ რამე ცუდი შემემთხვა, მერე მიჰყვება ხოლმე სხვა ცუდი ამბებიც.

გაჩერებაზე ვდგები.

ჩემ გვერდით ახალგაზრდა ქალი დგას, პატარა ბავშვთან ერთად. ბავშვი რალაცაზე ტირის, ვუყურებ და ვფიქრობ, რომ აი, ახლა ეს ქალი, რომელიც, სავარაუდოდ, დედამისია, ბავშვს ჩაეხუტება, ლოყუბს დაუკოცნის, მაგრამ არა, ქალი ისე დგას, თითქოს არაფერი ესმის, იქნებ სულაც არაა მისი შვილი. ბავშვს ვუყურებ, დანითლებულ ლოყებზე ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდის.

– მორჩი ახლავე, თორემ დაგიმატებ!

– ეუბნება ქალი.

ბავშვი ცდილობს, ცრემლები შეიკავოს, მაგრამ, რაც უფრო მეტად ცდილობს ცრემლების შეკავებს, უფრო და უფრო მეტად ზლუქუნებს. ქალი მისკენ იხრება და ლოყაზე ბწვენს, მერე თავში წამოარტყამს.

— გაჩერდები თუ არა ბოლოს და ბოლოს, დამაწყვიტე ნერვები!

არ შემიძლია ამის მოთმენა, მომკალი და არ შემიძლია.

— ბავშვს რატომ ურტყამთ?! — ვეკითხები.

ქალი გაოცებული მიყურებს

— ჩემი შვილია და რასაც მინდა, იმას ვუზიამ, თქვენ ვინ გეკითხებათ?

— აი, აქ კი ცდებით, ქალბატონო, სწორედაც რომ მე მეკითხება! — ვეუბნები უცებ. — მე ბავშვთა უფლებების დამცველი ვარ, ახლავე საბუთსაც გაჩვენებთ! — ჩანთაში ვიქექები არ არსებული საბუთების მოსაძენად, ქალი ჩელს მისჩერებია, რომელიც ჩანთაში უაზროდ ფათურობს.

— მოკლედ, კარგად დაიმახსოვრეთ! — ვეუბნები ქალს. — თქვენ ისედაც შემჩნეული ხართ ძალადობაში, საჩივარიც უკვე გამზადებულია. იცოდეთ, კიდევ ერთხელ თუ დაარტყამთ ბავშვს, საჩივარს ხელს მოვაწერ და მერე რა იქნება, კაცმა არ იცის, იქნებ დედობის უფლებაც ჩამოგართვან!

ვიცი, სისასტიკეს ვეუბნები, მაგრამ სხვა აზრი თავში უცებ არ მომდის, მთავარია ხელი არ გავაჩერო, მაინც ვეძებ.

ქალი გაოცებული მიყურებს, ვერ გაიგო რა ხდება:

— ხომ არ გაგიუდით, რა უფლება გაქვთ!

— მე გაგაფრთხილეთ! — ვეუბნები და თვალებში ვუყურებ. — თუ თქვენ არ იცით, როგორ მოექცეთ ბავშვებს, სხვა დედას მოვუძებნით!

ქალი ბავშვს გულში იხუტებს:

— გიურ ხართ! აქედან დაიკარგეთ! როგორ ბედავთ!

ჩემი მარშუტკა მოვიდა და მე სასწრაფოდ ავედი. ფანჯრიდან ვხედავდი ქალს, რომელსაც ბავშვი გულში ჩაეკრა და სხარფი ნაბიჯებით მიდიოდა. დარწმუნებული ვარ, ბავშვს ალარ დაარტყამს, მანამდე მაინც, სანამ არ მიხ-

ვდება, რომ მოვატყუე.

მარშუტკაში, როგორც ყოველთვის, უცვლელი რეპერტუარია. თვალებს ვხუჭავ. ნინ ჯერ კიდევ მთელი დღეა, მთელი დღე და ვფიქრობ, ნუთუ სულ ეს არის, აი, ამას ეძახიან ცხოვრებას?!

მარშუტკიდან ცოტა ადრე ჩამოვდივარ, სამსახურამდე ცოტას ფეხით გავივლი. შუქინიშანთან გავჩერდი, ჩანთიდან ტელეფონის ამოსალებად დავიხარე და უცებ ვიგრძენი, რომ რაღაც მომხვდა — ყავის ცარიელი ერთჯერადი ჭიქა, უფრო სწორად, თითქმის ცარიელი, მანქანიდან გადმოაგდო რომელილაც იდიოტმა. ყავის წვეთებმა ჯინსი დამისვარა. „ამის დედაც! — გავიფიქრე. — ეს რა დღეა!“ მერე ყავის ჭიქა ავიღე და მანქანას მივადექი, საიდანაც, ჩემი აზრით, ეს ჭიქა ისროლეს. ფანჯარაში თავი შევყავი და საჭესთან მჭდომა ახალგაზრდა მამაკაცს ჭიქა სახეში ვესროლე:

— აი, ნაგავი დაგივარდათ!

მამაკაცი ჯერ გაოცდა, მერე, ალბათ, საოცრად გაბრაზდა. ყოველ შემთხვევაში, ასე დავასკვენი, რადგან თვალები გაუფართოვდა და დასვრილი პენარგი ხელით გაიწმინდა.

— გაგიუდი? რა ჯანდაბაა!

— რა ჯანდაბაა? ნაგავს ქუჩაში ყრით და რა ჯანდაბაა?

— ხომ არ გააფრინე? ცუდ ფეხზე ამდგარსარ! მე არაფერს ვყრი. აი, თქვენ კი ძალიან შეცდით. როგორ ბედავ, გადარეულო წითელთავა!

— ჯანდაბამდე გზა გქონიათ! აბა რა, რატომ ალიარებთ, გადასარევ მანქანაში ხართ წამოჯდარი, ზედმეტ სიტყვას ვინ გაგიბედავთ?

ის გაოცებული მიყურებს, მერე თავს აქნევს და თავისითვის ამბობს:

— გიურ! იქნებ იმკურნალო? რამე დალიე ხოლმე, რომ დამშვიდდე, ასე ვინმეს შემოაკვდები!

— ოჰ, თქვენ ნუ ღელავთ! — ვეუბნები ირონიულად. — ჯობია, საკუთარ

აღზრდას მიხედოთ!

ის აღარაფერს მპასუხობს ან რა უნდა მითხრას, მანქანას ქოქავს და მიდის.

— თავხედი! — ვიმეორებ ჩემთვის და უცებ ვგრძნობ, რომ ვიღაც ხელზე მქანავს. — პატარა ბიჭია.

— დეიდა, — მეუბნება ჩურჩულით. — იცით, იმ ბიძიას მართლა არ გადმოუგდია ის ჭიქა, სხვა მანქანიდან გადმოაგდეს.

— არ გადმოუგდია და ნუ გადმოუგდია, არაუშავრს, ვიცნობ მასეთებს! — ვამშვიდებ ბავშვს. — არ მაგას აწყენდა ჩემი „ტკბილი“ სიტყვები.

ბავშვი ეჭვის თვალით მიყურებს.

„ლერთო, რა დღეა, ახლა ის მაკლია, რომ სამსახურშიც ვინმე გიურ დამხვდეს“, — ფიქრობ ჩემთვის და ისე აგიხდათ ყველაფერი.

ფეხი შევდგი თუ არა სამსახურში, ჩვენი ერთი თანამშრომელი იდუმალი სახით მომიახლოვდა და ისეთი დაბალი ხმით მითხრა, ძლიერს გავიგე:

— ახალი „შეფი“ გვყავს!

— რა? ისევ? — ნამოვიძახე მე — რამდენჯერ შეიძლება?

— ჩუმად! — შეშინებული იყურება ჩემი მაცნე. — არ გაიგო!

— რა არ იცის ჯერ? — ვცდილობ ვისუმრო, მაგრამ არავის ეცინება. — კარგი, კარგი, აპა, მითხარი ვინაა?

— ახალგაზრდა ბიჭია, სხვათაშორის ძალიან სიმპათიური! — საეჭვოდ მიღიმის.

— ვიცი მე შენი სიმპათიური ბიჭები, უბრალოდ, რა ჯანდაბაა ამდენი ცვლილებები.

ზუსტად ორი წელი და სამი თვეა, რაც ამ ფირმაში ვმუშაობ და ამ დროის მანძილზე ზუსტად ხუთი უფროსი გამოვიცვალეთ. ამითაც უნდა მივხვდე, რა ნაგავში ვარ, მაგრამ, ხომ იცით, სამსახური სამსახურია, ვერაფერს იზამ. ჩვენი ფირმა რეკლამის გავრცე-

ლებითაა დაკავებული. ვავრცელებთ ყველა გზით — ინტერნეტით, ბროშურებით, მედიასაშუალებებით... მე ყველაზე დაბალ საფუხერზე ვარ — ჩემი მოვალეობა ნაბეჭდი ბროშურების დარიგება; ზედა ეშელონები რეკლამების შეკვეთებს იღებენ, ხელოვანი ხალხი ამ რეკლამებს ქმნის და ჩვენ, უბრალო ადამიანები, მათი გავრცელებით ვართ დაკავებული. როდესაც გასაუბრებაზე მკითხეს, მიყვარდა თუ არა ფეხით სიარული, კარგად ვერ მივხვდი, რას გულისხმობდნენ, ახლა კი ვიცი. დღეში ათასობით ბროშურის დარიგება მიწევს. დავდივარ უმისამართოდ და შემხვედრ ადამიანებს ვუღიმი, ბროშურებს ვაჩეჩებ. ზოგი ლიმილითვე მპასუხობს და მართმევს, ზოგი ყურადღების ლირსადაც არ მთვლის, ზოგი მართმევს და, ორ ნაბიჯზე გამცდება თუ არა, ნაგვის ურნაში აგდებს. თავიდან რამდენიმე თანამშრომელთან ერთად დავდიოდი, ახლა მარტო დავდივარ, — ასე მირჩევნია. ერთ-ერთმა გამოცდილმა თანამშრომელმა პირველ დღეს დამმოძღვრა:

— ასე პატიოსნად თუ აპირებ ყველა ბროშურის დარიგებას, საღამომდე ვერ მორჩები, ამიტომ შენს თავს, ასე ვთქვათ, ლიმიტი დაუწესე. აი, მაგალითად, ყოველ ერთ საათში ერთხელ ოცი ცალი აიღე და უბრალოდ ნაგვის ურნაში მოისროლე.

— რას ამბობ, ეგ როგორ, ჩვენ ამაში ფულს გვიხდიან, ჩვენი საქმეა! — ვუთხარი მე.

— ფულს გიხდიან! კარგი რა, რაღაც კაპიკებს, თვითონ კი ბლუჯა-ბლუჯა იტენიან ჯიბეებში. არ გვიდია? გადაყარე და საქმეს მალე მორჩები.

— არ შემიძლია! — ვცდილობ ავუხსნა, მაგრამ ის არ მისმენს და, როგორც მერე მივხვდი, ასეთი „ლიმიტები“ თითქმის ყველა თანამშრომელს ჰქონდა დანესებული. ისინი დღის პირველ ნახევარში რჩებოდნენ ბროშურების დარიგებას, მე კიდევ საღამომდე ასე ქუჩა-

ქუჩა დავწანებლებდი, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ ერთი ბროშურაც არ გადამიგდია. მანამდე ვიდექი ქუჩაში, სანამ ბოლო ფურცელს ვინმე არ გა- მომართმევდა და მხოლოდ ამის შემდეგ ვთვლიდი თავს ღირსეულ თანამშრომ- ლად, ღირსეულ მოქალაქედ. ნუ, მოკ- ლედ – ღირსეულ ადამიანადაც კი. რო- ცა იცი, რომ შეგიძლია რაღაც დააშავო, ამას ვერც ვერაინ გაიგებს და მაინც არ აშავებ, აი, ეს არის ღირსება. ამის გამო ხან საკუთარი თავი მიყვარდა, უმეტე- სად კი მძულდა, რადგან ცხოვრებამ და გამოცდილებამ მაჩვენა, რომ პატიოს- ნებით ცხორებას ბევრს ვერაფერს გა- მოსტყუებ. რაც უფრო მარტივად შეხე- დავ ყველაფერს, მით მეტად გაგიმარ- თლებს, მაგრამ, რა მექნა, ბავშვობიდან მიღებულ აღზრდას ვერაფერს უშველი, ვერაფრით ჩანაცვლებ და აი, ასე – მა- შინ, როცა ჩემი თანამშრომლები ბედ- ნიერი სახეებით მიუყვებოდნენ ქუჩებს სახლებისაკენ, მე ჯერ კიდევ ხახევარი ბროშურებიც არ მქონდა დარიგებული და ასე წვიმასა და ქარში, თოვლასა და ქარბუქში, ჯიუტად ვიდექი, ვუღიმო- დი გამვლელებს და თითქმის ძალით ვაჩეჩებდი ბროშურებს, რომლებიც ჩე- მი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად ქცეულიყო.

– თათბირია! – მეუბნება თანამშრო- მელი. – ახალს ჩვენი გაცნობა უნდა.

ლმერთო, როგორ მძულს ეს თათ- ბირები, დაყენებული სახეები, მოზო- მილი სიტყვა-პასუხები. სამუშაო მაგი- დიდან ვდეგები და სათათბირო ოთახში შევდივარ. ყველა თანამშრომელი უკვე ოთახშია, ჩვენი ახალი ხელმძღვანელი მაგიდასთან დგას, ასე ოცდათვრამეტი წლის ახალგაზრდა მამაკაცია. ვუყუ- რებ და მეჩვება, რომ სადღაც უკვე მი- ნახავს. ისიც ინტრეისით მომჩერებია. მე არაფერი არ მინდა, რომ გამახსენდეს, მაგრამ ჩემი თვალები ჩემდაუნებუ- რად ხედავენ იმას, რისი დაახვაც ჩემს ქვეცნობიერს არ უნდა – ჩვენს ხელ-

მძღვანელს თეთრ პერანგზე, საყელოს ქვემოთ, ყავის ლაქა აქვს, დიახ, ყავის ლაქა. ვდგევარ და ვგრძნობ, როგორ ნელ-ნელა მეცლება ძალა. ნეტავი ახლა მოვიდეს ფასკუნჯი და აქედან შორს გამიტაცოს ან სტალინი გაცოცხლდეს და დასახვრეტად გამაქანონ, ან დინო- ზავრად გადავიქცე უცებ და გადავშენ- დე, ან... ან... რა ვიცი, თაგვი ვიყო და კატამ შემჭამოს.

– ბატონო ლევან, – მესმის ჩემი თა- ნამშრომლის ხმა. – პერანგი დასვრილი გაქვთ!

– ვიცი, ვიღაც არანორმალურმა დი- ლას ყავის ჭიქა სახეში მესროლა.

მე იატაკს მიგჩერებივარ, თან ისე- თი სახით, ვითომ იმაზე საინტერესო და ამოუცნობი არასოდეს არაფერი მინახავს. თათბირი იწყება, ჩვენი ახა- ლი უფროსი რაღაცას ხსნის, ლაპარა- კობს, მე არაფერი მესმის, სამაგიეროდ მახსენდება ბავშვი, რომელმაც დილას ხელზე მომქაჩა და მითხრა – ამ ბიძიას მართლა არ უსვრია... ამ ბიძიას მარ- თლა არ უსვრია... ამ ბიძიას მართლა არ უსვრია... ასე მგონია, მთელი სამ- ყარო იმეორებს ამ სიტყვებს. ცოტაც და გული წამივა. „ამის დედაც!..“ – ვფირობ გულში, ეს რა დღეა.

თათბირი დამთავრდა. იქნებ არ ვახსოვარ (თავს ვიმშვიდებ), აქამდე თუ არაფერი მითხრა, არც ახლა მეტ- ყვის. ახლა ერთი სული მაქვს, აქე- დან შორს გავიქცე, სადმე, ცხრა მთას იქით, ზღვები გადავცურო, კლდეებზე ვიხოხო, სადღაც პარალელურ სამყა- როში წავიდე, ოღონდ კი გავასწრო, ჩემი თვალები მხოლოდ კარს ხედავენ, ქვეცნობეირში ერთი ფეხი უკვე კარის იქით მაქვს.

– შეგიძლიათ სამუშაო ოთახებს და- უბრუნდეთ! – მესმის ნანატრი სიტყვე- ბი და ისე სხარტად მოვწყდი ადგილს, რომ ლამის ჩემი თანამშრომელი წავაქ- ციე.

– თქვენ დარჩით! – გავიგონე უცებ

სმა და, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი მართლა მეუბნებოდა თუ არა, მაინც გავჩერდი. თავი მივაპრუნე და ლმერთო, ის მე მიყურებდა, სწორედ მე.

— მე? — მაინც ვიკითხე იმ იმედით, რომ უარს მივიღებდი. „იქნებ ელამია, მე მიყურებს, მაგრამ სხვას გულის-ხმობს“, — გავიფიქრე, მაგრამ ბატონი ლევანი ელამი ნამდვილად არ იყო, აი, გაბრაზებული კი ჩანდა.

— დიახ, თქვენ! — მითხრა მან და მეც შემოვბრუნდი. ყველა გავიდა და მე მის პირისპირ სულ მარტო დავრჩი.

„ახლა, ალბათ, სამსახურიდან და-მითხოვს“, — გავიფიქრე და მაშინვე თვალნინ ჩემი „ხაზეიკას“ სახე დამიდგა, ასევე შოკოლადები, რომლებსაც ველარ ვიყიდდი, ხიდი, რომლის ქვეშაც მომინევდა დამის გათენება და კიდევ ათასი უბედურება, მაგრამ მან მითხრა:

— სკამი მოსწიეთ ჩემთან ახლოს და დაჯექით!

მის წინ დავჯექი.

სულ რამდენიმე წამში თავიდან ბოლომდე შემათვალიერა, ოლონდ ისე, რომ მხოლოდ ჩემნაირი დაკვირვებული ადამიანი თუ შეამჩნევდა ამას.

— დიდი ხანია აქ მუშაობთ?

— ორი წელი.

— ორი წელი, — გაიმეორა მან. — ორი წელი ბევრია.

ვერ მივხდი, რისთვის იყო ბევრი.

— ესე იგი თქვენი სახელია? — მან რაღაც სიაში დაიწყო ყურება.

— დადუნა! — ვუთხარი მე.

— სახელიც უცნაური გაქვთ, — თქვა და მე ვერ მივხვდი, კიდევ რა მქონდა უცნაური, ან რატომ ვიჯექი ახლა მის წინ, ან რა უნდოდა საერთოდ.

„ალბათ, ჩემი სახე არ ახსოვს“, — თავს ვიმშვიდებდი მე. აქამდე რამეს მეტყოდა, რომ ახსოვდეს. ვცდილობდი დილით მომხდარი ამბვის დეტალები აღმედგინა გონებაში. შეუძლებელია არ ვახსოვდე, მე მის მანქანაში თავი შევ-ყავი და აბა, როგორ შეიძლება დაგა-

ვიწყდეს ჩემი წითელი, ბუჩქივით თმა. სანამ ამ ყველაფერს ვფიქრობდი, კარი გაიღო და ჩვენმა თანამშრომელმა მოკრძალებით შემოანათა თავისი ღიმილი-ანი სახე.

— ბატონო ლევან, ყავა ხომ არ გაგიკეთოთ?

— ყავა? — იკითხა ლევანმა. — მადლობა, რომ შემასხენეთ.

ცივმა ოფლმა დამასხა. ასე მეგონა, უფსკრულის პირას ვიდექი და ვიღაცამ ხელი მკრა ან წავიქეცი და ასმა ცხენმა ერთდროულად გადამიარა ზედ.

თანამშრომელი ისევე ღიმილით გაქრა კარებიდან, როგორც გამოჩნდა.

ლევანი მომიბრუნდა:

— როგორც დილას მივხვდი, თქვენ გიყვართ ყავის ჭიქებით მოძრაობა, ამიტომ მინდა, რომ ახლა გახვიდეთ და ყავა გამიკეთოთ. მგონი, არ შეწუხდებით.

— მე გემრიელ ყავას ვერ ვადუდებ, — სხარტად მივუგე. ვერც კი წარმოიდგენთ, რა სხარტი ვხდები, როცა რაღაცის გაკეთება არ მინდა.

— მოგინევთ ისწავლოთ! — მომიგო მშვიდად. — გელოდებით.

მე აღარაფერი მითქვამს, ავდექი და სამზარეულოსკენ წავედი. ესე იგი ყავა ხომ? ძალიან კარგი. გემრიელი ყავა, ღმერთია მოწმე, გავაფრთხილე.

ძალიან ნელა ჩავყარე ყავა. შაქარი და მარილი მაცდურად იდგა ერთმანეთის გვერდით. ორივე თეთრია, ერთმანეთს ძალიან ჰგავს, სრულიად შესაძლებელია, ერთმანეთში აგერიოს. ყავის ფინჯანს ბედნიერი სახით დავამატე ორი კოზი მარილი. ვერავინ მაიძულებს გავაკეთო ის, რაც ჩემს მოვალეობაში არ შედის, ვერავინ!

შევედი თუ არა, ლევანი წამოდგა ფინჯანი გამომართვა.

— შემიძლია გავიდე და საქმეს მივხედო?

— ცოტა ხანს დამელოდეთ!

აი, უცებ, ამ მომენტში, ჩემი შიში,

ტანჯვა და ცუდი შეგრძნებები სადღაც გაქრა. ვიდექი და წინასწარ მეცინებოდა.

მან ყავა მოსვა. ვერ აგინერთ მის სახეს – თავს უფლება არ მისცა, ის ყლუპი, რაც პირში ჰქონდა დაგუბებული, უკან გადმოესხა, ამიტომ მისი გადაყლაპვა მოუხდა. ვერ გეტყვით, რომ კმაყოფილი სახე ჰქონდა.

– რა ჯანდაბაა? შენ რა მარილი ჩაყრები!

– მარილი? ღმერთო, რა დაბდურა ვარ! – შევიწუხე გული და სახე. – ხომ გითხარით, ჩემი სამზარეულოში შეშვება დიდი შეცდომ..

– ახლავე მომწყდით თავიდან! – არ დამამთავრებინა სიტყვა. – თუმცა არა, ჯერ გაბრძანდით და ახლიდან გამიკეთეთ და ეცადეთ, რომ ახლა მომერნონს. კარგად დააკვირდით, სანამ რამეს ჩაყრით.

ეს თამაში უკვე მომწონს. დაძაბულობა საერთოდ მომეხსნა, ვერ აგიხსნით, რაღაც შვებასაც კი ვგრძნობდი.

– იცოდეთ, ზუსტად ხუთ წუთში ყავა მაგიდაზე უნდა მედგას!

– კარგი! – გავუღიმე მე. ესე იგი ხუთ წუთში!

მისი კაბინეტიდან სამზარეულომდე მისვლას ერთი წუთი დასჭირდა, ერთი წუთი უკან დამჭირდება, ანუ გამოდის რომ ყავის ასადულებლად სულ რაღაც სამი წუთი დარჩა. მე კი არსად ვჩერობ. ყავა დავადგი, თან საათს ვუყურებ. როგორც კი დანიშნული დრო გავიდა, მადულარა გამოვრთე და ზუსტად ხუთ წუთში, ყავა „ბოსის“ მაგიდაზე იდგა. ნუ მთლად ადულებულს ვერ დავარქებულით, მაგრამ მთავარი ხომ ხუთ წუთში დავალებული საქმის მოსწრება იყო.

ახლა უფრო ფრთხილად მოჰკიდა ხელი.

- ფინჯანი ცხელი რატომ არაა?
- ადულება ვერ მოასწრო.
- დამცინით?

– რას ამბობთ! – მშვიდი სახით მიუგე მე – ხუთ წუთში ადულება და აქამდე მოტანა ვერ მოესწრო.

მას არაფერი უთქვამს, მომეჩვენა, რომ ჩაიცინა, ალბათ, მომეჩვენა.

– გასაგებია, ცდილობთ, მანახოთ, რომ ძლიერი ხართ.

– ყველაფრიდან რაღაცის სწავლა შეიძლება. – ვპასუხობ მე უადგილოდ.

– ამ ამბიდან რა უნდა ვისწავლო, აბა, მომახსენეთ.

– სანამ თანამშრომელს დაავალებთ რაიმე საქმის გარკვეულ დროში მოსწრებას, ჯერ მას ჰკითხეთ, რამდენად შესაძლებელია თქვენ მიერ დაწესებულ ვადებში საქმის ხარისხიანად მოსწრება.

– ჩემი კაბინეტი ხომ არ დაგითმოთ?

– მეკითხება დამცინავად.

– ამბიციური არ ვარ! – ვპასუხობ მე.

– გასაგებია, მკვეთრად გამოხატული ინდივიდი, მასიდან გამორჩეული, ღირსების დამცველი... – ისევ დამცინავად მიყურებს. – ასე გახასიათებენ, ხომ ასეა?

– არ ვიცი, – ნელ-ნელა სიმშვიდეს მაკარგვინებს მისი დამცინავი კილო. „ახლა თუ გავუძელი, მერე რაღაცას მოვიფიქრებ, თავის დაცვას ვისწავლი, ყველას გავუძელი და ამ ახალსაც გაუძლებ“, – ვფიქრობ ჩემთვის.

– კარგი, კარგი... – მეუბნება უცებ.

– შეგიძლიათ ხახვიდეთ.

საოცარი ის იყო, რომ გაბრაზებული არ ჩანდა, არც ჩემს დასჯას აპირებდა, არც სამსახურიდან გაგდებით მემუქრებოდა. როცა გავდიოდი, ცნობისმოყვარეობამ მძლია და მისკენ მივიხედე, ის რაღაცას წერდა, სახეზე ღიმილი ჰქონდა, კი ნამდვილად არ მომჩვენებია წელან, ახლაც იღიმოდა თავისთვის, ჩვეულებრივი ადამიანივით იღიმოდა.

მეტი სამსახურში არაფერი მოხდარა, მშვიდად ჩაიარა დღემ. ანგარიშიდან ბოლო ორას ოცდაათი ლარი

მოვხსენი, ორასი სახლის მეპატრონესთვის, ოცდათი მე უნდა მეყოს ათი დღის განმავლობაში. სამწუხაროდ, რეალობა ნოყიერ და ბედნიერ ათ დღეს არ მპირდება. სახლისკენ გზას ფეხით მივუყვები.

ვხედავ ერთი-ერთი სახლის წინ სკამზე გოგონა ზის, ასე თორმეტი წლის და გულამოსკვნილი ტირის. მივალ, გავარკვევ რა ხდება შევუთანხმდი საკუთართავს. ეს გოგონა ხშირად მხვდება დილით, სკოლაში მიმავალი დიდი ჩანთით. ვუხლოვდები.

— კარგად ხარ? — ვეკითხები.

აი თითქოს ეს ბავშვი საუკუნეა აქ იჯდა და სწორედ იმ მომენტს ელოდებოდა, რომ ვინმე მისულიყო და ეს შეკითხვა მისთვის დაესვა. უფრო გულა-მოსკვნით ატირდა.

— დილას დედამ ფული გამატანა, კომუნალური გადასახადების და არ ვიცი, დავკარგე, მე უბრალოდ დავკარგე, არ ვიცი სახლში როგორ მივიდე, დედაჩემი მომკლავს.

— დამშვიდდი, დამშვიდდი... — მის გვერდით ვჯდები მე. — შეიძლება უბრალოდ სადმე გიდევს და ვერ ნახე.

— არა მთელი დღეა მაგას ვეძებ, ჩანთაში ჩავდე და აღარ მაქვს, იცით რამდენჯერ ვნახე? იცით?

მე არ ვიცოდი, მაგრამ ვიცოდი ის რომ საფულეში ორასი ლარი მედო, რომელსაც დღეს ბინის მეპატრონეს თუ არ მივუტანდი მომკლავდა, მაგრამ ამ ბავშვის ასე დატოვებაც არ შემეძლო.

— რამდენი გქონდა?

— ას სამოცდაათი ლარი. — მეუბნება ის.

— ჯანდაბა-ხმამალლა ვფიქრობ მე. — აბა, აირჩიე დადუ, სიკვდილი ან სიკეთე, სიკვდილი ან სიკეთე.

და მე რა თქმა ვიღებ საფულეს და ბავშვს ფულს ვაძლევ, — აი, აიღე და აღარ დაკარგო კარგი.

ის გაშტერებული მიყურებს, არ იცის

გამომართვას თუ არა.

— აიღე, სანამ არ გადავიფიქრე — ვეუბნები და ხელში ვაჩერებ, მეშინია მართლა არ გადავიფიქრო.

— კარგი. — შეშინებული ხმით მეუბნება ის და ფულს მუჭში იქცევს და რატომდაც გარბის, არ ვიცი ალბათ შოკისგან, რას გაუგებ ამ ბავშვებს.

„ხაზეიკა“ მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ დარჩა ჩემი სიკეთით.

— შეგეცოდა? მე არ გეცოდები? ისე-დაც ყოველ თვე მიგვიანებ, მეტს არ მოვითმენ, ახლავე დაცლი ჩემს ბინას და წახვალ და ფულის მოსატანად ერთ კვირას გაძლევ.

— რა სისატიკეა ნორა დეიდა.

— დეიდა არა მამიდა! — მეუბნება გულმოსული, თან არც გადაწყვეტილების შეცვლას გეგმავს.

მე ჩემს ნივთებს თავი მოვუყარე, ტაქსი გამოვიახე და ჩემი მეგობრის სახლისკენ ავიღე გეზი, ხომ გაგიგიათ, ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო.

ჯონათანი სახლში დამხვდა.

— მშვიდობა გაქვს? — მეკითხება და თან ჩემს ბარგს მისჩერებია.

— შენთან გადოვდივარ! — ვეუბნები ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე. ბარგს მივათრევ და საწლოზე ვჯდები. ჯონათანი მხრებს იჩეჩავს, მიყურებს.

— ვაა, როგორც იქნა მიხვდი ხომ რომ ჩემს გარეშე შენი ცხოვრება არაფერია.

— ნუ ხარ მასხარა, — ვეუბნები და ნივთების ამოლაგებას ვიწყებ.

— არ არის პრობლემა, თავი ისე იგრძენი როგორც საკუთარ სახლში, — მეუბნება ჯონათანი და მე ვგიუდები მის ირონიაზე.

მე მისი ნივთების გვერდით ვათავსებ ჩემს ნივთებს, თან ვუყვები დღევანდელი დღის ამბებს.

— და დარწმუნებული ხარ, რომ ბავშვმა ფული მართლა დაკარგა? იქნებ მოგატყუა? — მეკითხება ის.

— რატომ უნდა მოეტყუებინა?

— და რატომ არა?

შეუძლებელია მასთან კამათი. ყოველთვის იცის რა გითხრას და როგორ გაგაჩუმოს.

– როგორც იქნა ნამდვილ წყვილს დავემგვანეთ. – ამბობს ის და თვალს არ აცილებს ჩემს კბილის ჯაგრისს, რომელიც მისი კბილის ჯაგრისის გვერდით დავდე.

– ჯონათან იქნებ მოკეტო, ისედაც რთული დღე მქონდა.

– ღმერთო რა აგრესიული ხარ – მეუბნება ის და ჩემთან მოდის, მთელი ძალით მიხუტებს – მოდი აუტანელო, მოდი, ჩაგეხუტო, მომენატრე.

ჯონათანი ჩემი საუკეთესო მეგობარია, მასზე უკეთესი არავინაა.

სინამდვილეში ჯონათანს ჯონათანი სულაც არ ქვია, ამ სახელს მხოლოდ მევეძახი, არ ვიცი, უბრალოდ შეხედავ და არ მოგინდება სხვა სახელი დაუძახო.

ჯონათანი ერთი წლის წინ გავიცანი ერთ ჩვეულებრივ დღეს, ბროშურებს ვარიგდები და ჩემმა ქეცნობიერმა შეამჩნია, რომ ერთი და იგივე სახე რამდენჯერმე მოვიდა ბროშურის ასაღებად, მოვიდა და წავიდა, ისევ მოვიდა და წავიდა. ზუსტად თორმეტჯერ.

– მემიძლია, ერთიანად მოგცეთ ოცი ცალი, – ვუთხარი მე. – რადგან ასე დაინტერესდით.

– როგორც იქნა, – გაიღიმა მან, – როგორც იქნა შემამჩნიე.

აი ასე გავიცანი ჯონათანი. ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არ იცნობ, არც არასოდეს იცნობდი, მაგრამ დაინახავ და იცი, რომ ვიღაც ისეთი იპოვე, ვისაც ვეღარასოდეს დაკარგავ. ასეთი იყო ჯონათანი, დიდი თაფლისფერი თვალებით და ხვეული წაბლისფერი თმებით.

– ისე დადუ... – მეუბნება ის – ხომ იცი, რომ ერთი საწოლი მაქს, ჩემთან დაიძინებ?

– ჯონათან, რატომ ხარ მაიმუნი ბავშვი?

– კარგი, კარგი... – იღიმება ის. –

ახლავე გავალ და სხვენიდან საწოლს ჩამოვიტან, რა პანიკაში ხარ.

ჯონათანი ჩემზე ცხრა წლით უმცროსია და სჯერა, რომ სიყვარულს ასაკი და მსგავსი წვრილმანები არ განსაზღვრავს, რომ გრძნობები ციფრებზე არაა დამოკიდებული, თუმცა ჩემი დარწმუნება ამაში ვერაფრით მოახერხა. ვერ გეტყვით რა ურთიერთობა გვაქვს, მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მასზე საუკეთესო არავინ არსებობს, ჩემი სამყაროს განუყოფელი ნაწილია. არის საკითხები, რომლებზეც ვერასოდეს შევთანხმდებით, მას ხშირად არ ესმის ჩემი, მაგრამ მაინც არასოდეს მიდის ჩემგან.

– აი, ამხელა გოგო ხარ და დავიჯერო არავისთან ყოფნა არ გინდა? როგორ ძლიერ იმის გარეშე?

– ჯონათან თავს არ დამანებებ? – ვუბლვერ მე და საკუთარი თმის ფერი ვხდები.

– არა უბრალოდ არ მესმის, მოიკლო ასეთი სიმოვნება.

– შენ ვერ გაიგებ, მე ერთადერთი სიყვარულის მწამს, მხოლოდ ერთის, შეიგნე.

– და როგორ მიხდები, რომ ის ერთადერთია? იქნებ შეცდე და ვაი მერე შენი ბრალი – იცინის ის.

– მივხვდები, აი როცა ადამიანი ისე შემიყვარდება, რომ სასიკვდილოდ გავიმეტებ, თუ კი ჩემს გვერდით ყოფნას არ მოინდომებს, ესე იგი ის ერთადერთია.

– უცნაური ლოგიკა გაქვს, – იცინის ის. – ანუ თუ ადამიანის მოკლის სურვილი გაგიჩნდა ესე იგი გიყვარს?

– მშვენივრად იცი, რომ ეგ არ მიგულისხმია, დღეში რამდენი კაცის მოკლის სურვილი მაქს იცი? ძალიან ბევრის, მე ვგულისხმობ სხვა რამეს.

– კარგი, კარგი, გავიგე! – სერიოზულდება. – თუ ვიღაცას შენთან არ უნდა და შენ გინდა ის ამის გამო მოკლა, რომ სხვასთანაც არ იყოს, ამას გუ-

ლისხმობ?

— ზუსტად. — თავს ვუქნევ. — როგორც იქნა.

— საოცარია, მაგრამ პრობლემა რაშია იცი, ჩემო კარგო, სიყვარულს სიკვდილი კი არა სიცოცხლე სჭირდება.

მისი სიტყვები მაჩუმებს, არ ვიცი რაუნდა ვუთხრა, მეჩვენება ხოლმე რომ ის რასაც ის ამბობს, ყოველთვის უფრო ლოგიკურია, ვიდრე ჩემი მოსაზრებები, ის ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინაა თითქოს და მე უკან მტოვებს, არ ვიცი, მის გარეშე არ შემიძლია და არც მასთან ერთად, ამ ყველაფერს სახელი არ აქვს.

ჯონათანი ჩემი იმედია, ჩემი სხივია ბნელ დღეებიში, ჩემი წყალია უდაბნოში ხეტიალის დროს, ჯონათანი ყველაფერია, ჯონათანი უბრალოდ ჯონათნია და ის ჩემია, მხოლოდ ჩემი.

ვერ გეტყვით, რომ თაყვანისმცემლებით განაბივრებული ვყავდი სამყაროს. ყოველთვის ზედმეტად გამხარი ვიყავი, როგორც ბებიაჩემი იტყოდა „უშნოდ გამოკნაჭული“ ფეხებით და მკლავებით, ამას თუ დავუმატებთ წითელ თმას და ჭორფლებით დაფარულ სახეს ალბათ ხვდებით რომ, პრინცესის სტატუსის გოგოებისგან საკმაოდ შორს ვიდექი, სადღაც ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, ან შეიძლება გაცილებით შორსაც. ბავშვები ჩემს დანახვაზე შანსს არ უშვებდნენ ხელიდან რომ არ დაებრალებინათ ათასი ცოდვა და უბედურება, მაგალითად ის რომ მე თუ დამინახავდნენ დილით, მთელი დღე დათარსული იქნებოდნენ, და ეს მხოლოდ იმიტომ რომ თმა მქონდა წითელი, ამბობდნენ, რომ ჭინკა ვიყავი და ღამ ღამობით ტყეში მეძინა, რომ სავსე მთვარეზე კატას ზურგზე მოვაჯდებოდი და უკუნეთში მივდიოდი (ლმერთორა უსაზღვრო იყო მათი ფანტაზია), რას არ მეძეხდნენ, წითელთავას, ჯადოქარს, ჭორფლიანს, თავზე ცეცხლნაკიდებულს და ათასგვარ რამეს.

ამ ყველაფერის გამო საკუთარი თავი და გარეგნობა მძულდა, იმდენად რომ ერთხელ სკოლიდან მოსულმა, ავიღე მაკრატელი და ჩემი წითელი თმა თახასავით გავიკრიჭე საკუთარი ხელით, მაგრამ რად გინდა, ჩემი თმა წითელი იყო ამას ვერაფერი ეშველებოდა, მანამდე სანამ არ გავიზრდებოდი და სხვა ფერად არ გადავიღებავდი, ნეტა იცოდეთ, როგორ ვოცნებოდი ამ დღეზე. მაშინ როცა ბავშვები მხიარულად თამაშობდნენ, მე ავდიოდი სახლის სახურავზე, მზეს ვუშვერდი სახეს, ვიჯექი ასე და ვოცნებოდი, რომ მქონდა ოქროსფერი თმა, სახე ჭორფლების გარეშე და ვიყავი საოცრად ლამაზი აი, ჩემი კლასელი, რომ იყო ისეთი. იჯექი ასე და ჩემი თავი მეცოდებოდა. და ერთ დღესაც სასწაული მოხდა. ზაფხულში ზღავზე ვისვენებდით, მაშინ სულ რაღაც თოთხმეტი წლის ვიქენებოდი, ფეხით გავუყევი ზღვის ნაპირს და საკმაოდ შორს აღმოვჩნდი.

— ერთი ამას შეხედეთ! — გავიგე ვირაც უცნობი ბიჭის ხმა. — საიდან გვესტუმრა ასეთი ალაქაჯი?

მე ნაბიჯს ავუჩქარე. შეჩვეული ვიყავი ასეთ მომართვებს, მაგრამ აյ არავინ იყო ისეთი ვინც დამიცავდა, არც გზა ჩანდა, რომელიც ჩემი სახლისკენ წამიყვანდა, აյ მარტო ვიყავი, უცხოქალაქში, უცხო ნაპირზე. ბიჭმა გზა გადამილობა, მის გარდა კიდევ ორი იყო, ისე დადგნენ, რომ ნასვლა ვეღარ შევძელი.

— შეხედეთ ცხვრის მატყლივით არ აქვს თმა, ოღონდ წითელი... — უშნოდ იკრიჭებოდა ბიჭი, თან ცდილობდა ჩემს თმას შეხებოდა, ახლა რომ ვფიქობ არც მას ქონდა გადასარევი გარეგნობა, მაგრამ მაშინ ყველა ლამაზი მეჩვენებოდა, მეგონა რომ ყველას უფლება ქონდა დაეცინა ჩემთვის, ყველას ვისაც არ დაეზარებოდა.

— ხელი განიე! — შევუბლვირე მე.

— ოპო, რა ბრაზიანი გოგოა, — ისევ

გაიკრიჭა ბიჭი და მეგობრებს შეხედა.

მხოლოდ იმას ვხედავდი, რომ სამივე იცინოდა. ვხედავდი რომ ერთ-ერთ მათგანს წინა კბილები ეკლდა, მეორეს უშველებელი ცხვირი ქონდა, მესამეს – უფრო უშველებელი ყურები, მაგრამ აი იმას ფიქრში კი ვერასოდეს დავუშვებდი, რომ მე ამას ვერ ვიმსახურებდი, ალბათ რაღაც დიდი ცოდვისთვის ვისჯები, ჩემმა წინაპრებმა ალბათ რაღაც ისეთი დააშავეს რის პატიებაც შეუძლებელია, და ეს სასჯელია, ტვირთი, რომელიც მე უნდა ვზიდო, ასე ვფიქრობდი მე და უცებ ტირილი ამივარდა, იქვე ქვიშაში ჩავჯექი და პირ მოვალე, ბიჭებმა სიცილი შეწყვიტეს და გაიქცნენ, ალბათ იფიქრეს მათ რამე არ დაბრალებოდათ, მე კიდევ ვიჯექი და ვტიროდი, ვგლოვობდი ჩემს უბედურებას, საიდანლაც პატარა თითისტოლა ბავშვი მოვიდა. ხუთი წლის იქნებოდა ალბათ, მოვიდა და უშველებელი თაფლისფერი თვალებით მიყურებდა გაოცებული. მერე თავის თითებით ჩემს ჭორფლებს შეეხო და თქვა „ვარსკვლავები, ბევრი ბევრი ვარსკვლავები“, მე ტირილი შევწყვიტე, მან გამილიმა, ახლოს მოვიდა ჩემს თმებს მოეფერა „მზე, წითელი ლამაზი მზე“. მისმა სიტყვებმა ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. მოვიდა, რამდენიმე სიტყვა მითხრა და წავიდა, წავიდა და ალბათ ვერც ვერასოდეს გაიგებს რა იყო ის ჩემთვის. იმ წუთას გავაცნობიერე, რომ ყველაფერს ისე აღვიქვათ, როგორი სამყაროც გულში გვაქვს, თუ კარგები ვართ, ყველაფერში კარგს ვხედავთ, თუ ცუდები, ყველაფერში ცუდს და პრობლემა ჩემი თმის ფერი კი არ იყო, არამედ იმ ბავშვების სამყარო რომლებიც დამცინოდნენ, მივხვდი ამას და უცებ ვიგრძენი, რომ მე რაღაცით მეტი ვიყავი მათზე. რომ მე სხვა სამყარო აღმოვაჩინე, რაღაც საიდუმლო, რაც მათ ჯერ არ იციან, ხოდა დამცინონ ახლა თუ უნდათ, რა მნიშვნელობა

აქვს, ისინი რას ფიქრობენ, მთავარია რას ვფიქრობ მე საკუთარ თავზე. აი ეს იყო პირველი ფილოსოფიური დასკვნა, ჩემი ცხოვრების პირველი სერიოზული დაფიქრება, ვიღაცისთვის მზის სხივი ვიყავი, ვიღაცისთვის ალქაჯი, აი აქ იყო მთელი საიდუმლო. ვინ ვიყავი საკუთარი თავისთვის, აი ეს იყო მთავარი და გადამწყვეტი. უკან გამოვუყევი სანაპიროს და ვგრძნობდი ჩემში რაღაც შეცვლილყო, მოვაბიჯებდი ამაყად, თავსაც ძირს ალარ ვხრიდი (ასე ვიქცეოდი, რომ ხალხს ჩემი ჭორფლები თვალში არ მოხვედროდა), ვარსკვლავებიანი გოგო ვიყავი, მზის სხივებიანი გოგო, საკუთარი თავი მიყვარდა.

გავიდა კიდე ორი წელი და მე აღმოვაჩინე, რომ ის ბიჭები, რომლებიც ასე დამცინოდნენ, ახლა ერთმანეთს ურტყამდნენ ეზოში, რომ ჩემი გული მოეგოთ, რას არ აკეთებდნენ, რომ მერსზე ჩემს გვერდით დამჯდარიყვნენ. ჩემი თმის ფერი, ჩემი ჭორფლიანი სახე, ჩემი წვრილი ფეხები და მელავები ახლა მათთვის ყველაზე სასურველი რამ გამხდარიყო მთელი დედამიწის ზურგზე. გოგოები ამბობდნენ, რომ მე რაღაც ძალას ვფლობდი, რის გამოც ყველა ბიჭის გულის მონადირებას ვახერხებდი და მათ არ იცოდნენ, რომ არაფერს ვფლობდი ისეთს, რომ ეს ძალა უბრალოდ საკუთარი თავის სიყვარული იყო.

ვერ გეტყვით, რომ იმ დროს ვინმე სერიოზულად მიყვარდა, ეს თამაშს გავდა, შურისძიებას, მათ ჩემს გარეშე არ შეეძლოთ, მე კი შემეძლო, ეს უკვე ჩემი გამარჯვება იყო, ამდენი წლის დამცირების მერე. პირველად ჩემს კლასელ ბიჭს თექვსმეტი წლის ასაკში სკოლის ეზოში სკამზე ვაკოცე, ეს არ იყო სიყვარულისგან თავგზაარეული გოგოს კოცნა, ეს იყო ინტერესი, რაღაც ახლის, ისეთის რაც აქამდე არასოდეს მქონია, მერე სხვას ვაკოცე, მერე კიდევ სხვას და რამდენიმე შემთხვევის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ეს ის არ იყო,

რასაც ვეძებდი, რომ უნდა არსებულიყო, რაღაც, რაც ჩემს სხვა ადამიანთან ყოფნას უფრო მნიშვნელოვანს გახდიდა. და ერთ დღესაც, როცა სახლის სახურავზე წამოწოლილი ვუცურებდი ვარსკვლავებიან ცას, მივხვდი, რომ აი ახლა ამ წუთას ვიღაც სადღაც არსებობს, ვიღაც ვინც მხოლოდ ჩემთვისაა შექმნილი და თუნდაც ამ ცხოვრებაში ვერასოდეს ვნახო, აუცილებლად იმ ქვეყნად მაინც ვნახავ. მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ახლა უკვე ოცდათერთმეტის ვარ და ისევ მჯერა იმ ვარსკვლავებიანი ცის, ისევ მჯერა ერთადერთი სიყვარულის და არ არსებობს ქვეყნად ძალა, რომელიც ამ რწმენას დამაკარგინებს.

აი ჯონათანს კი ეს არასოდეს ეს-მოდა.

სამსახურში უჩვეულო არაფერი ხდებოდა. ყველა ჩვენ-ჩვენი საქმეებით ვიყავით დაკავებულები. მაგრამ როგორც ამბობენ „ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ (თუ როგორცა), ერთ დღესაც ბატონმა ლევანმა კაბინეტში გამომიძახა.

— მეძახდით? — ყოველი შემთხვევისთვის მხოლოდ თავი შევყავი, ფეხები ჯობია გარეთ გქონდეს, თუ კი გაქცევას აპირებ.

— შემოდი. მოდი, მოდი, დაჯექ!

მე სკამზე ვჯდები, წარმოდგენა არ მაქვს ახლა რა დავაშავე.

— მოკლედ, დადუნა, ასეთი ამბავი გვაქვს, — როგორც იქნა თავს ანებებს კომპიუტერის ეკრანს და მე მიყურებს.

— როგორი ამბავი?

— შენ გუშინ მხოლოდ შვიდას ოთხმოცდათექვსმეტი ცალი სარეკლამო განცხადება დაარიგე და ამას თითქმის მთელი დღე მოანდომე, სხვებმა კი იგივე რაოდენობის დარიგება ოთხ საათში მოახერხეს. ახლა მაინტერესებს. ორი ვარიანტი გვაქვს, ან შენ მუშაობ ცუდად და ეს პრობლემაა, ან დანარჩენები თაღლითობენ და ესეც არანაკლები

პრობლემაა. მინდა მითხრა რა ხდება.

ჯანდაბა, ამის დედაც გავიფიქრებულში და იქვე მდგარ ნაგვის ურნასაც წიხლი ამოვარტყი, მაგრამ ეს მხოლოდ წარმოსახვაში. სინამდვილეში კი ძალიან მშვიდი სახით ვუთხარი.

— წარმოდგენა არ მაქვს სხვები რამდენს არიგებენ და როგორ, მე ცალკე სიარული მიიჩინებია, მარტივი არ არის, გააჩირო შვიდას ოთხმოცდათექვსმეტი კაცი დღეში და მომლიმარი სახლით გადასცე სარეკლამო განცხადება, ზოგი არც კი გვართმევს.

— მაინცადამაინც ყველა უუმური შენ როგორ გხვდება, რაღაც იცი და არ მეუბნები.

მე მხრებს ვიჩიჩავ. ალბათ, მათ ჩემი გარეგნობა აშინებთ, ბავშვობაში ჯადოქარს და ჭინკას მეძახდნენ.

ბატონი ლევანი სულ ოდნავ იცინის.

— იქნებ სხვები კეთილსინდისიერად არ მუშაობენ, თუ ასეა მითხარი, ამას ვერავინ გაიგებს.

— უკვე გითხარით, მეტი სათქმელი არაფერი მაქვს.

— რა ჯოუტი ხარ! — ბრაზდება უცების — მაშინ შენს თავს დააპრალე, ისინი პრემიას მიიღებენ, შენ კი როგორც ზარმაც და ცუდ თანამშრომელს ხელფასიდან თანხა დაგექვითება. იქნებ ახლა გინდა რამის თქმა.

მე მხოლოდ ვულიმი და მხრებს ვიჩიჩავ, ეს მხოლოდ გარეგნულად, თორემ წარმოსახვაში მთელი ოთახი უკვე დავლენე და თავდაყირა დავაყენე.

— ესე იგი ასეთი კარგი და კეთილი ვართ, ხომ ასეა. — ირონიულად იცინის ის, ან იქნებ სიცილიც არ ერქვა ამ ყველაფერს — კარგი ბატონო, ვნახოთ ამით რას მოიგებ. შეგიძლია გახვიდე.

მე ვდგები და ისეთი ადამიანის სახის გამომეტყველებით ვტოვებ მის კაბინეტს, რომელმაც იცის საკუთარი თავისა და ლირსების ფასი, თუმცა იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ ასეთი სახის გამომეტყველება დიდად

ვერაფერს გაჭმეს როცა გშია, საპირფარეშოი შევდივარ, კედელს ვეყუდები და გულამოსკვნილი ვტირი. ეს სასონარკვეთა მხოლოდ შვიდ წუთს გრძელდება და მე ისევ ამაყი და ღირსეული გამოვდივარ საპირფარეშოდან და ვუბრუნდები ჩემს სამუშაოს, რომელიც ჩემი ვარაუდით ცოტა ხანში შეიძლება საერთოდაც აღარ მქონდეს.

— ადექი და წამოდი! — მეუბნება სახლში დაბრუნებულს ჯონათანი. — ჩემი ხელფასი ორივეს გვეყოფა, თავს რატომ იკლავ?

— რას ამბობ, შენ შენი თავი არ გყოფის ახლა მეც აგევიდო.

— რას ქვია ამეკიდო, რატომ იცი ასე უაზრო საუბარი. — ბრაზდება ჯონათანი.

— კარგი რა, ხომ მიცნობ და იცი, რომ დამარცხება არ მიყვარს.

— რას აპირებ?

მე ჩემს წითელ ხვეულ თმებს ხელით ვისწორებ და ჯონათანს ვულიმი

— ცოტა დრო მომეცი და ის ჩემს გაშვებას სამსახურიდან ვერასოდეს შეძლებს.

— ოლონდ ეგ არა! — ხელებს შლის ჯონათანი. — მისი მოხიბვლა გინდა?

— გამოიცანი, — ვეუბნები მე.

— რომ ვერ შეძლო? მაგრად „გაპაზორდები“.

— კარგი რა, გინახავს ბიჭი, რომლის მოხიბვლაც მოვინდომე და ვერ შევძელი, აბა გახსენდება.

ჯონათანი ცოტა ხანს ფიქრობს, ბოლოს უარყოფის ნიშნად თავს აქნევს

— არა, პრინციპში მართალი ხარ არ მახსენდება, შენი ჯადოქრული მზერის-თვის ვინმეს გაეძლოს.

— ხოდა მიყურე და ისწავლე

— ღმერთო, — უკმაყოფილო ჩანს

ჯონათანი. — ხანდახან მგონია, რომ გიური ხარ.

— მაგრამ შენ მაინც გიყვარვარ, ხომ ასეა? — ვულიმი ეშმაკურად და თვალს ვუკრავ.

— ამის დედაც ჯეკ, შენ მართალი ხარ. მე მაინც მიყვარხარ.

მე მასთან მივდივარ და მაგრად ვეხუტები. ჯონათანი... რა მეშველებოდა ის რომ არ იყოს ჩემს გვერდით.

დილით საგანგებოდ გამოვეწყვე სამსახურში წასავლელად, რითაც ჯონათანის გულისწყრომა დავიმსახურე.

— ნამდვილად სამსახურში მიდიხარ?

— მეკითხება დაეჭვებული ხმით და უკმაყოფილო სახით უყურებს ჯერ ჩემს ზედმეტად (მისი აზრით რა თქმა უნდა) მოლებულ მაისურს და ქვედა ბოლოს, რომელიც საკმაოდ მოკლეა, მაგრამ ჩემი აზრით ჩემს „გამოკნაჭულ“ ფეხებზე სულაც არ ჩანს გამომწვევი.

— ახლა ფეხსაცმელი გაკლია შესაფერისი და უცნაური მაკიაჟი და თავისუფლად შეგიძლია დადგე საჭირო ადგილას და კლიენტები აყარო.

— ჯანდაბა ჯონათან რა ბოროტი ხარ — ვპრაზდები მე.

— აბა ეგ რა არის, შენ თავს შეხედე, ყველაფერი გიჩანს.

— მე საკმაოდ პატარა მკერდი მაქვს.

— რა მნიშვნელობა აქვს დიდია თუ პატარა, მთავარი ის არის რომ გიჩანს.

— შენ უბრალოდ ეჭვიანობ ჩემო ჯონათან, იმიტომ რომ შენს გამო ასე არასოდეს ჩამიცვამს — გესლიანად ვეუბნები მე.

ჯონათანი უცნაურად იღიმის.

— მე არც მჭირდება რომ ჩემთვის ასე ჩაიცვა, მე სხვა უფრო მნიშვნელოვას ვხედავ შენში, იმას რასაც შენც კი ვერ ხედავ და დამიჯერე შენ ეს ყველაფერი, აი ეს — ხელს იშვერს ჩემსკენარაფერში გჭირდება, შენი შეყვარება ისედაც გარდაუვალია.

ღმერთო, როგორ მძულს ასეთ დროს.

მე არაფერს ვპასუხობ, თმებს ვიშლი, წითელ პომადას ვისვამ, მეჩვენება რომ ძალიან მუქია, ცოტას ვიშორებ და სარკეში ჩემს თავს ვულიმი.

ჯონათანი მოღუშულია. ყურადღე-

ბას აღარ მაქცევს. თავისთვის ზის და ჩაის სვამს.

ნერვები მეშლება და დროზე ადრე გავდივარ სახლიდან. კარს გავცდი თუ არა, მომეჩვენა, რომ საშინლად მეცვა, ქვედაპოლო ქვემოთ ჩამოვეაჩე, ზედა პირიქით ზემოთ, მაგრამ შედეგი ვერ მივიღე, სხვა გზა არ იყო, ასე უნდა წავსულიყავი, ახლა სამყაროს გადარჩენა რომ ყოფილიყო საჭირო გადავარჩენდი, ოღონდ ვერაფრით დავბრუნდებოდი უკან, უკან სადაც ჯონათანი იჯდა მოღუშული და ჩაის სვამდა.

სამსახურში შესვლისთანავე მივხვდი, რომ რაღაც ხდებოდა, რამდენიმე თანამშრომელი არეული სახით შემხდევა დერეფანში, ერთმა საერთოდ ტირილით ჩამიარა, ისე რომ ჩემსკენ არც გამოუხედავს, ძალიანაც კარგი, გავიფიქრე ჩემთვის, რაც უფრო ნაკლები ადამიანი მნახავს დღეს, მით უკეთესი ჩემთვის, ოთახში შევიძურნე და დავჯექი.

— თათბირია. — თავი შემოყო თან-მშრომელმა.

ჯანდაბა, ოღონდ ეგ არა, მთელი ჩემი შემართება სადლაც გაქრა, ცივმა ოფლმა დამასხა, რა სულელი ხარ და-დუნა, ახლა შენს საშინელ ფეხებს ყველა ნახავს, შენ მკერდსაც ყველა შეავ-ლებს თვალს, შოკში ვიყავი, რას იფიქ-რებდა ბატონი ლევანი ჩემზე, კარადას მივვარდი, იქნებ რამე მაქეს აქ შარფი, ჯაკეტი, უჩინმაჩინის ქუდი, ნებისმიერი რამ, მაგრამ სრული სიცარიელე, მხო-ლოდ ჩემი ფერადი კეტები იწონებდა თავს სადლაც კუთხეში. დრო არ იც-დიდა, სხვა გზა არ მქონდა ასე მასხა-რასავით გამოწყობილი უნდა შევსული-ყავი. ყველაფერი ჯონათანის ბრალია, თავხედი ბიჭი, აუტანელი, თავის თავ-ზე შეყვარებული იდიოტი, კიდევ უამ-რავ სალანდლავ სიტყვას მოვიგონებდი, მაგრამ უკვე კაბინეტის კართან ვიყავი, არაუშავრს სადმე უკან დავდგები, ჩემი სიმაღლის პატრონი არ მგონია დიდად

გამოვჩინდე, თუ სწორ ადგილს შევარჩევ, აქაც იმედი გამიცრუვდა, ოთახში ნახევარზე მეტი თანამშრომელი არ დამხვდა, ვერსად დავიმალებოდი.

ბატონმა ლევანმა წამიერად შემომზედა და თვალი ამარიდა.

სირცხვილისაგან მოვკვდი.

— მინდა გითხრათ სამწუხარო ამბავი, რამდენიმე თანამშრომლის სამსახურიდან გაშვება მოგვიწია, ადამიანი ყოველთვის კეთილსინდისიერად უნდა ასრულებედეს თავის მოვალეობას, ძალიან ცუდ ფაქტებს ქონდა ადგილი, მინდოდა ეს მეთქვა თქვენთვის. ხო და კიდევ, ორი თანამშრომელიც გავუშვით, რადგან მათ საკუთარი თავის გადასარჩენად ყველაფერი იკადრეს. დღეიდან მინდა იცოდეთ, რომ ენის მოტანა მიუღებელია ჩემთვის. სულ ეს არის.

„თავხედი ნაბიჭვარი!“ — გავიფიქრე ჩემთვის, გუშინდელი ჩვენი საუბარი გამოცდა იყო, ყველაფერი მშვენივრად ცოდნია, უცებ შვებით ამოვისუნთქნე, არანარი საფრთხე გაშვების აღარ მე-მუქრებოდა და აი როცა ამ აღმოჩენას გულში ვზეიმობდი, უცებ მომესმა.

— დადუნა, თუ შეიძლება, შესაფერი-სად ჩაიცვით, სამსახურში ხართ ნუ გავიწყდებათ.

ბატონი ლევანის სიტყვების შემდეგ ყველა მე შემომარჩედა, ასე მეგონა შიშველი ვიყავი. ამის დედაც, მთელი საქართველო ასე ჩაცმული დადის, რა ჩემი გაუკვირდათ, უბრალოდ მე ბედი არაფერში მაქეს. რატომღაც ტირილი მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე. ოთახი ისე დავტოვე არაფერი მითქვამს, არც არავისთვის შემიხედავს.

სახლში დაპრუნებული ვცდილობდი ამაზე არ მეფიქრა, ათასი სისულელით გავირთე თავი, ჯერ სახლის ყველა კუთხე-კუნძული დავალაგე, მერე ჯონათანის ტანსაცმლის კარადა, მერე ჩემი, წიგნები სათითაოდ გადმოვაწყვე და ისევ უკან შევაწყვე, ძველი ფოტოები დავათვალიერე. ჯონათანი გვიან დაბ-

რუნდა, მე უკვე საწოლში ვიწექი, თუმცა არ მეძინა.

— აბა როგორ ხარ? — მკითხა მან.

და აი, ხომ არაფერი უკითხავს ისეთი, მაგრამ მთელი დღის ემოციამ უცება ამოხეთქა და ისე რომ პასუხიც გაცემაც ვერ მოვახერხე, ტირილი დავიწყე.

— რა ხდება, ჩემო მზის სხივო, რა ჯანდაბაა, — ჯონათანი მოვიდა და მაგრად ჩამეხუტა. — ყველაფერი კარგადაა, ჯონათანი შენს გვერდითაა.

— ჩემთან დაწექი — ვეუბნები მე — უბრალოდ ჩამეხუტე, მეტი არაფერი მინდა.

ჯონათანს სახე ეცვლება. არ ვიცი ამ დროს რას გრძნობს ხოლმე, როცა ასეთი სახის გამომტყველება აქვს, თითქოს ტკივილს, იმედგაცრუებას, ან ირონიას, უფრო ირონიას.

— ჰო რა თქმა უნდა. მე შენთვის საყვარელი დათუნიასავით ვარ, ძილის წინ ჭირვეული ბავშვები რომ იხუტებენ და ისე იძინებენ, აი ასეთი დათუნია, რომელიც გიყვარს, მაგრამ ცოლად ვერასოდეს გაყვები.

იმ წუთას ყველაფერს ავიტანდი, ოლონდ მის საყვედურებს ვერა.

— თავი გამანებე, ხელები განიე!

— კი ბატონი! აბა რა, როგორც მიბრძანებ! — მის ხმაში იმდენი ირონიაა, რომ მინდა დავახრჩო.

— იცი რას გრძნობს შეყვარებული ადამიანი, როცა მის გვერდით, ერთ ოთახში მისთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს სძინავს და მას უფლება არ აქვს მასთან იყოს, იცი? არა რა თქმა უნდა, შენ ხომ არავინ გიყვარს, საკუთარი თავის გარდა.

— ესე იგი მე გიშლი ხელს, რომ მშვიდად იძინო, ახლავე ავდგები და მეორე ოთახში დავიძინებ.

— მეორე ოთახი არ გვაქვს — მეუბნება ჯონათანი.

მართალაც მეორე ოთახი არ გვქონდა, მხოლოდ პატარა სამზარეულო, სადაც საწოლი არ იდგა.

— არა უშავრს, იატაკზე დავწვები.

— რაც გინდა ის ქენი, ყელში ამოხვედი! — მეუბნება ჯონათანი და დასაძინებლად წვება.

მე სამზარეულოში გავდივარ, მინდა რომ სკამზე დავჯდე, მაგრამ არა, აი მართლა იატაკზე დავწვები, მერე ფილტვების ანთება დამემართება და მოვკვდები და აი ამას ჯონათანი საკუთარ თავს ვერასოდეს აპატიებს, ვერასოდეს. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამომდის ლო-ყებზე. იატაკი საშინლად ცივია. პატარა მოკუნტული ფისოსავით ვაგდივარ იატაკზე, ღმერთო როგორ მეცოდება საკუთარი თავი, მაგრამ მირჩევნია მოვკვდე, ასე ვიწვები სანამ ჯონათანი არ გამოვა და ბოდიშს არ მომიხდის. ის მოსვლას არ ჩეარობს, ველოდები, ველოდები და მგონია უსასრულოდ დიდი დრო გავიდა. თვალები მეხუჭება.

დილით ჩემს საწოლში გამეღვიძა, ჯონათანი სახლში არ დამხვდა, არ ვიცი ასე ადრე არასოდეს გასულა.

სამზარეულოს მაგიდაზე წერილი დამხვდა: „მაპატიე, თუ მაპატიე რამე მომწერე ტელეფონზე, თუ დღის ბოლომდე შენგან მესიჯს ვერ მივიღებ, არასოდეს დავბრუნდები“.

რა თქმა უნდა ხუმრობს, არაფერ-საც არ მივწერ, თუმცა რა ვიცი, გიუია, მისგან არაფერი გამიკვირდება, სასწრაფოდ ვიღებ ტელეფონს და ვწერ: „სულელო ჯონათან, დაპრუნდი“.

პასუხი არ მიმიღია, თუმცა ყავის მაღულარასთან კიდევ ერთი წერილი დამხვდა: „დარწმუნებული ვარ უკვე მომწერე, წუხელ გაგუდულს გეძინა, საწლამდე ძლივს მიგათრიე, ცოტა ჭამას უნდა მოუკლო, ხო და კიდევ, ამდენი ხანია მიცნობ და როგორ ვერ მიხვდი, რომ არასად წამსვლელი არ ვარ, იმ სახლიდან სადაც შენ ხარ, მითუმეტეს თუ ის სახლი ჩემია“.

საოცარი რამაა ეს ცხოვრება, სწორედ მაშინ გაგიღიმებს ბედი, როცა ყველაზე ნაკლებად ელოდები.

— მინდა რომ დაგაწინაურო, — მითხა ბატონმა ლევანმა. მე თავიდან ყურებს არ დაუჯერე, მაგრამ მერე დავფიქრდი, თუ საკუთარ ყურებსაც აღარ ენდობი, აბა ვისლა.

— კი მაგრამ რატომ?

— დამხმარე მჭირდება, რომელიც შემოსულ და გასულ კორესპონდენციებს მიხედავს, ტექსტებს აკრეფს და ასე შემდეგ. მინდა რომ ეს შენ გააკეთო.

— კარგი, — ვეუბნები მშვიდად, გულში კი გიუივით დავხტივარ, მალაყებს გადავდივარ, ლამბადას ვცეკვავ, სახე კი მშვიდი მაქვს, ვითარცა უმანკოს.

— აი მაგ კუთხეში დავგდავთ შენ მაგიდას, ჩემს ოთახში დაჯდები ხვალი-დან.

ოჳო, ეს უკვე რაღაც ახალი ამბავია, არც კი ვიცი რა ვიფიქრო, ამიტომ არა-ფერს ვფიქრობ. ხანდახან უბრალოდ უნდა მოეშვა და მიიღო ის, რამაც შესაძლებელია შენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს, ან უარესობისკენ, მაგრამ ჯანდაბას.

— კარგი.

— დღეს შეგიძლია წახვიდე და ხვალიდან ახალ მოვალეობებს შეუდეგები.

მე ოთახიდან გამოვედი და უცებ აღმოვაჩინე, რომ გული საშინლად მიიცემდა, თავბრუც კი მეხვეოდა, არ ვიცი ეს რისი ბრალი იყო. მე მასთან ერთად მთელი დღე ერთ ოთახში, ვერ გეტყვით, რომ მიხაროდა, მაგრამ ფაქტია რომ არც მწყინდა. ეს ყველაფერი სულ ერთი არ აღმოჩნდა ჩემთვის, ოღონდ რატომ ეგ ჯერ ვერ გმერკვია. საღამოს როცა მე და ჯონათანი ერთად ვისხედით და ვვუყურებით ჩვენ საყვარელ ფილმს, უკვე მეათასედ, ჩემი თავი გამოვიჭირე, რომ სინამდვილეში ფიქრებით სულ სხვაგან ვიყავი.

— რა ხდება? — მეკითხება ჯონათანი. — შენი საყვარელი ადგილია და შენ არც შეხედე.

— მაპატიე. რაღაც ხასიათზე არ ვარ.

— გამოვრთო?

— აუ კი, გარეთ გავალ და ფეხით გავივლი.

— კარგი, წავიდეთ, — მეუბნება ჯონათანი და დგება. და მე პირველად ჩვენი მეგობრობის მანძილზე ვეუბნები. — არა ჯონათ, მარტო მინდა გასვლა.

— ამის დედაც! — ამბობს ჯონათანი და ჩაის ფინჯანს ხმაურიანად დებს მაგიდაზე.

მე სასწრაფოდ ვდგები და გარეთ გავდივარ. ხანდახან მასთან ყოფნა ძალას მაცლის, ხანდახან სუნთქვა მეკვრის როცა ჯონათანი ახლოსაა, ხანდახან მინდა წავიდეს და აღარასოდეს ვნახო, მაგრამ ეს იშვიათად ხდება, ძალიან იშვითად.

გარეთ თითქმის უკვე ბნელა, ნელა გავუყევი ქუჩას უმისამართოდ. რაღაც ხდებოდა ჩემს თავს და ვერ გამერკვია რა, უმიზეზო სიხარულს გრძნობდი, გული გამალებით მიცემდა, თითქოს ჩემს სხეულში რაღაც არსებამ გაიღვიძა, რომლის შესახებ აქამდე წარმოდგენაც არ მქონდა. რაღაც იცვლებოდა ჩემში, რაც მაძიულებდა ყველა და ყველაფერი მყვარებოდა და რატომ, ნუთუ მხოლოდ იმიტომ რომ ბატონმა ლევანმა თავის ოთახში შემომთავაზა დაჯდომა და მერე რა, რა მოხდა, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ვუხსნიდი, რომ საქმე და სამსახური სხვაა, ჩემი ფიქრები და გრძნობები კი არასწორი გზით მიდიოდა, მიდიოდა სადღაც ჯანდაბისკენ, მაგრამ ეს ჯანდაბამდე მისასვლელი გზა ტკბილი და უჩვეულო მეჩვენებოდა. განა შეიძლება აი ასე უბრალოდ ერთ წამში ადგე და იგრძნო რაღაც, მოულოდნელად აღმოაჩინო, რომ ადამიანი სულ ერთი არაა შენთვის, არ ვიცი აღბათ შეიძლება. სახლში გვიან დავბრუნდი.

— ჯონათან გძინავს?

ჯონათანმა არ მიპასუხა, თუმცა დარწმუნებული ვიყავი რომ არ ეძინა.

მთელი ღამე არ მიძინია, ვფიქრობდი

ყველა წვრილმანზე, ხვალ რა ჩამეცვა, ოთახში როგორ შევსულიყავი, რა მეთქვა, რა გამეცეთებინა. ის კი არ ვიცოდი რატომ ვფიქრობდი ამდენს. უკვე დილით სარკის წინ ცხრაჯერ ჩავიცვი და გავიხადე. ჯონათანი ამ ყველაფერს უშმოდ აკვირდებოდა, მაგიდასთან იჯდა თავისი ჩვეული უზარმაზარი ჩაის ფინჯანით.

— ჯონათ ეს მოგწონს? — ვეკითხებდი ყველა წვრილმანზე, ის კი ყველა-ფერზე მასუსობდა, გულგრილად, ერთი და იმავეს — კი მომწონს.

როგორც იქნა გავეტიე სახლიდან.

ოთახში რომ შევედი, ბატონი ლევანი უკვე იქ დამხვდა. ჩემი მაგიდა კუთხეში იდგა, როგორც გუშინ მითხრა, მაგიდაზე ყვავილების თაიგული დამხვდა, ჯონათანი არასოდეს მაჩუქებდა ასეთ ყვავილებს, გავიფიქრე ჩემთვის, მან იცის რომ ასეთი ყვავილები არ მიყვარს.

— აბა წარმატებულ დღეს გისურვებ, — მითხრა ლევანმა — ყვავილები მოგწონს?

— რა თქმა უნდა! — გავულიმე მე. — მადლობა, საჭირო არ იყო.

— ყოველ დღე კი არ გაგანებივრებთ ყვავილებით, ეს პირველი დღეა და, — გაიცინა მან.

დღემ მშვიდ გარემოში ჩაიარა, მე ვიჯექი და ვმუშაობდი, ლევანი ხანდახან გამომხედავდა, საქმეზე გამომელაპარაკებოდა და ისევ კომპიუტერს უბრუნდებოდა. მე ნელ-ნელა დავმშვიდდი, უბრალოდ ხანდახან თავს ვერაფერს ვუხერხებდი, საქმეს თავს ვანებებდი და ძალიან ფრთხილად, ვაკვირდებოდი მის სახეს. მის ხელებს, ასე განსაჯეთ მის მაისურსაც კი, ყველაფერი იტაცებდა ჩემს გულს და გონებას, რაც კი მას ეხებოდა, ნებისმიერი წვრილმანი თუ მნიშვნელოვანი, როცა მისი ტელეფონი რეკავდა, გული მიჩქარდებოდა, ჩემდაუნებურად სმენას ვძაბავდი, რომ არც ერთი სიტყვა არ გამორჩენოდა, არც ერთი მისი ნათქვამი ფრაზა. იქნებ

ასე იწყება სიყვარული? ან იქნებ არსებობს კითხვები, რომლებსაც პასუხები არ აქვს, სანამ ფაქტის წინაშე არ დადგები? მე არაფერი მესმოდა და სიმართლე გითხრათ არც არაფრის გაგებას არ ვცდილობდი. ჩემ თვალწინ სამყარო იცვლებოდა, მე ვიცვლებოდი და ძალაც არ მქონდა ამ ახალი შეგრძნებებისთვის წინააღმდეგობა გამენია.

ასე გადიოდა დღეები, მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა, ჯონათანი დღითი დღე უფრო მოღუშული და ირონიული მეჩვენებოდა, შანსს არ უშვებდა ხელიდან, რომ ჩემთვის რამე ნერვების მომშლელი არ ეთქვა, აღარც ერთად ვსეირნობდით, არც ჩვენს საყვარელ ადგილებს ვუყურებდით ამოჩემებული ფილმებიდან, აღარც ლექსებს მიკითხავდა და აღარც მეხუტებოდა. მე ბინის ძიება დავიწყე, ამ ამბავმა საბოლოოდ გააცოფა ჯონათანი, ამას ვგრძნობდი, თორემ თქმით არაფერი უთქვამს.

— როგორც გინდა! — მხოლოდ ეს.

მე კიდევ მოვდიოდი ყოველ დღე და ჯიუტად ვუყვებოდი ყველა დეტალს, ვუყვებოდი ლევანიზე გაუთავებლად, არ ვიცი ასე რატომ ვექცეოდი, არ ვიცი, რატომ მეგონა, რომ ამის უფლება მქონდა, ის კი მისმენდა და ითმენდა. ჯონათანი ერთადერთი იყო, ვისთვისაც ჩემი სიხარულის გაზიარება შემეძლო, რაც არ მომხდარიყო, შევხედავი და ვგრძნობდი, ის ყოველთვის ჩემი იყო, რაც არ უნდა გამეცეთებინა, მაინც ვეყვარებოდი, თითქოს იმისთვის გაჩინილიყო, რომ ჩემთვის ეცოცხლა და ბოლოს ისევ ჩემთვის მომკვდარიყო. იქნებ სწორედ ეს იყო ჩემი უდიდესი შეცდომა, რომ ასე ვფიქრობდი, ასე მჯეროდა. არ ვიცი...

ნელ-ნელა ჩემი ურთიერთობა ჯონათან ისევ მოგვარდა, სახლში დაბრუნებულები ერთად ვუყურებდით ფილმებს, ვსეირნობდით ღამით ცარიელ ქუჩებში, ვსაუბრობდით იმაზე რაზეც სხვასათან

ვერასოდეს ვისაუბრებდით.

— აი მითხარი, რაზე ოცნებობ? წარმოიდგინე, რომ შეგიძლია საკუთარ თავს ყველაფერი მისცე რაც გინდა, რა ოცნებას აუსრულებდი?

— არ ვიცი ჯონათან. ხომ იცი, რა დაბდურა ვარ, ასეთ რაღაცებზე არ მიფიქრია.

— არ არსებობს! რაღაცაზე ყველა ოცნებობს.

— კარგი. მე მინდა ბევრი შვილი რომ მყავდეს და კიდევ მინდა რომ წიგნი დავწერო. ძალიან ბანალურია?

— არა, რატომ? და რაზე უნდა დაწერო?

— არ ვიცი, აი ერთხელაც წავალ სად-მე მთაში, იქ სადაც არავინ მიცნობს და მანამდე არ დავბუნდები, სანამ რაიმე შედევრს არ დავწერ.

— წავიდეთ თუ გინდა ხვალვე.

— ახლა არ შემიძლია.

— რატომ? — ეცინება ჯონათანს. — ლევანჩიკა არ გიშვებს?

— გეყოფა რა.

არ ვიცი როგორ შეეძლო ან რატომ იყო ასეთი კარგი.

— ისე, რატომ მაგ საკითხზე არ ვსაუბრობთ სერიოზულად?

მისი სიტყვები მაოცებს, იმიტომ რომ თითქმის ყოველ დღე ვუყვები ათას სისულელეს.

— როგორ არ ვსაუბრობთ.

— არა დადუ, შენ მიყვები ათას წვრილმანს და სისულელეს, მაგრამ მთავარს არ მეუბნები, ესე იგი ლევანი ის არის? შენი ერთადერთი სიყვარული?

— არ ვიცი. — თავს რატომდაც უხერ-ხულად ვგრძნობ, ის კი ჯოუტად მიყურებს თვალებში და ჩემს პასუხს ელო-დებოდა.

— არ ვიცი ჯონათან, ხომ იცი მთელ სამყაროს რომ მოვატყუო, საკუთარ თავსაც რომ მოვატყუო, შენ ვერასოდეს მოგატყუებ.

— აჲა! — მშვიდად ამბობს ჯონათანი.

— ესე იგი ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა.

— უბრალოდ მასთან თავს კარგად ვგრძნობ.

— ჩემთან?

— რა შეკითხვაა, შენთანაც.

— აბა ის ჩემზე სიმპათიურია?

— არა. — მეცინება მე. — შენზე სიმპათიური არავინაა.

— ჩემზე უკეთ გიცნობს?

უარყოფის ნიშნად თავს ვაქნევ.

— შენზე უკეთ არავინ მიცნობს.

— მაშინ რატომ გინდა მასთან და ჩემთან არა?

ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. მე მხრებს ვიჩერჩავ

— არ ვიცი ჯონათ, უბრალოდ ასეა, ვიღაცასთან ან გინდა ან არ გინდა, აი უამრავი ლამაზი და კარგი გოგოა, შენ კიდევ მაინცდამაინც ჩემნაირ გიუს გადაეკიდე, წითელთავას და ჭორფულებიანს. — ვეუბნები ღიმილით.

— მართალი ხარ. — მეთანხმება ჯონათანი. — ყველაზე საშინელი გოგო ხარ მსოფლიოში, არა მსოფლიოში კი არა მთელს გაღაქტიკაზე.

— აი ხომ ხედავ! — ხელებს ვშლი მე.

— ხო, უბრალოდ მგონია რომ გიყვარვარ და ვერ აცნობიერებ ამას. — მიღიმის ჯონათანი, ასეთი თავდაჯერებული მხოლოდ მას შეუძლია იყოს.

— სულელი ხარ! — ვხარხარებ მე, მაგრამ მისი სიტყვები სადღაც გულის სილრმეში მხვდება და რატომრაც სულს უცნაურად მიფორიაქებს, ამიტომაც თემას ვცვლი. — კარგი ამაზე გვეყოფა, ახლა შენ მითხარი რაზე ოცნებობ?

— მე ვოცნებობ, რომ არც ერთი ბავშვი არ იზრდებოდეს მშობლების გარეშე და არც ერთი მოხუცი არ იყოს მარტოსული.

ასეთი იყო ჯონათანი, მთელი სამყარო უყვარდა, ყველა უყვარდა ვინც კი მის ირგვლის არსებობდა, თუმცა ერთი შესედვით ამას ვერასოდეს შეატყობდით. კვირაში რამდენიმე დღეს

მოხუცთა და ბავშვთა თავშესაფრებში ატარებდა, პროექტებს წერდა, რომ მათი ყოფა რამით მაინც გაეუმჯობესებინა. ჯონათანი იქნებ მართლა იმისთვის გაეჩინა ღმერთს, რომ სხვებისთვის ნათელი ეჩუქებინა. იქნებ ამიტომაც ვერ შევიყვარე, რომ ზედმეტად კარგი იყო, ზედმეტად არაადამიანური. ან იქნებ უბრალოდ სიყვარული მართლა გულის საქმეა მხოლოდ და არა გონების, იქნებ განსჯა და ფიქრი სწორ გზაზე ვერასოდეს დაგაყენებს, იქნებ მხოლოდ გულის კარნახს უნდა მიყევე? ჩემი გული კი ლევანისკენ მიინევდა. მასთან დიდ დროს ვატარებდი, იმაზე მეტს ვიდრე სახლში, თუმცა მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა. ლევანიმ ისიც კი არ იცოდა რომელი ფერი მიყვარდა, რაზე ვფიქრობდი, რას ვჭამდი, რომელი წიგნები და ფილმები მიყვარდა, არაფერი იცოდა ჩემზე, ჯონათანისთვის კი წაკითხული წიგნივით ვიყავი. ლევანი ისეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, სხვების აზრით რომ უფრო მეტად იყო დაინტერესებული, ვიდრე საკუთარით, ყოველთვის ისე იქცეოდა, რომ არავისთვის ზედმეტად საუბრის მიზეზი არ მიეცა, მეც მივყვებოდი ასე დინებას და ვერ გამერკვია, რამე ხდებოდა ჩვენს შორის თუ არა. მასზე ბევრს ვფიქრობდი, ბევრს ვოცნებობდი, მაგრამ რომ გეკითხათ, აი იცნების დროსაც რომ გეკითხათ როგორი წარმომედგინა ჩვენი მომავალი, პასუხი არ მქონდა. უბრალოდ თითქოს რაღაც მინდოდა, რასაც ჯერ ჩემი არ ერქვა, ჯონათანი კი ყოველთვის ჩემი იყო, ჯონათანს უპირობოდ ვუყვარდი, ზედმეტი დაპირებების და გარანტიების გარეშე, არაფრისთვის ბრძოლა არ მჭირდებოდა, არაფრის შეხსენება, იქნებ სიყვარულს საიდუმლოებები სჭირდება, რაღაც ფურცლები, რაც მეორე ნახევარმა არ უნდა იცოდეს? არ ვიცი, რა გვაიძულებს ადამიანებს გვიყვარდეს ერთი და ხელი ვკრათ მეორეს და

მაინც დარწმუნებული არ ვიყოთ, რომ ჩვენი არჩევანი სწორია.

სამსახურში მისულს, მაგიდაზე ისევ ვარდების თაიგული დამხვდა, ვერ ვიტან წითელ ვარდებს, მაგრამ ლევანისთვის ეს არ მითქვამს, მთავარი ხომ მისგან წამოსული ყურადღებაა.

— რით დავიმსახურე ეს თაიგული? — ვეკითხები ლიმილით.

— მინდა რაღაც გთხოვო და... — ლიმილითვე მპასუხობს.

— გისმენ — ველოდები, რომ რამე ისეთს მთხოვს, რაც სამსახურს ეხება, მაგრამ ის მაგიდიდან ბილეთებს იღებს.

— ორი ბილეთი მაქვს, საღამოს თეატრში წარმომედგები?

თეატრი? ლერთო მაპატიე და ამაზე მოსაწყენი რამ ცხოვრებაში არაფერი წარმომიდგენია.

— რატომ გაჩუმდი?

მინდა გულწრფელად ვუთხრა, რომ თეატრი არ მიყვარს, მაგრამ სანამ ხმას ამოვიდებ ლევანი აგრძელებს:

— ახლა არ მითხრა, რომ თეატრი არ გიყვარს, ჩვენს ოჯახში დახვეწილი გემოვნება აქვს ყველას და თეატრში ყოველ კვირას დავდივართ, ოჯახური ტრადიციაა.

— არა როგორ არ მიყვარს. უბრალოდ ჩვენ ერთად...

— მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია ჩვენს ურთიერთობას ცოტა სხვა მიმართულება მივცეთ

— ვნახოთ. — ვპასუხობ მშვიდად და გულში ვზეიმობ, ნეტავ იცოდეთ, როგორ ვზეიმობ, თეატრსაც შევიყვარებ, ამ წითელ ვარდებსაც, მისი ოჯახის „დახვეწილ“ წევრებსაც თავზე შემოვევლები, ოლონდ კი მის გვერდით ვიყო.

თეატრში საშინლად მომწყინდა, მაგრამ გმირულად გაფუძელი რამდენიმე საათი, თავად განსაჯეთ, დაინეტრესებული სახეც კი მქონდა, სინამდვილეში ერთი სიტყვაც არ გამიგია, ლევანის ჩემი ხელი ეჭირა ხელში და მე დავფრი-

ნავდი სადღაც უსაზღვრო სივრცეში, სადღაც შენობის გარეთ, სამყაროს გარეთ, გალაქტიკის გარეთაც კი.

სახლში გვიან დავბრუნდი, ჯონათანი შემოსასვლელ კართან დამხვდა.

— სად ჯანდაბაში ხარ? იცი რამდენჯერ დაგირეკე?

— მაპატიე ჯონათ. — ლოყაზე ვაკოცე. — ტელეფონისთვის არც კი დამისხედავს, ლევანისთან ერთად თეატრში ვიყავი.

— სად იყავი? კარგად ვერ გავიგე, თეატრი თქვი? — მერე მზერა წითელი ვარდების თაიგულზე გადმოიტანა. — ამ საშინელი თაიგულით?

— გეყოფა საზიზღარო ბიჭო. — ვეუბნები და ვგრძნობ, რომ მეცინება.

— ღმერთო, ხედავ რა რთული ცხოვრება გელის წინ, იმის კეთება გიწევს რაც არ გიყვარს, საკუთარი თავი არ გეცოდება?

— მეცოდება — ვეუბნები მე და უკვე ხმამაღლა მეცინება, რამდენიმე წამში მე და ჯონათანი გიჟებივით ვხარხარებთ.

ნელ-ნელა მე და ლევანის ურთიერთობამ, როგორც თავად თქვა „ცოტა სხვა მიმართულება“ მიიღო, სამსახურის მერე დიდ დროს მასთან ვატარებდი, დავდიოდით ერთად თეტარში, ოპერაში, ბალეტზე, მაგრამ არასოდეს დავდიოდით კინოში, რადგან ლევანი თვლიდა რომ ეს დროის და ფულის ტყუილი დაკარგვა იყო, იმიტომ რომ ფილმის ნახვას მაინცდამაინც დიდი ეკრანი არ ჭირდება. საოცარი ის იყო, რომ ძალა არ შემწევდა რამეზე არ დავთანხმებულიყავი, გულის სიღრმეში ვხვდებოდი, რომ ყველაფერს ისე ვაკეთებდით როგორც მას სურდა, არც არასოდეს დაინტერესებულა მომწონდა მე თუ არა, რადგან თვლიდა, რომ ჩემი გემოვნება არასწორი გზით იყო განვითარებული და ეს ერთად უნდა გამოგვენორებინა. მას ჩემთვის კვირაში ერთხელ მოქონდა წიგნები, რომლის

არ ცოდნაც მისი აზრით განათლებული ადამიანისთვის უდიდესი სირცხვილი იყო. მე მის ყოველ ქმედებას, ყოველ სიტყვას განხილივის და კამათის გარეშე ვიღებდი, არ ვიცი, იქნებ აი სწორედ ასეთია ნამდვილი სიყვარული, რომელიც გაიძულებს საკუთარ თავზეც კი უარი თქვა, ოღონდ კი მის გვერდზე იყო.

— დღეს რა გაკვეთილი გაქვს. — მეკითხება ირონიული ხმით ჯონათანი და წიგნს ხელიდან მართმევს. — ისტორია?

— ჯონათ წიგნი დამიპრუნე.

— ისტორიას კითხულობ?

— ხო, ხომ იცი ლევანის მამა ისტორიკოსია, რამდენიმე თვეში უნდა რომ მშობლები გამაცნოს, ვნერვიულობ, არ მინდა იქ უვიცი და უსწავლელი გამოვჩნდე.

— ღმერთო ჩემო! — ბრაზდება ჯონათანი. — მისი მშობლების გასაცნობად მიდიხარ, თუ გამოცდის ჩასაბარებლად?

— გეყოფა, ისევ არ დაიწყო.

— რა გემართება? — ხმას უწეს ჯონათანი, ხელს მკიდებს, სარკესთან ძალით მივყავარ.

— რა გინდა ხელი გამიშვი.

— არა! — ჩემს უკან დგება ჯონათანი და სარკეს წინ ძალით მაყენებს. — შენს თავს შეხედე, უბრალოდ შეხედე, შენს თვალებს შეხედე, იქ ბედნიერება არ არის, იქ შიშია, დამცირების შიში, საკუთარი თავის შიში, შეხედე კარგად დაკვირდი, გვინია შეყვარებულ ადამიანს ასეთი თვალები აქვს? შენ საკუთარ თავს კლავ, საკუთარ სურვილებს კლავ, ისეთი გინდა გახდე როგორიც მას სურს? მერე რამდენ წელს გაძლებასე, — ეს თვითმკვლელობაა, არ გიყვარდეს თეტრი და საკუთარ თავს აიძულებდე ყოველ კვირა იქ სიარულს, არ გინდოდეს მოსაწყენი ცხოვრება და მაინც იქითკენ მიდიოდე, ეს გინდა, დავიჯერო ეს გინდა, ნებას რომ მომცემდე წავიდოდი და დიდი სიამოვნებით და-

ვუმტვრევდი ცხვირ-პირს მაგ ნაბიჭ-ვარს, თუ კი ისტორია არ გეცოდინება, აღარ ეყვარება? თუ კი მის მოგონილ გამოცდებს ვერ ჩააბარებ, უნდა მოგისროლოს? მითხარი ასეთი ცხოვრება გინდა?

ვუსმენდი ჯონათანს და მისი ერთი სიტყვაც არ ეყარებოდა ჩემს გულს, ჩემს აზროვნებას, ჩემს ფიქრებს, ჯონათანი ძალიან ახლოს იდგა, სხვა დროსაც ძალიან ბევრჯელ მდგარა ასე ახლოს, მაგრამ ახლა პირველად ვგრძნობდი მის ხელებს ჩემს მხერბზე, პირველად ვგრძნობდი მის სუნთქვას ჩემს სახესთან ახლოს, სარკეში ვიყურებოდი, მაგრამ ჩემს სახეს კი არა, ჩემს უკან მდგარ ჯონათანს ვხედავი, მის თვალებს, მის თითებს, მის გულისცემას, მის ტუჩებს ჩემს კისერთან ახლოს და მეგონა ტკივილი მომკლავდა, ან რაღაც, რასაც სახელი არ ერქვა.

— წამოდი! საკუთარი არსებობა უნდა გაგახსენო, უნდა გაგაღვიძო, სანამ საბოლოოდ მომკვდარხარ.

ჯონათანს უსიტყვოდ მივყები, არ ვიცი სად მივდივართ, არ ვიცი საერთოდ რა ხდება, სამყარო თავდაყირა დგას, ყველა ნივთი, ყველა გრძნობა, ადამიანები, ხები, ქუჩები, სახლები, ყველაფერი ჰაერშია, ყველაფერი ერთმანეთს ეხლება, ქაოსი და ხმაურია, ყველა გრძნობა ერთმანეთში ირევა, სიყვარული, მეგობრობა, სიძულვილი, შიში, იმედგაცრუება, ტკივილი. ასე მგონია გული წამივა. მხოლოდ ჯონათანის თითებს ვგრძნობ ჩემს წელზე, მხოლოდ ამას ვგრძნობ ნათლად, სხვა ყველაფერი ბუნდოვანია.

ჯონათანმა სახურავზე ამიყვანა. აქ ადრე ხშირად ამოვდიოდით. ჯონათანი სვიტს იხდის და ძირს აფენს.

— დაწექი! — მეუბნება ის.

მე მის სვიტრზე ვწვები, გული გამალებით მიცემს, ჯონათანი ჩემს გვერდით წვება.

— ახლა უბრალოდ ცას შეხედე, უბ-

რალოდ შეხედე.

ცა იყო საოცრად მშვიდი. ქაოსი უცნაურ სითბოდ გადაიქცა, თითქოს უცებ სამყარომ თავის ადგილი ნახა. ჯონათანმა ცოტა ხანს მაცალა, მერე კი მკითხა:

— საკუთარ თავს ასე რატომ ექცევი?

— არ ვიცი. — ვეუბნები მე და მისკენ ვტრიალდები. ჯონათანმა იცის, რომ მას ვუყურებ, მაგრამ ჩემსკენ არ იხედება, ტუჩები მოკუმული აქვს, მთელი სხეული დაძაბული, ჯიუტად წევს და სივრცეში იყურება.

— ჯონათან, ასე ძალიან რატომ გიყვარვარ? — ვეკითხები მე.

— შენ ჩემთვის გაჩნდი და მე კიდევ იმისთვის, რომ გადაგარჩინო.

— ჯონათ, ცოტა ხანს შემომხედე რა. ერთხელ უბრალოდ შემომხედე.

— არ მინდა. გაბრაზებული ვარ.

მე თავს ვანებებ და საწყის მდგომარეობას ვუბრუნდები. რა გვაიძულებს ადამიანებს ხელი ვკრათ ერთს და გვიყვარდეს მეორე და მაინც დარწმუნებულები არ ვიყოთ, რომ ჩვენი არჩევანი სწორია, რა გვაიძულებს დავადგეთ ერთ გზას და თავი ავარიდოთ მეორეს, და მაინც არ ვიცოდეთ რა დაგვხვდება გზის ბოლოს, ეგ კი არა ისიც არ ვიცოდეთ, არის კი ეს გზის დასაწყისი საერთოდ?

ხელებს ზემოთ ვწევ, თითებს შორის ზეცას ვუყურებ, თითქოს არარაფერია უცხო და გაურკვეველი, ცა არის ყველა, გულში, სხეულში, ყველა და ყველაფერი სუნთქვას.

— სვიტრი გაისწორე! — მესმის ჯონათანის ხმა. — თორებ ამ სიტუაციაში ეგ ყველაფერი ძალიან მაღელვებს.

ახლა შევამჩნიე სვიტრი მუცელტანოდან აწეული მაქვს ზემოთ.

მისმა სიტყვებმა დამაბნია, რამდენ ჯერ გამიხდია და ჩამიცვას მისი თანდასწრებით და ახლა ოდნავ ზევით აწეული სვიტრის გამო ისე შემრცხვა რომ

გავწითლდი. სასწრაფოდ ჩამოვქაჩე სვიტრი ქვემოთ, სამყარომ ისევ რყევა დაიწყო.

ჯონათანი უცებ წამოიწია და სვიტრი ოდნავ ზემოთ აწია.

— რა ჯანდაბას აკეთებ! — ხელი და-ვუჭირე.

— მოიცა სულელო გოგო, რას უნდა ვაკეთებდე! უბრალოდ არასოდეს შე-მიმჩნევია, ხალები შენს მუცელზე.

მუცელზე სამი ხალი მაქვს, ერთმა-ნეთის გვერდით.

— რა მაგარია, ნახე! აი, ასე ხაზი რომ გაავლო ერთი ხალიდან მეორემდე და მერე მესამემდე, სამკუთხედი შეიკ-ვრება, რა სიმბოლურია არა?

მისი თითები მსუბუქად ეხება ჩემს სხეულს, თვალებს ვხუჭავ. სამყარო ნაწილებად იშლება, ასე მგონია რომ ვარ ფოთოლი და სამყაროს მოვწყდი და მივფრინავ, მივფრინავ მაგრამ არა მიწისკენ, არამედ სადღაც უსასრულობაში, და მივფრინავ დიდხანს, ძალიან დიდხანს.

ჯონათანი იხრება და ჩემს ხალებს კოცნის.

— დაიმახსოვრე, დადუ ეს ადგილი მხოლოდ მე მეკუთვნის, ყოველთვის როცა სხვასთან იქნები აი ეს წამი გა-გახსენდება.

არ ვიცი რატომ მაგრამ აი ამ წუთას მთელი სამყარო მძულს, ჯონათანიც მძულს.

ის კი თვალებში მიყურებს, მიღიმს და მეუბნება — აი ასეთი თვალები აქვთ შეყვარებულ ადამიანებს.

— დამპალო ნაპიჭვარო! — ვეუბნები მე. — სწრაფად ვდგები და სვიტს ქვე-მოთ ვქაჩავ.

ერთი სული მაქვს ამ ადგილს მოვ-რშორდე, ყველაფერს მოვშორდე.

— სარკეში ჩახედვა არ დაგავიწყდეს! — მომაძახა ჯონათანმა. — და საკუთარ თვალებს კარგად დააკვირდი.

— ვერ გიტან! — ხმამალლა ვყვირი და ქვემოთ ჩავდივარ.

ასე მგონია სამყაროს ხელი ვკარი და ახლა ის იმედგაცრუებული და სა-სოწრაკვეთილი უკან მომყვება, მომ-ყვება და თან მოაქვს ჩემი ოცნებები, ჩემი ყველა ფიქრი, მოაქვს და სახეში მაყრის, მე კიდევ ჯიუტად ვიშორებ, ზურგს ვაქცევ. აბაზანაში შევვარდი და კარი მაგრად ჩავკეტე. რაღაც მახრჩობ-და, სუნთქვა მეკვროდა, აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა. სასწრაფოდ გავიხა-დე სვიტრი, ასე მეგონა მისი კოცნის კვალს წყლით ჩამოვიბანდი. დიდხნას ვიდექი წყლის ქვეშ, ბოლოს კი საკუ-თარ თავს წინააღმდეგობა ველარ გა-ვუნიე, სარკესთან მივედი და საკუთარ თვალებს დავაკვირდი და აი სწორედ მაშინ პირველად გავიფიქრე, რომ მთე-ლი ცხოვრება ბედნიერებას ვერ ვიპო-ვიდი, სანამ ჯონათანი საკუთარი სიყ-ვარულისგან არ გამათავისუფლებდა.

ამის გაცნობიერებამ ძალა წამარ-თვა, იატაკზე დავჯექი.

იმ ღამით ჯონათანი სახლში არ დაბ-რუნებულა.

დიღით სამსახურში ისე წავედი ჯო-ნათანი არ მინახავს, არ ვიცი სად იყო, მაგრამ შვებას ვგრძნობდი, რომ დი-ლით საწოლში არ დამხვდა. მთელი გზა ვფიქრობდი, რომ მისი სახლიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა წამოვსული-ყავი, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ამას მხოლოდ ვფიქრობდი, გული კი ათას საწინააღმდეგო ვარიანტს მთავა-ზობდა, ათას დაბრკოლებას, რაც მისი სახლიდან წამოსვლაში ხელს შემიშლი-და. იქნებ მთვარი ამ ყველაფერში იმის გაცნობიერება იყო, რომ მე წამოსვლა არ მინდოდა და ამაში საკუთარ თავსაც კი არ ვუტყდებოდი, რას ვაკეთებდი მის გვერდით? მითუმეტეს ახლა, რო-ცა ჩვენი ურთიერთობა საბედისწერო გახდა, როცა ჩვენი გზები ერთი მი-მართულებით აღარ მიდიოდა და ჩვენ ორივე ბეწვის ხიდზე გადავდიოდი ყოველ წუთს და წამს, რას ვაკეთებდი მის გვერდით? არ ვიცი, მხოლოდ იმას

ვგრძნობდი, რომ ახლა წამოსვლა უბრალოდ არ შემეძლო, ან არ მინდოდა.

სამსახურში უჩვეულო არაფერი ხდებოდა. ვერაფერს ვაკეთებდი, ფიქრებით სახლში ვიყავი, ნეტა მოვიდა ჯონათანი, ან რა უნდა ვუთხრა როცა დავბრუნდები, ან თვითონ რას მეტყვის?

— ცუდად ხარ? — მეკითხება ლევანი. — ორმოცი წუთია, ასე გაუნძრევლად ზიხარ.

— არ ვიცი, წუხელ თითქმის არ მძინებია, ვერ ვაზროვნებ. — ვპასუხობ უგულოდ.

— სახლში წადი, შენს საქმესაც მე დავამთავრებ. ხომ იცი, გრძნობების გამოხატვა ღიად არ მიყვარს, მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს რომ არ მიყვარხარ.

არ ვიცი მაინცადამაინც ახლა რატომ მეუბნება ამ სიტყვებს.

— ტაქსის გამოგიბხებ, — ტელეფონს იღებს.

— არ გინდა, ფეხით მირჩევნია.

— კარგი, როგორც გინდა. — ლევანი ცოტა ხანს მიყურებს, მერე კი მოდის მეხუტება. — მიყვარხარ, ეს ხომ იცი?

— ვიცი, ლევან, — ვესუტები მე. — უბრალოდ ცოტა ცუდად ვარ, სხვა არაფერი.

სახლის კარი შევაღე თუ არა, მა-შინვე ალკოჰოლის და სიგარეტის სუნი ვიგრძენი, ოთახიდან ლაპარაკის და სიცილის ხმა გამოდიოდა.

დივანზე ვიღაც გოგო იჯდა, ჯონა-თანი კი მისთვის სასმელს ასხამდა ჭი-ქაში.

— მოხვედი საყვარელო? — გამიღიმა ჯონათანმა და საათს შეხედა. — ჯერ არ გელოდებოდი, ადრე დაბრუნდი, თუ დღეს თეატრის დღე არ გქონდათ, რა-ღაც ამერიკა?

მისი სიტყვები სადღაც შორიდან მესმოდა.

ვუყურებდი გოგოს რომელიც იმ დივანზე იჯდა სადაც მე და ჯონათა-

ნი საღამოობით ვსხდებოდით და ვუ-ყურებით ნაწყვეტებს ჩვენი საყვარელი ფილმებიდან.

— შენ რა მთვრალი ხარ? — მზერა ჯონათანზე გადამაქვს.

— ჰო, სიყვარულით ვარ მთვრალი. — მეუბნება ის და გოგოს გვერდით ჯდე-ბა, ხელს ხვევს. — შენ რას იტყვი, ლა-მაზო.

გოგო უშნოდ იკრიჭება, აშკარად ქუჩიდან მოყვანილი კაბპაა. ისეთი შეგ-რძნება მაქვს, თითქოს გამყიდეს, აი ასე უბრალოდ ქუჩაში გამიყვანეს და გამყიდეს. თითქოს ის გოგო კი არა, მე ვიყავი ვიღაც უცხო ამ ოთახში, ვიღაც ზედმეტი, რომელიც სადღაც ქუჩიდან სხვის ცხორებაში შემოეხეტა.

— ახლავე წავიდეს ეს კაბპა აქედან!

— ვეუბნები ჯონათანს?

— რატომ, არ მოგწონს?

მე ნერვებმა მიმტყუნა, გოგოს ხე-ლიდან ანთებეული სიგარეტი გამოვარ-თვი და სასმელით სავსე ჭიქაში ჩავაგ-დე. — აქ არ ვეწევით.

— ეს გიუი ვინ არის? — როგორც იქნა ხმა ამოიღო გოგომ.

— შენ არავინ გეკითხება, აიღე შენი ნივთები და მოუსვი აქედან. — ვაცნო-ბიერებ, რომ ხმამაღლა ვყვირი, მაგ-რამ ეს დიდად არ მალელვებს, გოგოს ხელს ვკიდებ და კარებისკენ მივათრევ. ჯონათანი მიყურებს, მაგრამ ჩემს შე-ჩერებას არ აპირებს. გოგო სახლიდან გავაგდე და კარები ჩავკეტე. მერე ჭი-ქები, თებშები, ერთიანად მოვხვეტე და ნაგვის ურნაში მოვისროლე, ყველაფე-რი დავლენე, რასაც კი, ჩემი აზრით, მათი ხელი შეეხო.

ჯონათანი დივანზე იჯდა, მშვიდად, ვიცოდი რომ ზღვარს გადავცდი, იქ-ნებ სასაცილოც ვჩანდი მის თვალში, მაგრამ გაჩერება არ შემეძლო, პრაზი ნიაღვარივით აწვებოდა ჩემს სხეულს, ჩემს გონებას, და მე ამ ნიაღვარს ვერ შევაკავებდი.

— ეს წყეული დივანი აქედან მოაშო-

რე, თვალით რომ აღარ ვნახო, გასაგებია? – ბოლო ხმაზე ვყყირი. – სადაც გინდა წაიღე, სულ ერთია, თუნდაც ქუჩაში დააგდე, გინდა დაწვი, ოღონდ აქ არ დავინახო.

ჯონათანს ნელ-ნელა ეღიმება.

– რა უცნაური გოგო ხარ დადუ, ვერც კი ხვდები როგორ გიყვარვარ.

– არ მიყვარხარ! – ვპასუხობ მე და მის წინ ვდევები. – რამდენჯერ უნდა გითხრა, არ მიყვარხარ.

ჯონათანი დგება.

– რატომ აკეთებ ამას?

მე მას სახეში დავარტყი, მას წინა-აღმდეგობა არ გაუწევია, ცხვირიდან წამოსული სისხლი მშვიდად მოიწმინდა.

– შენ ვერასოდეს წახვალ ჩემგან სანამ მე არ გაგიშვებ! – მითხრა და ოთახიდან გავიდა. მე ჩანთას ხელი დავტაცე და ქუჩაში გამოვედი. უკან არავინ გამომკიდებია.

არ ვიცოდი საით გავრბოდი, საკუთარ გულისცემას გვრძნობდი, ცრემლების სიმლაშეს, ენით აუწერელ სიბრაზეს და არ ვიცი, გაურკვევლობას. ცოტა მანძილი რომ გავიარე მერე გავაცნობიერე, რომ უკვე ბნელოდა და წასასვლელი არსად მქონდა.

სამსახურში დავბრუნდი, მეგონა აღარავინ დამხვდებოდა დარაჯის გარდა, მაგრამ ლევანი ჯერ სახლში არ წასულიყო.

– რა მოხდა? – მეტოხა გაოცებულ-მა. – აქ რა გინდა?

– იცი პრობლემაა რაღაც, ჩემს მეგობარს დღეს ბინა სჭირდება, ხომ ხვდები, აბა, სხვა გზა არ იყო, უნდა წამოვსულიყო და... – ვცდილობ და-მაჯერებელი ვიყო.

– მერე ვერ დამირეკე?

– არ მინდოდა შენი შენუხება.

– კარგი, ჩემთან წავიდეთ, აქ ხომ არ დარჩები?

– არა ლევან, ახლა არა, აქ დავრჩები, გთხოვ.

ლევანი გაოცებული მიყურებს-აქ

სად დაიძინებ?

– მნიშვნელობა არ აქვს, ახლა ვერ-სად ვეღარ წავალ, აი, აქ სავარძელში დავიძინებ.

– რა ჯიუტი ხარ. კარგი, მანქანა-ში პლედი მაქვს, ამოგიტან და მეც აქ დავრჩები.

– კარგი.

დავჯექი თუ არა საოცარი დაღლილობა ვიგრძენი, სხვას არაფერს ვგრძნობდი, ასე მეგონა ცარიელი ვიყავი. ლევანი მალე დაბრუნდა, პლედი დამაფარა ჩემს ფეხებთან იატაკზე დაჯდა. ვუყურებდი მის სახეს და ნელ-ნელა სიმშვიდე მიბრუნდებოდა.

– ლევან რისი გეშინია ყველაზე მეტად?

– არ ვიცი დადუ, შენ?

– მე, მე მეშინია წახევრად აშენებული შენობების.

– უცნაური გოგო ხარ, რატომ გეშინია?

– არ ვიცი ლევან, ვუყურებ ხოლმე ამ წახევრად აშენებულ შენობებს და მათი სიცარიელე საოცრად მაშინებს. იმ ადამიანებს გვანან ვინც შინაგანად ყოველთვის ცარიელია.

ლევანი აღარაფერს მეუბნება. უბრალოდ მიყურებს, მისი მზერა მამშვიდებს. ვგრძნობ რომ თვალები მესუჭება.

– იცი, ჯონათანს რისი ეშინია ყველაზე მეტად? – წახევრად მძინარე ვამბობ და, სანამ ლევანი რამეს მეტყვის ვპასუხობ: – იმის, რომ ოდესმე ხელს გავუშვებ.

– ჯონათანი რატომ ახსენე? შენ-თვის ჯონათანი ასე მნიშვნელოვანია?

– ჯონათანი ჩემი... – თვალები მესუჭება და ფრაზას ვეღარ ვამთავრებ.

წახევრად აშენებულ კორპუსში ვიყავი. ირგვლივ სიბნელე იყო, მაგრამ საკუთარ თავს რატომღაც ვხედავდი. ღია კედლებიდან ქარი უტერავდა. მე ერთი სართულიდან მეორე სართულზე ჩავ-

დიოდი, მერე უკან ვბრუნდებოდი, კედლებს ვაწყდებოდი, რომლებიც სინამდვილეში არც იყო, გასასვლელს ვეძებდი, გასასვლელი კი არ ჩანდა. ტირილი მინდოდა და ვერ ვტიროდი, მხოლოდ შიშს ვგრძნობდი და ქარს. დაკარგული ვიყავი, ყველასგან შორს მყოფი, ასე მეგონა არავინ მყავდა და უცებ, მივხვდი თითქოს, რომ გადამარჩენდა, ჯონათანი... ჯონათან – ვყვიროდი მე, მაგრამ პასუხს არავინ მცემდა. ჯონათან, ჯონათან... ირგვლივ არავინ იყო. უცებ საიდანლაც სარკე გაჩნდა და სარკეში საკუთარი თავი დავინახე, მაგრამ მე მე არ ვიყავი, სარკეში ჯონათანი იყო, მე ჯონათანის სახე მქონდა. თითქოს ერთი მთლიანი ვიყავით, ერთი სულით, ერთი სხეულით. ჯონათანს კარგად დავაკვირდი, მას ჩემი თვალები ქონდა, ჯონათ, ჯონათ, რატომ არ მოდიხარ? ჯონათანის სილუეტი სარკიდან თანდათან გაფერმკრთალდა და ბოლოს სულ გაქრა, იქ ახლა ჩემი სახე იყო, მაგრამ საშინელება იყო, თვალები არ მქონდა, ვხედავი საკუთარ თავს, მაგრამ თვალების ადგილას შავი სიცარიელე იყო. სუნთქვა მიფირდა. ვიხრჩობოდი, ყვირილი მინდოდა და ხმა აღარ მქონდა. კედელს მივეყრდენი, მაგრამ კედელი არსად იყო და მე სადღაც უსასრულობისკენ გადავეშვი. ამ დროს გამომეღვიძა, გული გამალებით მიცემდა, მთლიანად ოფლში ვცურავდი.

პირველი რაც სახლში დაბრუნებულს თვალში მომხვდა ოთახში არსებული სივრცე იყო, მერე გავაცნობიერე რომ დივანი ოთახში აღარ იდგა. ჯონათანი ფანჯარასთან იდგა, ჩემსკენ ზურგით. ვერ ვხედავდი მის სახეს, მაგრამ ვგრძნობდი, თითქოს შორს იყო ჩემგან, სადღაც სხვაგან.

– იცი წუხელ მთელი ღამე არ მიძინია, გელოდებოდი, – ამბობს ის მშვიდი ხმით, მაგრამ ეს სიმშვიდე მოჩვენებითია.

არ ვიცი რა ვუპასუხო, ხმის ამოლების მეშინია.

– სად იყავი? – ჯონათანი ჩემკენ ტრიალდება. – სად იყავი, დადუ?

– სამსახურში მეძინა – ვეუბნები მე და ჩანთას მაგიდაზე ვდებ. – მშვენივრად იცი წასასვლელი არსად მაქვს.

– ლევანიც იყო?

– კი ისიც იყო.

– ამის დედაც – მაგიდაზე ხელს არტყამს ჯონათანი, – ასე რატომ მექცევი? რატომ არ გიყვარვარ, რატომ?

მინდა ვუთხრა, რომ ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა, რომ მე შესაძლოა ვერ გავრკვეულვარ რა მინდა, რომ მის გარეშე ცხოვრება ჩემთვის ერთი დიდი სიცარიელეა, კიდევ ბევრი რამის თქმა მინდა, მხოლოდ მას რომ ვეტყვი ისეთი რაღაცების თქმა, მაგრამ ვუყურებ და ის ჩემი ჯონათანი აღარაა, რაღაც შეცვლილია მასში და ამ ყველაფურის ნაცვლად რატომლაც ვეუბნები.

– რა უნდა გავაკეთო, რომ თავი დამანებო ჯონათ?

– უკვე გააკეთე. წუხელ მასთან იყავი? ერთად იყავით?

– რას გულისხმობ.

– მშვენივრად იცი.

არ ვიცი უცებ რატომ ვბრაზდები.

– მხოლოდ ეს გალელვებს? ამის გამო შემიძულე, რომ შესაძლოა მასთან ვიწექი?

– ეს საკმარისი მიზეზი არ არის? – ხმას უწევს ჯონათანი. – მე ყოველთვის შენ გვერდით ვიყავი, ყოველთვის, ნუთუ ეს ტკივილი დავიმსახურე.

– ოდესმე შენთვის რამე მითხოვია?

– უმადური ხარ! – მეუბნება ის და მე პირველად ვხედავ მის თვალებში რაღაც სხვას, სიძულვილს, იმედგაცრუებას, ტკივილს. თუნდაც მთელმა სამყარომ მიმატოვოს, ოღონდა მან არა, თუნდაც ყველას ვძულდე, ოღონდ ჯონათანს არა. უცებ ისტერიული ტირილი მივარდება, არც კი ვიცი რას ვაკეთებ.

– შენთან რომ ვიყო, ისევ შემიყვა-

რებ? მოდი, ნუთუ ეს არის მხოლოდ მნიშვნელოვანი? – მე სწრაფად ვიხდი შარვალს, მაისურს, ისე სწარაფად რომ ჯონათანი ხმის ამოღებასაც ვერ ასწრებს. – მხოლოდ ეს გინდა? მოდი თუ მხოლოდ ესაა პრობლემა. – მის წინ თითქმის შიშველი ვდგავარ.

ჯონათანი რამდენიმე ნაბიჯს დგამს უკან და დაძაბული ხმით ამბობს:

– თუ კი აქამდე ვერ დააფასე ჩემი სიყვარული და თუ გგონია, რომ მხოლოდ ეს მინდა და თან ასეთი სახით, წყეულიც იყავი, გაეთრიე ჩემი სახლიდან, ჩემი ცხოვრებიდან, წადი და აღარასოდეს დაბრუნდე.

– ჯონათ ასე ვერ მომექცევი! – მასთან მივდივარ, ვცდილობ ჩავეხუტი, ის კი თავიდან მიშორებს, ხელს მკრავს.

– შენს თავს შეხედე, შეხედე, რა უქენი საკუთარ თავს, შენი დანახვაც აღარ მინდა.

ჯონათანი ხელს მკიდებს და კარებისკენ ძალით მიმათრებს. მე არ მახსოვს რას ვამბობდი, მახსოვს მხოლოდ ის რომ გულისწასვლამდე მტკინეული იყო მისი ყოველი სიტყვა, მისი სიცივე. მან ოთახიდან გამაგდო და კარი მოხურა. მე იქვე დავჯექი იმ იმედით რომ ჯონათანი ასე უბრალოდ ვერ დამტოვებდა. ცოტა ხანში კარი გაიღო და მან ჩემი ტანსაცმელი სახეში მომაყარა.

– შენზე გული მერევა! – მითხრა და კარი დახურა.

ძალიან ნელა ჩავიცვი ჯერ შარვალი, მერე მაისური. ვერ ვაცნობიერებდი რა ხდებოდა ჩემს თავს. მის კართან მათხოვარივით ვიდექი.

– ჯონათან, ჯონათან, კარები გამიღე.

– მე ჯონათანი არ მქვია! – მომეს-მა კარს უკან და ვიგრძენი აღარაფერი იქნება ძველებურად რადგან იმ წუთას სამყარო მოკვდა.

ქუჩაში შიშველი ფეხებით მოვდიოდი, ვხედავდი თითქმიდან სისხლი მდიოდა, მაგრამ ეს ტკივილი უმნიშვნელო

იყო, იმასთან რასაც ჩემი სული განიცდიდა. აღარაფერი იყო ირგვლივ, აღარაფერი რისთვისაც სიცოცხლე ღირდა, მხოლოდ სიკვდილი, მხოლოდ აუტანელი სიცარიელე. აღარაფერი სუნთქვდა, ყველა წავიდა. სამყარო მოკვდა.

ლევანს არაფერი უკითხავს, არც საყვედური უთქვამს, ჩემთვის პატარა და კომფორტული ბინა ნახა, სიმართლე გითხრათ ყველაფერი სულ ერთი იყო.

– გინდა რომ დავრჩე?

– არა ლევან, მარტო მინდა და გთხოვ, ახლა უნდა მაპატიო, ამ ყველაფერზე აუცილებლად ვილაპარაკებთ.

– ხო რა თქმა უნდა – ამბობს ის და მიდის.

მე იატაკზე ვწვები. არ ვიცი რა ვიფიქრო, ან სად წავიდე? ფიქრები ერთბაშად მოდის და მათ გაანალიზებას ვერ ვასწრებ, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი სადღაც შორს დამრჩა. და მაინც რა არის ადამიანის ცხოვრების აზრი? იქნებ სიკვდილი ასეთ დროს შვებაა? იქნებ სიცოცხლე როცა აღარ ღირს, სწორედ მაშინ უნდა წახვიდე? იქნებ ამაშია მთელი არსი და ბედნიერება, წახვიდე მაშინ, როცა სიკვდილი უფრო მარტივია, ვიდრე სიცოცხლე? ან იქნებ პირიქით? იქნებ ეს ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ მივხვდეთ რა გვინდა? ის რაც ჩვენშია, სადღაც სიღმრეში, იქნებ ასეთ დროს ზედაპირზე ამოდის, სულში გვიძვრება, სხეულს გვიწმლას, ნელ-ნელა გვკლავს, ან პირიქით სიცოცხლეს გვჩუქნის? იქნებ უბრალოდ უნდა გაუძლო? მაგრამ ღმერთო, რა რთული მეჩვენებოდა ეს გაძლება. უფრო მარტივი იქნებოდა სადმე მაღლიდან ფრთების გაშლა, მაგრამ მე ფრთები არ მქონდა, აღარც სხეულზე და აღარც სულში. და აი ახლა ამ წუთას, როცა იატაკზე ვწევარ და ვფიქრობ რომ სიკვდილია თავისუფლება, ჯონათანისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა, რომ გეკითხათ, სინამდვილეში რა მსურდა, მაინც არ ვი-

ცოდი. იქნებ ეს იყო ის ერთადერთი სიყვარული, რომელიც მე მეკუთვნოდა? საოცარია ადამიანის ბუნება, ყველაფერს იკვლევს, ყველაფერს სწვდება მისი გონება, მხოლოდ საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებს, რამდენჯერაც არ უნდა წავიდეს წინ, ბოლოს მაინც უკან ბრუნდება, ბრუნდება იქ, საიდანაც დაინტ და დიდი ძალაა საჭირო, რომ არ გაჩერდეს. ეს ძალა კი მე აღარ მქონდა. იატაკიდან ვდგები. ფანჯარას ვალებ. ნეტა რას გრძნობენ ადამიანები სიკვდილის წინ, ან მერე? იქნებ მერე აღარაფერია და თუ ასეა, მაშინ ჯონათანს ველარასოდეს ვნახავ, მე კიდევ ჯერ უნდა ავუხსნა, უნდა იცოდეს, რომ ჩემი ცხოვრება მის გარეშე არაფერია და მასთან ერთად? ფანჯარას ვცილდები, და მასთან ერთად? ჩემი გონება ჯიუტად იმეორებს ამ კითხვას და მე პასუხი არ მაქვს. მასთან ერთად... რატომ არ შემიძლია უბრალოდ მიყვარდეს. ტელეფონს ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ვამოწმებ, იქნებ დარეკა და ვერ გავიგე, იქნებ მომწერა. სისულელეა, ასე უბრალოდ ვერ შემიძულებს. თავს ვიმშვიდებ, მახსენდება რამდენ-ჯერ ასე წაგვჩხუბია და მერე, ის ყოველთვის დაბრუნებულა უკან, ჩემთან, ახლაც ასე იქნება, ახლაც ასე იქნება. არ ვიცი როდის ჩამეძინა.

მეორე დღეს ლევანმა ჩემი ნივთები მომიტანა.

— ეს სამსახურში მოიტანეს, შენი ნივთებია, — მითხვა ისე თითქოს თვითონ დაეშავებინოს რამე.

— რას ქვია სამსახურში მოიტანეს? ვინ მოიტანა? — ვცდილობ აღელვება დავმალო, მაგრამ არაფერი გამომდის, ყველაფერი თავიდან იწყება.

— კურიერმა მოიტანა.

— კურიერმა, წარმოგიდგენია, ამდენი ხნის მეგობრების შემდეგ, ისიც კი არ უნდა რომ მნახოს, წარმოგიდგენია?

— დამშვიდდი, დადუ, — მეუბნება ლევანი. — ვიცოდი, რომ ეს ამბავი კარ-

გად არ დასრულდებოდა, რამდენჯერ მითქვამს, რომ არ არსებობს მეგობრობა გოგოს და ბიჭს შორის, მით უმეტეს შენ იცოდი, რომ მას ყოველთვის უყვარდი.

— თუ გინდა რომ მისყვედურო მიდი, ბარემ შენც წადი, ბარემ ყველამ თავი დამანებეთ! — თავს ვკარგავ, ვგრძნობ რომ ხმას ვუწევ.

— არც მიფიქრია შენი მიტოვება. მიუხედავად იმისა რომ შენი არ მესმოდა და ვინ იცის, რამდენჯერ ლამეები გამითევია ეჭვიანობით, შენთვის მაინც არასოდეს არაფერი მითქვამს, რადგან ვიცოდი, ყველა წავა ვინც წასასვლელია, სიყვარულით კი ერთხელ გვიყვარს, ასე არ არის?

ვუყურებ ლევანს და ძალიან მინდა რამე კარგი ვუთხრა, მაგრამ იმ წუთას ჩემში კარგი არ იყო არაფერი, ერთი წვეთი სითბოს გაცემაც კი არ შემეძლო, არც სიყვარულის. არც ლევანის დაუძალებია რამე, ის ისევ მშვიდად წავიდა, თითქოს ხვდებოდა, რომ მის იქით სხვა გზა არ დამრჩენოდა, თითქოს მას ქონდა მხოლოდ უფლება გადავერჩინე.

ჯონათანს ჩემი ყველა ნივთი უკლებლივ გამოეგზავნა და არა მხლოდ ჩემი, ყველა ის ნივთი რაც კი ოდესმე მისთვის ვიყიდე, ჩაის ფინჯანი, ჩარჩო სურათისთვის, სამაჯური, ჩვენი ფოტოები, ყველაფერი თავიდან მოეშორებინა, რაც კი ჩემს თავს გაახსენებდა, ასე უბრალოდ ადგა და მოისროლა, მოგონებები, სიყვარული, მეგობრობა, ერთად გატარებული დღეები და წუთები, აღარაფერი დაეტოვებინა, აღარაფერი უნდოდა ჩემგან. აუტანელია, როცა ხვდები, რომ რაღაც რაც სამუდამოდ შენი გეგონა, უცებ სადღაც ქრება და სიცარიელეს გიტოვებს მხოლოდ. ესე იგი ასე ხომ? წასვლა გადაწყვიტეთ? ძალიან კარგი, სარკესთან ვდგები, საკუთარ თავს ვუყურებ, სა-

კუთარ თვალებს, ისე ვაკვირდები ჩემს ანარეკლს, თითქოს პირველად ვხედავ, იქნებ ასეცაა, მე ხომ ის აღარ ვარ რაც აქამდე ვიყავი. ჯონათანი თუ გაძლებს ჩემს გარეშე მე მითუმეტს... თუ მის-თვის ასე მარტივია ადგეს და წავიდეს, მაშინ არც არაფერი დაკარგულა მნიშვნელოვანი. მხრებში ვიშლები, თავს ზემოთ ამაყად ვწევ. ნელა ვიღებ ჯონათანის გამოგზავნილ ნივთებს და სა-თითაოდ ნაგვის ურნაში ვყრი, ასე მგონია ეს რიტუალი მისი სიყვარულისგან გამათავისუფლებს, ისევ ბეჭდიერების მოპოვებას შევძლებ, განა ოდესმე დავ-მარცხებულვარ? მე ხომ მზის სხივები-ანი გოგო ვარ, ვარსკვლავებიანი გოგო. მის გარეშე ცხოვრებასაც ვისწავლი, ტკივილის დავამარცხებ, ან შევეგუები მაინც. ფანჯარას ვაღებ, სუფთა ჰა-ერს ღრმად ვსუნთქავ, თითქოს შვებას გრძნობ, მხოლოდ მუცელზე ის ადგილი, სადაც სამი ხალი მაქვს, ასე მგონია საშინლად მეწვის.

მიუხედავად იმისა რომ ჯონათანის დავინუება გადავწყვიტე, ჩემი დღე მა-ინც იმაზე იმედით იწყებოდა, რომ ტე-ლეფონს დავხედავდი და მის მესიჯს ვნახავდი, ან გამოტოვებულ ზარს, ან კარს გავალებდი და კართან დამხვდე-ბოდა, ან სადმე ქუჩის ბოლოს, მოვი-დოდა და ისევ ყველაფერი თავის ად-გილას დადგებოდა, პირველი სამი კვი-რა თითქმის არ მიძინია, ტელეფონით ხელში ვჯდებოდი სანოლზე, ვიჯექი და ველოდებოდი, დრო უსაშველოდ ნე-ლა გადიოდა, თვითოეული წამი უდი-დეს ტანჯვას მაყენებდა, ყოველი წუ-თი მკლავდა. ხანდახან სუნთქვაც კი მიჭირდა, სხეული მტკიოდა, ყვირილი მინდოდა, რაღაც უსაშველო სიბნელე-ში ვიყავი, არსაიდან არავინ ჩანდა ვინც სიმშვიდეს დამიბრუნებდა. თითქმის არაფერს ვჭამდი, არც სახლიდან გავ-დიოდი, ლევანსაც აკუკრძალე ჩემთან მოსვლა, სარკეში ჩახედვაც არ მინდო-

და, საკუთარი თვალები და გარეგნობა მაშინებდა, და მაინც თუ ოდესმე სადმე თვალს მოვკრავდი საკუთარ ანარეკლს, მასში მხლოდ სიცარიელეს ვხედავი, ჩემში სხვა აღარაფერი დარჩენილიყო.

მეოთხე კვირას ვიგრძენი რომ ძა-ლა აღარ მქონდა, ვეღარც ვტიროდი, საკუთარ თავს ტელეფონთან მისვლა ავუკრძალე, დღეში მხოლოდ ორჯერ ვამოწმებდი, დილით და დაძინების წინ. ნელ-ნელა თავს ვაძულე დღეში ერთხელ მაინც სრულფასოვნად მეჭა-მა და ოთხი-ხუთი საათი მაინც დამე-ძინა. ასეთ რეზიმში კიდევ ორი კვირა გავიდა, ფიზიკურად თავს ისე სუსტად აღარ ვგრძნობდი. ორი თვის მერე პირ-ველად ვიგრძენი, რომ ტკივილი ისეთი მძაფრი აღარ იყო, ჩემი სხეული მოეშ-ვა, გონებაც გამუდმებით ჯონათანზე აღარ ფიქრობდა. ყოველ დილით ადრე ვიღვიძებდი, სახლს ვალაგებდი, ვკით-ხულობდი, მუდმივად რაღაცით ვიყავი დაკავებული, რომ არ მეფიქრა, ტელე-ფონს მხოლოდ დილით ვამოწმებდი და ისიც ორ დღეში ერთხელ. სამი თვის შემდეგ პირველად გავედი ქუჩაში, პირ-ველი ნაბიჯის გადადგმისთანავე შიშმა შემიპყრო, რომ სადმე ჯონათანს გა-დავეყრებოდი, იმდენად მძაფრი იყო ეს შეგრძნება, რომ ნაბიჯს ავუჩქარე, ცოტა ხანში ვიგრძენი, რომ უმისამარ-თოდ გავრბოდი. ეს შეგრძნებები თით-ქმის ორი კვირა გამყვა, მაინც ჯიუტად გამოვდიოდი სახლიდან ყოველ დილით, თავდაჯერებული, თავაწეული, მაგრამ ეს სიმამაცე მხოლოდ რამდენიმე წუთს მყოფნიდა, მერე კი მეჩვენებოდა, რომ მთელ ქუჩას თვალები ქონდა და მთე-ლი ქუჩა, მთელი სამყარო, ადამიანები, იმისთვის არსებობდნენ, რომ ჩემთვის ეცქირათ, მეჩვენებოდა რომ ვიღაც კი-ოდა, უკან ვიყურებოდი, არავინ იყო, სიცარიელე მხოლოდ და მე შიში მიპ-ყრობდა, ნაბიჯს ვუჩქარებდი და ბო-ლოს გიუგით გავრბოდი, მანამ სანამ არ ვიგრძნობდი, რომ მეტი აღარ შე-

მეძლო, მხოლოდ მაშინ ვჩერდებოდი. იქვე სადაც ვიყავი ვჯდებოდი, თვალებს ვხუჭავდი და საკუთარ თავს ვუხმობდი რომ მოსულიყო ჩემთან, რადგანაც მივხდი, რომ თუ გინდა გადარჩე, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს, რომ სხვა ადამიანები არ არსებობენ, რომ ამ ბრძოლაში ყველა მარტოა. ნელ-ნელა ვმშვიდდებოდი და ოთხი თვის შემდეგ უკვე ჩეულებრივად შემეძლო ქუჩაში გასვლა.

და როდესაც ერთ დღესაც ფანჯარა გამოვალე და ჩემმა ქვეცნობიერმა გააცნობიერა, რომ უკვე ორი კვირა გასულიყო, რაც ტელეფონისთვის არ შემიხედავს, მივხდი, რომ ტკივილს აღარ ვგრძნობდი, არ სიცარილეს, მხოლოდ სევდას და ამან რატომდაც ღიმილი მომგვარა. მეორე ოთახში გავედი, მაგიდიდან ტელეფონი ავიღე და ლევანს დავურუკე.

ლევანი ისე დაბრუნდა ჩემთან, თითქოს ეს ოთხი თვე არც არსებულა. მოვიდა ისე როგორც მოდიან დიდსულოვანი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გაპატიონ უდიდესი შეურაცხყოფა, უდიდესი ტკივილი და იმედგაცრუება. მოვიდა ისე, როგორც ვერ მოვიდოდა ბევრი, მშვიდი და საყველურების გარეშე.

— მიხარია რომ დამირეკე, სიმართლე გითხრა იმედი თითქმის აღარ მქონდა.

მე დავჯექი მის გვერდით და ვუამბე ყველაფერი, რაც განვიცადე, ვუამბე ჩემი ეჭვების, შიშების და ტანჯვის შესახებ. ეს იყო თითქოს ამოსუნთქვა, შვება, როცა იცი, რომ შენს მარტობას ვიღაც შეეხიდა, რომ შენსკენ სავალ გზას ვიღაც სხვაც დაადგა. ლევანი მისმენდა და ვერ გაიგებდი, რას გრძნობდა, ან რას ფიქრობდა, მაგრამ ვიცოდი, თუ კი ამ ქვეყნად სიყვარული არსებობდა, სწორედ ეს იყო.

— მე მგონია, რომ ჯონათანს ერთხელ უნდა დაელაპარაკო, საპოლოოდ და დამშვიდდები, — მითხრა მან.

— რატომ, რა აზრი აქვს?

— აქვს, წლების მერე იქნებ ინანო, რომ არაფერი სცადე გარდა წასვლისა, იქნებ დაბრუნება უფრო სწორია?

— არ ვიცი, ლევან, ამას შევძლებ თუ არა.

— თუ თვლი, რომ ვერ შეძლებ, ესე იგი ჯერ არც არაფერი დამთავრებულა. — ამბობს ლევანი სევდიანად. — ასე არ არის?

ვცდილობ გადავარწმუნო (ან იქნებ საკუთარი თავის გადარწმუნება უფრო მინდა).

— თუ ასე გინდა წავალ და დაველაპარაკები.

— მე არაფერი მინდა, იმის მეტი, რომ ჩემს გვერდით იყო, — მეუბნება ის და ჯიბიდან ბეჭედს იღებს — ეს დიდი ხნის წინ ვიყიდე შენთვის, მაგრამ გამბედაობა არ მეყო შენთვის ცოლობა მეთხოვა, ახლა აიღე, მინდა რომ შენ გქონდეს, შეინახე და მხოლოდ მაშინ გაიკეთე, როცა მიხვდები, რომ მზად ხარ.

ლევანი ბეჭედს მაგიდაზე დებს. არასოდეს მინახავს ასეთი დაბნეული. არ ვიცი იმ წუთას რას ვგრძნობდი, ან რას ვფიქრობდი, მხოლოდ ის მინდოდა, რომ ლევანი ბედნიერი ყოფილიყო. იქნებ სწორედ ეს არის სიყვარული, როცა არ შეგიძლია, სევდიანს უყურო. იქნებ ესაა სიყვარული, როცა არ იმსახურებ და მაინც ცას გჩუქნიან?

— კარგი ლევან, წავალ და დაველაპარაკები. — ვუთხარი მე, მერე მაგიდიდან ბეჭედი ავიღე და თითზე გავიკეთე.

ჯონათანს ჩემი მისვლა არ გაკვირვებია, არც სიხარული გამოუხატავს და არც ზიზლი.

— შემოდი — მითხრა გულგრილად.

საოცარი იყო, თითქოს ვერაფერს ვგრძნობდი, თითქოს ჩემი სხეული აქიყო, გონება და სული კი სხვაგან.

— როგორ ხარ ჯონათან?

— მე ჯონათანი არ მქვია. — მეუბნება მშვიდად.

- კარგი, როგორ ხარ?
- ნორმალურად. შენ? ძალიან გამნედარი ხარ.
- მეც კარგად ვარ, ოთხი თვე გავიდა.
- ხო ოთხი თვე და ცოტა მეტი, - იღიმის ჯონათანი. - ჩაის დალევ? მაპატიი, ყავა არ მაქვს, მე ხომ იცი, არ ვსვამ და რაც შენ წახვედი...
- ჯონათანი წინადადებას არ ამთავრებს, რაღაცნაირად გულგრილია ყველაფრის მიმართ. უცებ მინდება, რომ ყველაფერი მომიყვეს, ეს ოთხი თვე როგორ იყო, თუ ვენატრებოდი, რას ფიქრობდა, რას გრძნობდა, მაგრამ არაფერს ვეკითხები.
- ჩაის დავლევ, - ვეუბნები მე.
- ჯონათანის ყველა მოძრაობს ვაკვირდები, ის კი არც მიყურებს, მელაპარაკება, მაგრამ არ მიყურებს.
- მომიყევი როგორ ცხოვრობ, - ვეკითხები მე, თორემ სიჩუმე უკვე აუტანელი მეჩვენება.
- რა გითხრა, აბა, - მხრებს იჩეჩავს.
- ჩვეულებრივ, შენ კი, როგორც ჩანს, დანიშნულხარ, - ცოტა ხანს ჩემს ხელს უყურებს.
- ხო ასეა, - ვეუბნები მე და საშინელ უხერხულობას ვგრძნობ, ველოდები რომ მომილოცავს, მაგრამ ჯონათანი დუმს.
- მეც წასვლას ვაპირებ აქედან, მთაში უნდა დავპრუნდე.
- რატომდაც საკუთარი გულისცემა მესმის.
- იქ რა უნდა აკეთო?
- და აქ რას ვაკეთებ, ახლა მხოლოდ მთა თუ მიშველის, ჩემი წინაპრების სახლში დავპრუნდები.
- გამოდის რომ ველარ გნახავ?
- ჯონათანი უმნიშვნელოდ შეკრთა, მაგრამ არ შეიმჩნია.
- და ამას რამე მნიშვნელობა აქვს?
- მომიგო ისევ მშვიდად.
- მე არაფერი მითქვამს, უბრალოდ გავულიმე, სევდა იყო ყველგან.

- მინდა რომ მაპატიო და მინდა ბედნიერი იყო ჯონათან.
- კარგი, - მომიგო მან და ჯონათანი, რომ დავუძახე აღარ გაუპროტესტებია, ამან ცოტა შვება მომგვარა.
- მეტი სალაპარაკო აღარაფერი დაგვრჩენოდა. მთელი ოთხი თვე იყო ჩვენს შორის, საშინელი ოთხი თვე. საოცარია ადამიანის ბუნება, როგორ უცებ ივიწყებს თურმე იმას რაც საუკეთესო იყო მათ შორის და რჩება მხოლოდ გაურკვეველი გრძნობები, რაღაც ტკივილის და სევდის ფერი. როცა ოთახიდან გავდიოდი ვერ მოვითმინე.
- ჯონათან, მე ბედნიერება გისურვე, შენ არ მისურვებ?
- მან უბრალოდ შემომხედა და მითხრა:
- ნეტა შემეძლოს.
- მე წამოვედი და მივხვდი, ეს სიმშვიდე მოგონილი იყო, მას ისევ ისე სტკიოდა როგორც ითხი თვის წინ. წასვლისას კიდევ ერთხელ მოვიხედე უკან. ჯონათანი ფანჯარასთან იდგა, დიდი ჩაის ფინჯნით ხელში, სწორედ ეს სურათი მახსოვდა დიდი ხნის მანძილზე, მანამდე სანამ ცხოვრება კიდევ ერთხელ შეგვახვედრებდა.
- მე ქვემოდან ხელი დავუქნიე, გავულიმე და ვუთხარი: „ჯონათან, ნეტავი ჩემზე ბედნიერი იყო“, მაგრამ მისი ფანჯარა შორს იყო და მას ეს სიტყვები არ გაუგია.
- მე და ლევანი მალე დავქორნინდით. ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერი არ ვიყავი მის გვერდით, ყველა შიში, ყველა ეჭვი სადღაც გაქრა. მეც შევიცვალე, უფრო დახვერილი და თავშეკავებული გავხდი. ძველი ბავშვური ქცევები და გატაცებები დავივინყე. კი, კი ნამდვილად ეს იყო სიყვარული და ბედნიერება, მაგრამ ხანდახან სულ რაღაც წამით თავდაჯერებულობას ვკარგავდი და უსაშველო სევდა მისყრობდა, მეჩვენებოდა, რომ ყველგან იყო ცხელი უდაბნო და

მე სულ მარტო ვიდექი ამ უდაბნოში, რაღაცნაიარად დაკარგული, ყველას გარეშე, ვიდექი და არ ჩანდა გზა, არ ჩანდნენ ადამიანები, არაფერი იყო, ოქროსფერი ქვიშისა და საკუთარი თავის გარდა. ეს შეგრძნება ბოლოს მიღებდა, ზალას მაცლიდა, მაგრამ მე უკვე საკუთარი გრძნობების და თავის გაკონტროლება შემეძლო.

ვცხოვრობდით ჩვეულებრივ, როგორც უამრავი წყვილი ცხოვრობს სამყაროში, მშვიდად, ბედნიერად, სიყვარულით ალავსე. ბევრი რამე დავთმენთ ერთმანეთისთვის და კიდევ უამრავ რამეს დავთმობდით, მაგრამ ამ ყველაფერს ძალადატანებისა და საყვედურების გარეშე ვაკეთებდით და ვფიქრობდით, რომ სწორედ ესაა ამაღლელებელი, რომ შეგიძლია ყველაფერი დათმო მისი გულისთვის, საკუთარი თავიც კი და იქნებ სწორედ აქ ვცდებოდით, იქნებ სივყარულს არ ჭირდება ეს ცვლილებელი, იქნებ ადამიანი სწორედ ისეთი უნდა მივიღოთ როგორც არის, როგორიც საკუთარ თავთანაა, როცა მარტო რჩება. მე პასუხები არ მქონდა და დიდად არც შეკითხვები მანუხებდა სიმართლე გითხრათ, მხოლოდ წამიერად ვგრძნობდი თავს დაკარგულად ამ სამყაროში, მაგრამ მეგონა რომ ეს მხლოდ ჩემი ხევედრი არ იყო, რომ სამყაროში საბოლოოდ ყველა მარტოა. ჩემი ცხოვრება დალაგდა და ჩემმა სულმაც სიმშვიდე ჰპოვა. ამასობაში როი წელი გავიდა და სწორედ მაშინ, როცა გგონია რომ ყველაფერი უკვე დამთავრდა, რომ ბედნიერება მოიპოვე და სწორედ იქ ხარ სადაც საჭიროა, აი სწორედ ამ დროს ცხოვრება ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევს.

მოულოდნელად ჯონათანს შევხვდი.

მე და ლევანი ერთი კვირით მთაში ვიყავით დღესასწაულზე, მომწონს ძველი ტრადიციული დღესასწაულები. მათში იმდენი მისტიკაა, იმდენი ამოუცნობი, ყოველთვის მხიბლავდა ის,

რაც ბოლომდე გარკვეული არასოდეს იყო. ზუსტად ჩვენი წამოსვლის ბოლო დღეს მე მარტომ გადავწყვიტე ფეხით გავლა. ლევანი სახლში დარჩა.

და აი ასე მოულოდნელად მე ის დავინახე. ისევ ისეთი იყო, წაბლისფერი ხვეული თმით და დიდი თვალებით, მოდიოდა მხრებგაშლილი, სახე მზისთვის მიეშვირა, მხრებზე პატარა გოგონა ეჯდა, ლოყებწითელა, ცასავით ლურჯი თვალებით. გოგონა პატარა ხელებით მაგრად შემოხვეოდა მის ყელს, ჯონათანს ერთი ხელი ბავშვის ფეხზე ეკიდა, მეორე ხელი კი ულამაზესი არსების-თვის ჩაეჭიდა. ჯონათანმა დამინახა და გაჩერდა, გაჩერდა ის და სამყარომაც თითქოს სუნთქვა შეწყვიტა.

— დადუნა! — გავიგე მისი ხმა. — წარმოუდგენელია, აქ საიდან გაჩნდი?

ჯონათანი ისეთი თავისუფალი იყო, ისეთი მშვიდი და უბრალო, ღმერთორატომლაც ტირილი მინდოდა.

მან პატარა გოგონა მის გვერდით მდგარს მიაწოდა და გულში ჩამიკრა.

— როგორ მინდოდა შენი ნახვა, მადლობა ღმერთს რომ კიდევ შეგხვდი.

მეც მინდოდა რამე მეთქვა, რამე კარგი, მაგრამ ცრემლები მახრჩობდა, ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი.

— მოდი ჩემთან, ჩემთ მზეო! — ხელი მოჰკიდა ჯონათანმა ბავშვიან გოგონას და ჩემთან მოიყვანა: — აი ეს დადუნაა, ჩემი ძველი მეგობარი. ეს კიდევ ჩემი ცოლია, ჩემი მზე და ჩვენი პატარა, ჩვენი მზის სხივი.

მისი ცოლი გულთბილად მიღიმოდა, ხელი გამომიწოდა.

— ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნოა მისი მეგობრების გაცნობა.

— ჩემთვისაც, — ვეუბნები მე.

— აქ საიდან მოხვდი, მითხარი, რამე მომიყევი, — მეუბნება ჯონათანი. — ჩვენთან წამოდი ცოტა ხანს.

— არ შემიძლია, — ვულიმი. — მე და ლევანი ვიყავით ერთი კვირით, შვებულება გვაქეს და არ ვიცოდი, აქ თუ

### ცხოვრობდი.

— მე არა, ჩემი ცოლია აქედან, —  
მიხსნის ჯონათანი, მისი ყოველი სიტ-  
ყვა გულს ხვდება.

- წამოდი რა ცოტა ხანს.
- ვერა, ვერ მოვახერხებ.
- კარგი. მზეო შენ და მართა წადით  
და მეც მალე მოვალ.

მზეო და მართა მიდიან, ვუყურებ  
მათ და ვაცნობიერებ, რომ ისინი ჯო-  
ნათანის მნიშვნელოვანი წანილად ქცეუ-  
ლან, მისი ოჯახია და არ ვიცი, რატომ  
მაგრამ თან მიხარია და თან რაღაცას  
ვგრძნობ, სადღაც გულის სიღრმეში,  
გაურკვეველ რაღაცას, ტკიფილს და სი-  
ცარიელს ერთად.

— მოდი დადუ დაჯექი აქ, — ჯონა-  
თანი ჩრდილს პოულობს და ბალახზე  
ჯდება. — ღმერთო, რამდენი დრო გავი-  
და, ორი წელი?

- ორი წელი და ცოტა მეტი.
- ხო. წარმოგიდგენია, ახლა აქ ზი-  
ხარ ჩემს გვერდით, აბა როგორ ხარ,  
მომიყევი.

ვუყურებდი ჯონათანს და ვერ წარ-  
მომედგინა, რომ მას ამ ორი წლის წინ  
საშინლად ვძულდი. ისეთი თბილი იყო,  
როგორც არასდროს.

— ასე რატომ მიყურებ? — მიღიმის  
ის. — გასაგებია, ჩვენს ბოლო შეხვედ-  
რაზე ფიქრობ? მაპატიე მაშინ საშინ-  
ლად გაბრაზებული ვიყავი, დაბნეული,  
იმედგაცრუებული, არც კი ვიცოდი რას  
ვამბობდი, ან ვაკეთებდი. სიყვარულმა  
აზროვნების უნარი წამართვა მაშინ.

— არაფერია, ახლა, როგორც ჩანს,  
ბედნიერი ხარ და ეს მახარებს.

— მართალია, რომ წამოვედი სიკ-  
ვდილი მინდოდა, ხანდახან სუნთქვას  
ვიკავებდი, რომ მომკვდარიყავი, მაგ-  
რამ ხომ იცი მთა ძლიერია და შენც  
ძლიერს გხდის, ყველაფრის გადატანა  
შევძელი, აქ თავიდან დავიბადე, სხვა  
გავხდი, გავაცნობიერე, რომ არ შეიძ-  
ლება სიყვარულს ტკიფილი მოჰკონდეს  
და თუ ტკიფილი მოაქვს, ესე იგი ეს

სიყვარული არ არის, ეს რაღაც სხვაა.  
აქ საკუთარი თავი ვიპოვე.

ვუყურებდი მის თვალებს, მის სახეს,  
მის ხელებს, ვუყურებდი და ვხედავდი,  
ეს ყველაფერი მე აღარ მეკუთვნოდა,  
ვუყურებდი და მიკვირდა, როგორ შე-  
მეძლო, მის გარეშე, როგორ გავძელი.

— დადუ, ახლა გილოცავ, მაშინ  
ვერ შევძელი, ახლა კი ტკიფილს აღარ  
ვგრძნობ, ბედნიერი ვარ და მინდა, რომ  
შენ ჩემზე ბედნიერი იყო.

მისმა სიტყვებმა ტკიფილით მომკლა,  
გამახსენდა ფანჯარა, ჯონათანი ჭიქით  
ხელში და ჩემი სიტყვები, თავს ძლივს  
ვიკავებდი, რომ ცრემლები არ წამომ-  
სვლოდა, რომ მას არაფერი დაენახა,  
ვერ გაეგო რა ხდებოდა ჩემს გულში,  
სულში, სხეულში.

— მადლობა, მეც ბედნიერი ვარ, —  
ვუთხარი მე და შევხედე, როგორ მინ-  
დოდა მის სახეზე დამენახა რაღაც ტან-  
ჯივის მსგავსი, რაღაც ოდნავი ტკიფილი  
მაინც, მაგრამ მისი თვალები მხოლოდ  
სიყვარულით და სითბოთი იყო სავსე  
და კიდევ თავისუფლებით.

— შენი ნახვა მინდოდა, დადუ ძალი-  
ან, მინდა იცოდე, რომ გათავისუფლებ,  
ჩემი წყევლისგან, ჩემი სიყვარულის-  
გან, ფრენა გასწავლე და მერე ფრთე-  
ბი წაგართვი, ახლა კი უკან გიბრუნებ,  
მაპატიე ტკიფილისთვის, მართლა გუ-  
ლით მიხარია შენი ბედნიერება და ყო-  
ველთვის ასე იყო, უბრალოდ ტკიფილმა  
თავგზა ამირია, ვერ ვხვდებოდი, რომ  
სიყვარული სულის მდგომარებაა და  
სულს კიდევ ვერ აიძულებ. მადლობა  
ღმერთს, რომ უფლება მომცა, ეს ყვე-  
ლაფერი შენთვის მეთქვა.

— შენ ისევ ისეთი კარგი ხარ ჯო-  
ნათან, — ვულიმი მე. — მე კიდევ ისევ  
ისეთი სულელი.

— ხო, — იცინის. — შენ რა შეგვლი-  
და.

კიდევ დიდხანს ვილაპარაკეთ, ათას  
სისულელზე, აი ისე როგორც ადრე,  
მომიყვა თავის სიყვარულზე, თავის

ოჯახზე, ყველაფერზე, რაც კი უჩემოდ გადაეტანა.

— იცი დადუ, რა უნდა გითხრა, ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, მაგრამ აი, ძალიან პატარა რომ ვიყავი, ჩემებმა ზღავზე წამიყვანეს, ეს ერთადერთი მოგონებაა ჩემი ბავშვობის, ამის მერე მშობლები მალე გარდაიცვალნენ. მაშინ სულ პატარა ვიყავი, მშობლებისგან შორს წამოვედი და დავინახე რომ ვიღაც გოგო, ქვიშაში იჯდა და ტიროდა. წითელი თმები ჰქონდა, აი, ისეთი შენ რომ გაქვს, მაშინ პირველად ვნახე ასეთი ფერის თმა, მასთან ახლოს მივედი და თმებზე მოვეფერე, მერე სახეზე ჭორფლები დავინახე, სახეზეც მოვეფერე, ასე მეგონა, მზე იყო მასთან, ვარსკვლავები იყო მის სახეზე. არ ვიცი რატომ ტიროდა, მაგრამ მერე გაჩუმდა. აი მას შემდეგ, რომ გავიზარდე სულ იმ გოგოს დავეძებდი, არ ვიცი რატომ, მაგრამ უკვე დიდს ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ის რაღაცისგან გადავარჩინე, რისგან ეგ არ ვიცი, მაგრამ ეს გრძნობა არ მასვენებდა, მეგონა, რომ თუ იმ გოგონას ვერ ვიპოვდი, საკუთარ თავსაც ვერასოდეს ვიპოვდი, თითქოს ჩემი ნაწილი იყო, რომელიც ოდესაც სადღაც დავკარგე და მერე შენ რომ დაგინახე, პირველად რომ დაგინახე, ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ შენ იყავი, ის გოგონა შენ იყავი და ჩემი ძებნაც დასრულდა, ჩემს ტანჯვასაც ბოლო მოეღო. აი, სულ მინდოდა ეს ამბავი მომეყოლა შენთვის, მაგრამ მეშინოდა, ვათუ გეთქვა, რომ შენ არ ყოფილხარ ის ქვიშაში მჯდარი გოგონა. ახლა კი მინდა ვიცოდე, შენ იყავი, რამე მსგავსი მოგონება გახსოვს?

ჩემი სხეული და სული კიოდა, „მე ვიყავი, ჯონათან ის გოგონა, მე ვიყავი!“ მაგრამ ვხვდებოდი, ახლა, როცა ჯონათანი ბედნიერი იყო, ამის თქმის უფლება აღარ მქონდა.

— არა ჯონათან, მე არ ვყოფილვარ, მსგავსი არაფერი მახსოვს.

— კარგია, — ამბობს ჯონათანი. — ახლა ბედნიერი ვარ და ერთადერთი ეჭვი ეს იყო, ეს მაწვალებდა, იქნებ შენ იყავი და იქნებ მე იმიტომ გავჩინდი ამ ქვეყნად რომ მაშინაც და მერეც ყოველთვის შენ გადამერჩინე, რაღაცისაგან. და თუ შენ არ იყავი, მაშინ არც არაფერი დამიკარგავს.

მე ბალახებზე ვწვები და ცას ვუყურებ.

ჯონათანიც ჩუმადაა, არ ვიცი, ის რაზე ფიქრობს.

უცნაურია ადამიანი, უარს ვამბობთ და მერე ტკივილი გვკლავს. ჩვენს წინ არსებული გზიდან თავად ვუხვევთ და მერე დაკარგვის შიშით ვკვდებით. ვინექი და ვგრძნობდი, მიწა სუნთქადა, სხვა ყველაფერი კი მომკვდარიყო. აღარ არსებობდა გზა, არც ბილიკი, რომელიც ოდესმე ისევ ერთმანეთთან მიგვიყვანდა, აღარ იყო ხიდები, რომელიც ერთმანეთს კვლავ დაგვაკავშირდება. ჩვენი ცხოვრება ორ პარალელურ სივრცედ ქცეულიყო, ჩვენ ვიარსებებით ერთად, მაგრამ ეთმანეთის გარეშე, ვერასოდეს შევხვდებოდით ერთმანეთის, მაგრამ რა ვიცი, იქნებ მაშინ, როცა მეც ისევე ვიპოვიდი საკუთარ თავს როგორც ჯონათანმა იპოვა, იქნებ მაშინ კიდეც მოეცა სამყაროს უფლება, რომ ერთმანეთის ცხოვრებაში კიდევ აღმოგვეჩინა რაღაც, რის გამოც ყველაფერს დავთმობდით.

— მგონი დროა წავიდეთ, დადუ — მეუბნება ჯონათანი და ხელს მიწვდის, მისი ხელი ჩემს ხელს ეხება. მთელი სხეული უცნაურ სიამოვნებას გრძნობს. მის გვერდით გატარებული ყოველი წამი მკლავს და საოცარი ის არის, რომ ის ამას ვერ გრძნობს.

მე და ჯონათანი გზას მივუყვებით და მე ვხვდები, არ შემიძლია მისი დაკარგვა, არც მის გარეშე არ შემიძლია. ერთ ადგილას ბილიკი ვიწროვდება და პატარა ხრამია.

— მოდი შემოვუაროთ — მეუბნება

ჯონათანი – უკვე საღამოა, კარგად ვერ ვხედავ, არ მინდა რამე დაგემართოს.

– ნუ გეშინია, თუ ჩავვარდები, ესე იგი ეგ ყოფილა სამყაროს ნება – ვულიმი მე.

– რა ჯიუტი ხარ – მეუბნება ჯონათანი – მაშინ პირველი გადავალ, ასე უფრო დაგეხმარები.

ჯონათანი ვიწრო ბილიკზე გადადის და არ ვიცი ეს როგორ მოხდა, ფეხი დაუცდა და მე ძლივს მოვასნარი, მისი ხელი დამეჭირა.

– ხელი არ გამიშვა – მითხრა ჯონათანმა – დადუ, იცოდე ხელი არ გამიშვა.

ვუყურებ მის სახეს, მის თვალებს, მის ტუჩებს და ვაცნობიერებ, რომ ყველაფერი რაც მქონდა დავკარგე, აღარასოდეს ვიქენბოდით ერთად, აღარასოდეს შემიყვარებს. ვუყურებდი და რასაც ვერ მიყვედი ამდენი წლის მანძილზე, უცებ სულ რაღაც წამში გავაცნობიერე, მე ის მიყვარდა, ყოველთვის, და ვერ ავიტანდი, სხვასთან ყოფილოყო.

„თუ ვიღაცას შენთან არ უნდა და შენ გინდა ის ამის გამო მოკლა, რომ სხვასთანაც არ იყოს, ამას გულისხმობა?“

„იცი რისი ეშინია ჯონათანს ყველაზე მეტად? იმის რომ ერთხელაც ხელს გავუშვებ“

ათასი ფიქრი მომდის თავში, მახსენდება ყველა წვრილმანი, დეტალები, შეგრძნებები. მგონია რომ საუკუნე გავიდა. ჯონათანი ცდილობს ხელი არ გამიშვას, მე ვუყურებ მის თვალებს, იქ

სიმშვიდეა, მხოლოდ სიმშვიდე. ცრემლები თავისით მომდის, აღარაფერი აღარ არსებობს, ტკივილის გარდა, სულ ერთი წამია საჭირო რომ ამას ბოლო მოვუღო, სულ ერთი უბრალო წამი, სულ ერთი უბრალო ხელის გაშვება. მთელი სხეული დაძაბული მაქვს, სუნთქვა მეკვრის. ირგვლივ ყველაფერი ტრიალებს, ნეტა რას გრძნობენ ადამიანები სიკვდილის წინ, იქნებ სიხარულს, იქნებ შიშს, იქნებ შვებას. რა მარტივი მეჩვენება ახლა უბრალოდ გავშალოთითები, და რა რთული, რომ ჯონათანი გადავარჩინო.

უცებ მეჩვენება, რომ ცარიელ შენობაში ვდაგარ, შავ და ცარიელ შენობაში, და არაფერია ირგვლივ, არც სიყვარული, არც სითბო და არც სინათლე. სხეული მეყინება, სულიც, მხოლოდ საკუთარი ცრემლების ხმა მესმის, რომელიც იატაკზე ეწვეთება და მიწა ტალახად იცქევა. მე ნელ-ნელა ამ ტალახში ვეფლობი, გატოკება მინდა, მაგრამ სხეული გაშეშებეული მაქვს, უცებ სადღაც ვქრები და თითქოს ის ცარიელი შენობა მე ვარ, შავი და ცარიელი შენობა.

მერე საიდანლაც სითბოს და სინათლეს ვგრძნობ და უცებ ვაცნობიერებ, რომ სიყვარული ის კი არ არის, რაც სხვებს ტკივილს აყენებს შენი ბედნიერების ნაცვლად, არამედ ყველაფრის დათმობაა სხვისი გულისთვის. სიყვარული კი არ ითხოვს, არამედ გასცემს, გავაცნობიერე ეს და ძალიან მაგრად ჩავჭიდე ჯონათანს ორივე ხელი.



## მურად მთვარელიძე

ჰალარა – ვერცხლი?

შენ ჩემს ჭალარას დაარქვი ვერცხლი,  
ამბობ:  
– გიხდება და გალამაზებს,  
მე ამ დროს გულში მიღვივის ცეცხლი  
და შებინდებულ სულის დარბაზებს  
ვაწყდები, თითქოს სევდის ტბის პირას  
ჩემი დარდების ტივი მიბია,  
როგორ აგიხსნა, ამ ვერცხლის მიღმა  
რა ნაღველი და ტკივილებია?!

●  
მკლავზე მონანავე შემოდგომის  
ნაცვლად შემაჩერეს ხელთ ლოდები,  
ლაშარზე ლუხუმის შემოდგომას  
დღესაც გულუბრყვილოდ ველოდები...  
ლილის სიფრიფანა სილაუვარდეს  
ფანტაგს, ო, ეს მთვარე – მეკვლე ბერი,  
მერე ზამთრისპირის სეანსებზე  
ყელს კვლავ მოიღერებს დეკემბერი...  
მე კი – აღვსებული საწყაულით  
ჩემი სევდისფერი ზიზილებით  
ქარის ფულუროში გადამძვრალი  
სულ სხვა სინათლისკენ ვიმზირები...



დრომ ვერაფერი გააფერმკრთალა

და ის ტკივილიც არის თავლია,

ზღაპრის იქითკენ შენი ზეცაა,

ზღაპრის აქეთ კი ჩემი ბალია...

აქ ყველაფერი ისევ ისეა,

თუმც იმ ბილიკზე სხვები დადიან,

ზღაპრის იქითკენ შენი სევდაა,

ზღაპრის აქეთ კი ჩემი დარდია...

თითქოს ცხოვრებაც ისევ ისეა

და თითქოს გარეთ ისევ დარია,

ზღაპრის იქითკენ შენი სიოა,

ზღაპრის აქეთ კი ჩემი ქარია...

სულ შენი ნათლით შემოიფარჩა,

რაც მზეს ჩვენ შორის დღემდე უვლია,

შენი გულია ზღაპრის იქითკენ,

ზღაპრის აქეთ კი ჩემი გულია...



და მე ვიხსენებ გარდასულ წლებს ცრემლად დადენილს,

გული ოცნების და ფიქრების ანდამატია,

რამ დაატია, ნეტავ, გულში სევდა ამდენი,

ან ეს ამდენი სიხარული რამ დაატია?!

შემეფეთება შემოდგომის ღრუბლის ნაფლეთი

არადა, გარეთ ცრიატა და გიუი მარტია,

რამ დაატია, ნეტავ, სულში გრძნობა ამდენი,

ანდა ამდენი აღმაფრენა რამ დაატია?!

ზღაპრებს ვუყვები საკუთარ თავს ჩუმი ნაღველით,

თვითვე ვიჯერებ ამ ზღაპრების ფერად საიტებს,

ვეღარ დაიტევს გული ამდენ ფერისცვალებას,

და ვერც ამდენ მზეს, ამდენ ქარებს ვეღარ დაიტევს...

ვეღარ დაიტევს ფიქრი ზეცის ამდენ სინანულს,

და ვეღარც ფერებს, გოგენებს და გრძნეულ ტაიტებს,

უხმოდ ჩაქრება მერე გული, რადგან სიყვარულს,

თავად სიყვარულს ვეღარ დაიტევს...

## ლოკაციები საქართველოში

რა ქაოსია... ელამია  
ცა და სამყარო,  
რა ქაოსია?!..  
ცის ღრმულში ბორგავს დედამინა,  
რა ქაოსია?!...  
ის, რაც ვაშენეთ, რაც შევქმენით,  
დღეს ქარისაა,  
წაიღებს ქარი და გაფანტავს,  
რა ქაოსია?!..  
რა ხმები ისმის ჯურლმულიდან?  
– ეს ქოროსია,  
ვარსკვლავთა ქორო თავს დამჩხავის,  
რა ქაოსია?!.  
ცეცხლი შლის ენებს, ხანძარია,  
თუ ქურისაა  
ცეცხლი, რომელიც გვანადგურებს...  
რა ქაოსია?!  
ჩვენი ცხოვრება – ისეც წამი  
და ქირისაა,  
საით მივდივართ,  
ღმერთო, ხედავ?  
რა ქაოსია?!...  
მე გეუბნები – გადაივლის,  
ეს ეროსია,  
ოღონდ ბოროტი,  
შენ ჩურჩულებ: რა ქაოსია?!..  
და ვევედრები,  
მეც არ ვიცი, ვის ვევედრები...  
– ღმერთს, რა თქმა უნდა,  
– შენ მითითებ, – რომ მზე ასხივოს,  
მერე ვჩურჩულებთ: – დაიფარე შენ ეს ედემი,  
ბროლის ბურთია დედამინა,  
ბროლის ბურთია დედამინა,  
არ დაამსხვრიო!

## და ბიროდა აკაცი...

„აკაცი ატირდა და თქვა – უამხანაგოდ ვკვდებიო“  
ნიცა წერეთლის მოგონებიდან

რამ აგატირა ცრემლებით უხვით,  
თავი რად იგრძენ უამხანაგოდ?  
შენ, პოეზიის ფესვმაგარ მუხას  
თვით ზეცა უნდა მოგექარაგმოს.  
რამ შეაშფოთა კაცი-პოეტი?!  
რატომ ატირდა ღმერთი ზეციდან?!  
რომელ ამხანაგს უნდა მოეძლვნა  
შენთვის ძვირფასი ის ფიც-ვერცხლი და  
ვის უნდა ეთქვა ერთი სიმართლე,  
თუ არ მზეს – მბრნინავს ქვეყნის ბომონდად:  
– სად გაგონილა ანდა სად თქმულა,  
ღმერთს ამხანაგად ვინმე ჰყოლოდა?  
ცრემლად გადმოღვრილ ვარსკვლავთ ალმასებს  
იმერეთის ცა ჩუმად კვირვობდა  
და აქ, სხვიტორულ მიწის ბაქანზე  
კაცი კი არა, ღმერთი ტიროდა...

## დიდების მონოლოგი

გახმაურებული მისი გარდაცვალებიდან ზუსტად  
ორმოცდაათი წლის შემდეგ

– ეგრე კი არ ვიყავ, – იცინის დიდედა,  
სახეს რომ მიკენკავს ნაოჭთა ჭილ-ყვავი,  
მზე ამომდიოდა თვალების კიდედან,  
ატმის გაუშლელი კვირტივით ვიყავი.  
– ეგრე კი არ იყო, – ხელს იშვერს პაპისკენ,  
ცხოვრებამ მოღუნა და ჯაფამ, ბეჩავი,  
სიბერეს რა ვუთხარ, თორემ ვის არ ახსოვს,  
კი იყო ცხოვრების ტალღების მხლეჩავი.  
ახლა რა? – ერთმანეთს ხელით დავატარებთ,  
დავძველდით, ერთთავად ვით ქოხის ყავარი  
და მაინც, ის ჩემთვის კვლავ ამირანია  
და ჰკითხე, თუ მისთვის მეც არ ვარ ყამარი.  
დავბერდით, ამ უნდო უამზე გავიმარჯვეთ  
თუმც კი სიჯეილე წაგვართვა ტიალმა,  
ვერ ვიტყვი ვიმცონარეთ,  
ვერ ვიტყვი ვერ ვიმარჯვეთ,

ვერ ვიტყვი, დაგვიმონა დრო-უამის ტრიალმა.  
 შენ, ჩემო თვალისჩინო, – მიღიმის დიდედა,  
 გახედე ამ ზეცას, მართლაც რა ფერია?!  
 შენ მაგ შენს მზერაში უნდა შეგვირჩინო,  
 შენ მაგ შენს ხსოვნაში უნდა შეგვირჩინო,  
 შენ მაგ შენს ღიმილში უნდა შეგვირჩინო  
 და ჩვენი სიცოცხლეც და ჩვენი წვალებაც  
 და ჩვენი უკვდავებაც სხვა არაფერია!



უფლისციხის გასწვრივ, გაღმა,  
 ველებია თაფლაო,  
 იქვე მცირე საყდარია  
 და ვრცელი სასაფლაო...  
 იმ საყდართან ერთი ჩუმი,  
 ნაღვლიანი ბორცვია,  
 იქ სევდობენ ჩიტუნები  
 და ბალახებს კოცნიან...  
 ბალახებო, ბალახებო,  
 გულში მზე რომ გილელავთ,  
 ნეტავ ხომ არ შემოგესმათ  
 ჩემი სატრფოს სიმღერა?!  
 აქ დავტოვე ის ოდესლაც  
 მე ცრემლით და კაეშნით,  
 მერე? მერე თავდაღმართზე  
 თვალშუჭულა დავეშვი...  
 და მას აქეთ ეს ცხოვრება  
 ერთი დიდი მახეა,  
 უფლისციხის გასწვრივ, გაღმა,  
 სადაც სულთა ბალია,  
 თქვენ რა იცით რა ნათელი  
 სიყვარული მარხია...

### ჰაოლო იაშვილი წერილს წერს ელენა ბაქრაძეს

ო, ელი, ელი, მე დღესაც გელი  
 კოცნის ბალებით, ვნების თაღებით  
 და ქარიშხლებით,  
 რომელსაც შველის შენი ალერსი,  
 სუნთქვის წამლები...  
 და როს დავცხრებით, ძვირფასო ელი,  
 შენგან მოყოლილ ნაზ სიზმრებს ველი,  
 რომლებსაც მერე ავკინძავ ლექსად,

ლექსებს ექნებათ სურნელი ველის,  
ველებს კი სურვილს ჩავუთქვამთ, ელი,  
დავარღვევ დუმილს და ლამე ბნელი  
გამოანათებს ჩემი ლექსიდან,  
რომელსაც ცეცხლი შერჩება შენი;  
შერჩება ვნება, სხვა არაფერი,  
და ამ ჩემს ლექსებს, ვერცხლით დაფენილს,  
შეარხევს ქარი დარიანულად  
და ამ გულიდან მთვარე ამოვა,  
რომ ცას გაანდოს ფიქრები მწველი  
შენ, შენ, რაღა გსურს, მითხარი, ელი?  
შემოგინახავს პოეტის მუზად  
ჩემი ლექსების მომკელთა ცელი.  
და შენ იქნები მერი გოდვინი  
და მე ვიქნები ამ დროის შელი...  
კუდიანები ცვლიან ამინდებს, ვუყვირი:  
მოგვეც დარი, არული!  
მე ხომ იმ გიჟურ სუნთქვებს დავარქვი –  
დარიანული...



შენ ისევ ჩუმი გაკვირვებით უმზერ სამყაროს,  
ჩვენც შევიცვალეთ, თუმც გარემო არის უცვლელი  
და ჩემს ბაგზეც შენი სუნთქვა ისე ჩამოჭკნა,  
როგორც ივლისში ვარდობისთვის თეთრი ფურცელი.

უამი – ავი და მუხანათი, როგორ აყეფდა,  
გადაავიწყა ცის გუმბათის ფერებს ლალი მზე,  
თავებს იკალავენ ლაუვარდები დილის ბალებთან  
და განთიადიც ხეთა კვირტებს ვეღარ აღვიძებს.

დარდად შემორჩა გაზაფხული ზამთრის ხეივანს,  
ვნატრობ, თუნდ ერთხელ შევხვდე გულის მადანს – ღიმილწლებს,  
რომ ჩემს მამულში გავიარო კვლავ არხეინად  
და მერე თუნდაც ყველამ ერთად გადამივიწყეთ...

მერე რა მოხდა, იპობოქროს ავმა სამყარომ,  
დავრჩებით კვლავაც ლარიბებად ლექსთა მქსოვლები,  
ჩვენ შეიძლება წლები თავზე გადაგვაყარონ,  
მაგრამ ჩვენს ფერად ზღაპრებს მუდამ ვემახსოვრებით.

## ამირან გომართელი



### ლუკა ბაქანიძის უჩვეულო ხუთეული

ლუკა ბაქანიძის მოთხრობას „და იყვნენ ხუთნი“ („ცისკარი 1852“, 2021, №1) ცოტა უცნაური სათა-ური აქვს. დასაწყისიც არანაკლებ უცნაურია: „მერე რო მოკვდა, იმის ჩათვლით ხუთნი იყვნენ: სამი ქალი, კატა, და მერე რო მოკვდა, ეგა“, კიდევ უფრო უცნაურია პერსონაჟთა გალერეა. ესენია: **დედოფალი** – დილასისხამ რომ გამოჩნდებოდა ხოლმე ქუჩაში, ვედროთი და ია-ტაკის საწმენდი ჯოხით; **კლარა** – ესეც დედოფალივით ხანში შესული და სიარულისას ჩიტივით მოხტუნავე; **ფრიდა** – შავი შლაპით და შა-ვად დატუშული – იეზიდი. მეოთხე პერსონაჟი უდალი და ყრუ კატაა, სახელად – **იურა**. ამ სამ ქალსა და კატასთან ერთად ეგრეთ წოდებული იტალიური ეზოს მესამე სართულზე, ნაქირავებ ოთახში, ერთი მამაკაციც ცხოვრობს. როგორც ავტორი ამ-ბობს – „**მერე რომ მოკვდა ეგა**“.

„და იყვნენ ხუთნი“ პირველი-ვე წინადადებიდან მოყოლებული გროტესკული მანერითაა შესრულე-

ბული. გროტესკულობა ხომ უცნა-ურობასაც გულისხმობს, ტრაგიკუ-ლისა და კომიკურის შეხამებასაც. ირონიაც მისი შემადგენელი ნაწილია. კატის პერსონაჟად შემოყვანით ხომ აშკარა გროტესკულ ირონიასთან გვაქვს საქმე, ოღონდ მთელი მოთხრობა სევდიანი, ცრემ-ლნარევი ირონიითაა გაჯერებული. სხვაგვარად მკითხველს არ გაუჩნდებოდა თანალმობის განცდა ამ გარიყული ადამიანებისადმი. ეს ულალი და ყრუ კატა ისეთივე თანაზიარია დანარჩენთა ხვედრისა, ისე-თივე წევრია ხუთეულისა, ისეთივე სრულფასოვანი პერსონაჟია (უბე-დურებაც სწორედ ამაშია), როგორიც დანარჩენი ოთხი – სამი ქალი და ერთი კაცი, მერე რო მოკვდა იგი – ვისთან ერთადაც ქალები ტახტზე იძინებდნენ ხოლმე, რადგან ოთახში ეს ერთადერთი ტახტი იდგა და სხვა საშუალება არ იყო, „ყველა ერთად წვებოდა დიდ ტახტზე, გაშიშვლდებოდნენ, შუაში თავიანთ კაცს, მე-რე რო მოკვდა იმას ჩაიწვენდნენ და

მათ სიშიშვლეში და სიახლოვეში არ იყო მისხალიც სიბილნისა და გარეუნილებისა“.

მოთხოვთ ენაც და სტილიც გროტესკის შესაბამისია. ის სულ ოთხიოდე საურნალო გვერდია, ამის მიუხედავად მისი თითოეული პერსონაჟი გამახსოვრდება. ლუკა ბაქანიძე ახერხებს, სულ რამდენიმე შტრიხით დაახასიათოს პროტაგონისტი, ისეთ დეტალზე გააკეთოს აქცენტი, რომელიც პერსონაჟს არა მარტო სხვებისგან გამოარჩევს, არამედ სწორედ ამ დეტალის მეშვეობით გვამახსოვრდება. აქ არ არის დიალოგები, არის მხოლოდ ავტორისეული თხოვბა. მწერალი ახასიათებს პერსონაჟებს, ცოტას მათ გარეგნობაზე ლაპარაკობს, ცოტას მათ ახირებებსა თუ ჩვევებზე. რადგან მოთხოვთ, ფაქტობრივად, ავტორისეული მონოლოგია, იმის ალბათობაც არსებობდა, რომ მოსაწყენი გამხდარიყო, მაგრამ ბერვის ხიდზე ლუკა ბაქანიძემ წარმატებით გაიარა.

მოთხოვთამ „და იყვნენ ხუთნი“ მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურა“ გამახსენა. იქაც ცხოვრების ფსკერზე მოქცეული ადამიანის ყოფაა აღნერილი. ასე რომ, პრობლემის დამუშავების თვალსაზრისით, ლუკა ბაქანიძე ლიტერატურული ტრადიციის გამგრძელებლადაც შეიძლება ჩაითვალოს, თუმც მხატვრული თვალსაზრისით ნოვაციაც აშკარაა. ეს, პირველ რიგში, მოთხოვთის გროტესკული ხასიათითაა გაპირობებული.

ლუკა ბაქანიძის მოთხოვთაში, „ჩანჩურასგან“ განსხვავებით, კონკრეტულად არავინ ძალადობს ცხოვრებისაგან გარიყულ ამ საცოდავ ადამიანებზე. აქ არც სეირის მოყვარული ბრბოს ყიშინა ისმის, ხორცის პანია ნაჭერზე სამკუდრო-

სასიცოცხლოდ შეჭიდებულ ძალსა და კაცს რომ აქეზებს ერთმანეთზე. მწერლისა და მკითხველის თანაგრძნობა „ფსკერის“ ბინადართა მიმართ გამოწვეულია არა მათზე ძალადობით, არამედ მათი სუფთა და მიამიტური ბუნების წარმოჩენით, ერთმანეთის თანადგომასა და თანალმობაში რომ არის გადაზრდილი, რითაც ეს გარიყული ადამიანები მარტოობას ეპრძვიან. ისინი ერთმანეთს უწილადებენ იმ ადამიანურ სითბოს, რასაც გულქვა საზოგადოება ვერასოდეს იმეტებს მარგინალებისათვის.

ლუკა ბაქანიძემ არამარტო ამ უჩვეულო ადამიანების სულის მშვენიერება გვიჩვენა, არამედ ლირსების გრძნობაც შეუნარჩუნა. ისინი საკუთარ შემოსაზღვრულ სამყაროში სულაც არ გრძნობენ თავს ლირსებადაკარგულებად. გავიხსენოთ როგორ ლირსეულად ეჭირა თავი დედოფალს, როცა ის სკოლისაკენ მიემართებოდა ხოლმე, სადაც დამლაგებლად მუშაობდა. მიუხედავად დახეული ფეხსაცმელებისა, იატაკის საწმენდი ჯოხისა და ვედროსი, „მაინც დედოფალს რო ჰეგვდა. შეიძლება იმიტომაც, რო ქუჩაში ძირითადად დილასისხამ, დიდი გარინდების უამს თუ გამოჩნდებოდა, და ამ დროს უკანასკნელი უბოვარიც კი მეფეს ემსგავსება ან წმინდანს, და როგორც ფრესკაზე, ისე მოუჩანს მარტოობის შარავანდები, გარსს გამოცილებული ანაორთქლი სულისა. და შეიძლება დედოფალს ხალხმრავალ ქუჩებში და ლრიანცელში რო ჩაევლო, სულაც არ ყოფილიყო აესე, დედოფალივით. დილასისხამ კი სავარჯიშოდ ძლიერსტრაკანებული მავანი ღიპიანი და ფულიანი ძიაკაციც კი მოუხრიდა ქედს შეხვედრისას და ესეც ოდნავი თავის დაკვრით მიესალმებოდა“.

ეს ხალხი გამოგდებულია სამყაროში. უნდა ვივარაუდოთ, მათი ხვედრი იმ საზოგადოებამ განსაზღვრა, რომლისთვისაც უცხოა თანაგრძნობა და თანალმობა, ის ლირებულებები, რომლებიც ასე მკაფიოდ ჩანს მოთხრობის პერსონაჟთა ხასიათსა და საქციელში. ლუკა ბაქანიძე ფაქტობრივად არაფერს ამბობს იმ საზოგადოებაზე, რომელმაც ეს ადამიანები გარიყა (ამიტომ ვთქვი, უნდა ვივარაუდოთ-მეთქ). აქ მხოლოდ შედეგით შეიძლება ვიმსჯელოთ მიზეზზე. აქ თითქოს თავდაყირაა დაყენებული მიზეზ-შედეგობრივი იერარქია. ნაჩვენებია შედეგი და არა მიზეზი, ანუ პირველსაწყისი. გეგონებათ ეს მოთხრობა დეკონსტრუქტივიზმის მიმდევართა თეორიული პოსტულატის მიხედვითაა შექმნილი: „შედეგია იმის მიზეზი, რომ მიზეზი მიზეზად იქცევა“. ამ მარგინალური ადამიანების ყოფის ასახვით სწორედ შედეგია ნაჩვენები, შედეგი, რომელიც მიზეზზე მეტყველებს. ამიტომ, მაინც გვექმნება წარმოდგენა სულიერებას მოკლებულ, იმ დეჰმანიზებულ გარემოზე, რომელშიც ეს ადამიანები ცხოვრობენ.

ცხოვრობს ერთად ეს ხუთი სულიერი – „სამი ქალი, კატა, და მერე რო მოკვდა, ეგა“ და ვერც კი გრძნობენ წუთისოფლის ნაცარტუტას, გარემომცველი სინამდვილე არც კი არსებობს მათთვის. აქ აბსოლუტური გაუცხოებაა, კატის სიყრუეც სწორედ ამაზე მიანიშნებს. არც მას ესმის სხვა კატების ჩხავილი და არც იმ ნაქირავები ოთახის ბინადართ ესმით ანგარიშიანობაზე დამყარებული გარემოსა და საზოგადოებისა. ერთადერთხელ შეეჯახნენ მას, როცა ის კაცი მოკვდა, შუაში რომ ინვენდნენ, მაგრამ ამაზე მოგვიანებით...

ფრიდა, დედოფალი, კლარა თუ მისი თაყვანისმცემელი - ქონდრის-კაცივით დაბალი რომეო - არც ღმერთზე გამწყრალან და არც კაცზე, არც გაბოროტებულან და არც სულის სიმშვიდე თუ თანალმობის უნარი დაუკარგავთ. ეს არის მხოლოდ - საკუთარ მარტივ, მაგრამ სუფთა და შეურყვნელ სამყაროში გამოკეტილან. მათთვის აღარ არსებობს გარემომცველი სინამდვილე და საზოგადოება. ასე ვლინდება ამ საბრალო ადამიანების პროტესტი, რაც საზოგადოებისაგან განდგომაში, რელობისათვის ზურგის შექცევასა და იგნორირებაში გამოიხატება.

**გარემომცველი** სინამდვილის იგნორირებამ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები გამახსენა, სადაც მწერლის თანადროული სინამდვილე - საბჭოთა ეპოქა - პერსონაჟებზე, მათ ქმედებებსა და ბედზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს, ფაქტობრივად არც ჩანს იგი. მაშინაც კი, როცა „ალავერდობაში“ ეპიგრაფის მეშვეობით კონკრეტდება დრო და ეპოქა, ეს ეპიგრაფი სულ რომ არ წარუმდლვაროთ მოთხრობას, არსებითად, არც მისი შინაარსი შეიცვლება და არც დედააზრი. მეორე ასეთი მაგალითის დასახელება, სადაც მოქმედება მწერლის თანადროულ ეპოქაში მიმდინარეობდეს და კომუნისტური ხანა საერთოდ არ ჩანდეს - გამიჭირდება. ასე საცნაურდება გურამ რჩეულიშვილის მიერ საბჭოური სინამდვილის მიუღებლობა. ყოველივე ეს, როგორც ითქვა, ლუკა ბაქანიძის მოთხრობამ გამახსენა, სადაც სწორედ გარემომცველი სინამდვილისადმი ზურგის შექცევა და გარიყულთა მდგომარეობა აღძრავს პროტესტს არსებული რეალობისადმი.

ლუკა ბაქანიძის მოთხრობაში მკითხველის სიმპათიას პერსონაჟთა

ბავშვური გულუბრყვილობაც ბა-დებს. ავტორმა ამ გარიყულ ადამიანებს ბავშვური სიწმინდე შეუნარჩუნა – გეგონებათ, ცათა სასუფეველს უმზადებსო. ხომ დაწერილა, „ისინი შევლენ ცათა სასუფეველში, ვინც ბავშვით წმინდაა“ (მათე 18,5). სწო-რედ ბავშვური სიწმინდე და გულუბრყვილობა გამოსჭვივის ფრიდას საქციელში, გამხდარ და დამჭკნარ თითებზე უამრავი ბრჭყვიალა ბე-ჭედი რომ აქვს წამოცმული. მერე რა, რომ ამ ბეჭდებს გროშის ფასი აქვს, ფრიდასთვის ის ნამდვილი სა-განძურია და მისი გამეტება ფრი-დას მხრიდან გმირობის ტოლფა-სია. შტეფან ცვაიგი წერდა ბალზა-კის ეჟენი გრანდეს შესახებ: „როცა სუსტი და დაუცველი ეჟენი გრანდე თავისი ძუნწი და დესპოტი მამის წინაშე საყვარელ კუზენს – შარლს, ორ ზედმეტ ნატეს შაქარს უგდებს ჭიქაში, ეს ისეთივე გმირობაა, რო-გორიც ნაპოლეონისა, ხმალშემარ-თული შეტევაზე რომ გადადიოდა ვატერლოოზე“. ეჟენი გრანდე ფრი-დას საქციელმა გამასხენა, რომე-ლიც მზადაა გაიმეტოს მისი „ძვირ-ფასეულობა“, ის ერთადერთი, რაც მას ქალურ ბედნიერებას ანიჭებდა, ოლონდ გარდაცვლილი მეგობრი-სათვის სამუდამო განსასვენებელი სასახლე იშოვოს. როცა მეკუბოვემ კუბოს ფასი უთხრა, „ქალებს ცრემ-ლი მოადგათ თვალზე... ფრიდამ მე-კუბოვეს ცხვირთან გაუფშიკა თა-ვისი ქათმისფეხა ხელი ზედ ახუნ-ძლული ბეჭდებით და შესთავაზა, რომელი ბეჭედიც უნდოდა, აეღო კუბოს ფასმი. თუნდაც ორი ბეჭე-დი. ან თუნდაც ყველა. მეკუბოვემ ახლალა შეათვალიერა სუთეული-დან სამი. შემდეგ ბეჭდებს გადახე-და და გაეცინა. იჯდა ასე, ჭრამდე ახორავებულ კუბოებს შორის სკამ-ზე გადაწოლილი და ხარხარებდა

სულმოუთქმელად, წინ კიდევ სამი თავჩაღუნული, ხანშიშესული ქალი ედგა... კლარას სატრფომ, სომბრე-როიანმა რომეომ უშოვათ საიდან-ლაც კუბო და ადგილი მიყრუებულ სასაფლაოზე“.

მანამადე კი, სანამ მიცვალებულს დაკრძალავენ, ლუკა ბაქანიძე კიდევ ერთ ლრმაშინაარსიან და ოსტატუ-რად დაწერილ პასაუს შემოგვთავა-ზებს. იტალიური ეზოს მესამე სარ-თულის ნაქირავებ თოახში ასეთ სი-ტუაციას, ერთგვარ პანაშვიდს აღ-ნერს, სადაც არც ხალხმრავლობაა, არც სულთათანას გალობს ვინმე და არც მღვდელი უგებს წესს მიცვა-ლებულს. ახლა თითქმის მთლიანად უნდა მოვიტანო მოთხრობის ნოვე-ლური დასასრული. ერთს დავძენ მხოლოდ, თურმე უფრო მძიმე გან-საცდელი ელის იმ სამ ქალს, ახლა ჭირისუფლად რომ უსხედან მიცვა-ლებულს. „ისხდნენ სკამებზე ჩუმად და შეჰყურებდნენ ლია კარს, მაგრამ არც ერთი ჭირისუფალი არ შესუ-ლა მათ ბინაში. საღამოხანს შემო-ვიდა მარტო ერთი, წესისამებრ წრე დაარტყა მიცვალებულს, ერთხანს მორიდებით იდგა და ფეხს ინაც-ვლებდა და ბოლოს ჩუმად თქვა: – ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ბინა უნდა დაცალოთ, სახლს მყიდველი გამო-უჩნდა, ამ თვის ქირას კი არ გამო-გართმევთ...“

არც ერთს ეცვა ძაძები და არავინ კითხულობდა ფსალმუნებს. კუბოს ალბათ ხვალ მოიტანდა მანქანით რომეო. გვიან ღამით, შეთანხმებუ-ლებივით, უხმოდ გაიხადეს ტანზე, თავიანთ მკვდარ კაცს მიუწვნენ და საბანი წაიფარეს“.

მიუხედავად სამწუხარო ფინალი-სა, მოთხრობის პერსონაჟთა ყოფა არა მარტო თანაგრძნობას, არამედ, როგორ ხმამაღალ ნათქვამადაც უნდა მოეჩვენოს ვინმეს, მკითხვე-

ლის კათარზის იწვევს, მსგავსად ანტიკური ტრაგედიის მაყურებელისა. კითხულობ მოთხოვას და სიბრალულთან ერთად სიმპათიითა და სიყვარულითაც იმსჭვალები ამ ადამიანების მიმართ. ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ყველაფერი შენს თვალწინ ხდება. გინდა, ხმა ამოიღო ამ ადამიანების დასაცავად, გამოექომაგო მათ. ბოლოსდაბოლოს მწერლობა ხომ დაჩაგრულთა ქომაგობაა.

P.S. ლუკა ბაქანიძე სხვა გზითაც ცდილობს მხარი დაუჭიროს გა-

რიყულ ადამიანებს. ამიტომ წარმოგვიდგენს ხოლმე საკუთარ თავს არაყოფან დაძმაკაცებულ გარიყულ მეთევზედ, რომლისთვისაც ანკესი, ხმელი პური და არყიანი მათარა გამრუდებული სამყაროდან თავის დაღწევისა და სულის მოთქმის, შინაგანი თავისუფლების მოპოვების საშუალებაა. ლუკას ასეთი ეპატაჟურობა კარგად ჩანს მის ფეისბუქ სტატუსებში. რას ვიზამთ, მწერლები ხომ მხატვრული გამონაგონის პარალელურად ხშირად საკუთარი ცხოვრების ლეგენდასაც ქმნიან.



## ლოლი პვალიანი

### „დავიწყების შიში“

არჩილ ქიქოძის რომანის – „ხვლიკი საფლავის ქვაზე“ (სულაკაურის გამომცემლობა, 2021) – თითქოსდა წყვეტილი სიუჟეტის მდინარებაში ბუნებრივად არის ჩართული საქართველოს ისტორიის ფრაგმენტები – წარმართობიდან დღემდე. ოსტატური ხერხია: ჩვენი უძველესი და მრავალჭირგამოვლილი ქვეყნის კონტრაპუნქტის თვალსაჩინოება, რაც გლობალიზაციის პროცესში ნებსით თუ უნებლიერ ჩართულთ „დავიწყების შიშით“ გვიპყრობს.

„ეს არის ფობია, დავიწყების შიში... ძველ ბერძნებს სჯეროდათ, რომ საიქიოში მოხვედრილ ადამიანს მეხსიერება ერთმევა. ყველას, გმირების გარდა. გმირებს იმქვეყნად მიაქვთ მეხსიერება იმიტომ, რომ გმირები ღმერთების საქციელს იმეორებენ. მათ რეკონსტრუქციას ახდენენ. რაც ღმერთისთვის საქციელია, მოკვდავისთვის – გმირობაა, რომლის ჩამდენსაც ჯილდოდ სამარადუამო მეხსიერება ებოძება“.

ეს აბსტრაქტული შიში, თითქოს „მარად დაბრუნებას“, დაუსრულებელ წრებრუნვას, ანტიკურ მითებს, ბიბლიას, ძველ თუ ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობებს, რაც მთავარია, ჩვენს მწერლობასა და ფოლკლორს რომ ეხ-

მიანება, რომანის გამჭოლი მოტივია.

ნიგნი დაყურსულია ლიტერატურული რემინისცენციებითა თუ ალუზიებით, ისინი ცხადყოფენ „უთვალავი ფერის სამყაროს“ მრავალსაუკუნოვან გადაძახილს, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა – „იდეათა ატმოსფერულ გავლენას“ – ძველ ცივილიზაციათა სიახლოვეს.

ფობია, დავიწყების შიში, უშუალოდ არის დაკავშირებული მეხსიერებასთან.

მთხოვბელს, მეხსიერების დაკარგვის შიშით, ჩვევად, აკვიატებად, მანიად ექცევა მნიშვნელოვანი ამბების მრავალჯერ მოყოლა, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით – „ეს წარმოდგენებით ან განმეორებით დახსომების გაადვილებაა“ (ციტატა ფსიქოლოგიის დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორის დალი ფარჯანაძის უაღრესად საინტერესო წიგნიდან „მეხსიერების ფსიქოლოგია“, 2008 წ.).

ძველი ბერძნები მეხსიერების ქალღმერთ მწერლინას ხელოვნებისა და მეცნიერების ცხრა მუზის დედად მოიხსენიებდნენ, „მეხსიერება ითვლებოდა ყველაზე ძველ და პატივსაცემ გონებრივ უნარად, საიდანაც ყველა სხვა უნარი განვითარდა. ითვლებოდა, რომ

მეხსიერების არარსებობის შემთხვევაში არც ხელოვნება და არც მეცნიერება იარსებებდა“ (იქვე).

„ამბების“ (ყოფითი, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული; სახელდახელოდ შეთხული ზღაპრები, ანდრეზები, საბუნებისმეტყველო წია-აღსვლები და სხვ.) „მოამბე“, უსახელო პროტაგონისტის გარდა, მისი ხანდაზმული ქვრივი დედა ისტორიკოსი მანანაა. „წრეგადასულმა“ ინტერესმა ქართული წარმართობისადმი, მისი მოდიფიკაციებისა თუ გავლენათა ძიებამ ქრისტიანულ საქართველოში, ზოგი მისი თანამშრომელი გაანაწყენა. ამას დაერთო საბჭოთა პერიოდში მოღვაწე მეცნიერთა „ჩარეცხვა“. მანანა იძულებული გახდა მიეტოვებინა საყვარელი საქმე და, „დაუწერელ წიგნთა“ პოტენ-ციურ ავტორს, „უცხოურხელფასიან“ არასამთავრობო სექტორში გადასვლა მოუხდა ქმრის მძიმე ავადობის გამო.

მანანას სრულფასოვნად წარმოჩენილი სახე იმითაც არის შთამბეჭდავი, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში ინტელექტუალი ქალის ჭაჭანებაც კი არ არის: ცოტა უტრირებული მოსაზრებაა, თუმცა, ფემინისტი პროზაიკოსი ქალების სიმრავლის გათვალისწინებით, არცთუ უსაფუძვლო. პერსონაჟი საინტერესოა იმითაც, რომ, მოძველებულ ტერმინს თუ გამოვიყენებთ, „დადებითი გმირია“ – გონიერებით, სამართლიანობით, სიმამაცით და სიკეთით აღსავსე ექსცენტრული ქალბატონი.

მთავარ გმირს „სულიერი, ღრმა და უაღრესად ნატიფი ურთიერთობა“, წიგნის ანოტაციის სანინააღმდეგოდ, არა მხოლოდ დედასთან, არამედ ან გარდაცვლილ მამასთან, ტრაგიკულად დალუბულ, ეპილეფსით დაავადებულ ბავშვობის მეგობართან, მამის მომიჯნავე საფლავის მარადიულ ბინადარ – ახალგაზრდა ზიზისთან, თანაკლასელ თურმანიძესთან (უსიტყვოდ რომ უგე-

ბენ ერთმანეთს) და, რასაკვირველია, ცოლ-შვილთან – ალდესა და კატოსთან აქვს. ოჯახის შესანახად არასდროს გაქცევია მოვალეობას. ხათრიანს და პასუხისმგებლობით აღსავსეს, ხშირად უწევს მისთვის შეუფერებელი თუ უსიამოვნო საქმის კეთება:

„მე, წლებია, დაბალჭერიან სატუსალოში ვიღვნი, კლავიატურების კაკუნში, წლიურ ანგარიშებში, „ბრეინსტორ-მინგებში“, „სტაფიტინგებში“, „ოვერ-თაიმებში“ და შვებულებისთვის ნაგროვებ საათებში ვატარებ კვირის შვიდი დღიდან ხუთს“.

თავისი ნების სანინააღმდეგოდ თანაკლასელ გიგო ფხოველის უაზრო „თავგადასავლების“ თანამონაწილეც ხდება, თუმცა მისი სრული ანტიპოდია. გიგომ სკოლა თბილისში დაამთავრა, აქვე ცხოვრობდა; გერმანიაში ემიგრირებულსაც გაუმართლა – ეგზოტიკური პრიმიტივისტი მხატვრის როლიც მოირგო და გალერეის მფლობელის – ფრაუვოლბერის – „შეცდენაც“ არ გასჭირვებია. მრავალწლიანი ემიგრაციის მიუხედავად, ისევ „ბატონის“ ყმად და მთის კანონების დამცველად მიაჩინა თავი.

„მთა უბატონო იყო, იქ იყო სალოცავები, ღვთაებები, ღვთისშვილები და მთიელები – იმათი ყმები... ბატონს ხატებში მობუდარ თავიანთ ღვთაებებს უწოდებდნენ. სწორედ ამ ბატონს ემშვიდობება თემის მიერ განდევნილი ალუდა ქეთელაური: „მშვიდობით ჩემო ბატონო, ყმათად მიმცემო ძალისაო“ და ამ ბატონის იმედი აქვს დედის კალთას მოწყვეტილ იმ ფხოველ ბიჭაცაც, სჯერა მისი მფარველობის და ბრძოლის ველზე ხედავს კიდეც სხვათათვის უხილავ თავის ბატონს... სახე აქვს შავად მოცული მას დიდი კაეშანითა, ეს ჩენი ჩუმი მფარველი ლაშარის ჯვარად ვსცანითა...“

ის, რაც ბუნებრივია ალუდა ქეთელაურისა ან ფხოველი ჯარისკაცის მრწამსისათვის (ვაჟა-ფშაველას „ფხო-

ველი ჯარისკაცის წერილი“), მხოლოდ გენეტიკურად თუ აქვს შემორჩენილი გიგოს: XX-XXI საუკუნეებში ზოგმა ძველმა ტრადიციამ ძირეულად იცვალა სახე, რადგან მენტალური და ეგზისტენციური საძირკველი გამოეცალა. მთხოობელს პროფანაციად და იმიტაციად მიაჩნია მთის საუკუნეობრივ ზნერჩვეულებათა უსაფუძვლო გაფეტიშება, რაც ზოგჯერ სახეცვლილ, არაადამიანურ ან სულაც ვანდალურ ქმედებებში მჟღავნდება: გიგოს საფლავიდან მალულად ამოთხრა ნათესავების მიერ, „დროებით“ (ზაფხულამდე), დაკრძალვა ქართლის სოფელში, სადაც დიდი ხნის წინ ჩამოსახლებული ბიძა-ბიძაშვილი ცხოვრობს, მომავალში კი, როცა თოვლიანი გზა გაისხნება, ცხედრის ხელახლა ასვენება მთაში, საგვარეულო სასაფლაოზე – დამტირებლებისა და დოლის თანხლებით.

რიტუალის პირველ აქტზე დასწრება (ქართლის სოფელში, ცივ ზამთარს) ხათრიან პროტაგონისტს მაინც მოუხდა, რადგან გიგოს თანაკლასელთაგან ფხოველები მხოლოდ მას იცნობდნენ. ყოველივე ეს კი სავალალოდ დამთავრდა: იმიტირებული „ლონისძიებით“ გაღიზიანება, ისევე როგორც თბილი-სიღან გადმოსახლებული „თავადის“, მთის დამაქცევარი ერისთავების შთამომავლის, ჯამბაკურის „მამულში“, მის სახლში ღამისთვევამ, უგონოდ დათრობამ და კოშმარულმა სიზმრებმა მისი უეცარი, უაზრო ამბოხის გამო, რომლის მიზეზი მასპინძელთათვის გაუგებარი იყო (მიცვალებულის მიმართ გამჟღავნებული გულგრილობა თანასოფლელთა მიერ), მაგრად მიბეგვეს, თურმანიძისაგან ნათხოვარ მანქანაში ჩასვეს და ლანძღვით გამოისტუმრეს.

გიგოს დასაფლავების, უძველესი ტრადიციის გაუკულმართებული რიტუალის ფონზე, როგორი ბრძნული და ბუნებრივია სოსო ჩხაიძის „თუში მეცხვარის“ უხუცესი მწყემსის, თანდილას

გადაწყვეტილება: ზამთრის პირს, როცა ცხვარი საზამთრო საძოვრებზე უნდა ჩამორეკონ, იგი მთა-თუშეთში, თავის სახლში რჩება. იცის, რომ სიკვდილის პირას არის და ბარამდე კიდევაც რომ ჩაალწიოს, დიდთოვლობასა და უგზოობაში მშობლიურ მიწას ვერ მიაპარებენ. ასეც ხდება: მის საპატრონოდ დატოვებული ახალგაზრდა ლექსო პირნათლად შეუსრულებს სურვილს და თანდილას ნეშტს საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალავს.

გიგო ფხოველი, საკუთარ ფესვებს მოგლეჯილი, რწმენადაკარგული, საგვარეულო წყევლით უმვილობისათვის განწირული (ამის გამო „დავიწყების შიშს“ რომ განიცდის) – თავის გამოჩენისა და სახელის დატოვების სურვილით არის შეპყრობილი. პარადოქსია, რომ „კაი ყმობის“ მოსურნე, ფრაუვოლბერის ალფონსობასაც წარპშეუხრელად შეიფერებს; გერმანიაში ნაშოვნი ფულით, საქართველოში დაბრუნებისას ყოფილ თანაკლასელებსაც (რომელთაც ლამის დავიწყებული ყავთ ერთმანეთი) „გააერთიანებს“ ძვირადლირებულ ფსევდოგლამურულ რესტორანში შეერებით:

„ახლა ვფიქრობ და ვერ გადამიწყვეტია, რა ჯობდა, მოსწონებოდა ის საღამო თუ მიმხვდარიყო, რომ ეს დღესასწაული არ არის. ეგრძნო, რომ წლების მანძილზე აქ დარჩენილებიც კი ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანებად ვიქეცით. უნდა მიმხვდარიყო, რომ ჩვენს იმედად ვერ იქნებოდა“.

გიგო მუდამ სადღაც გარბის თუ თავის თავს გაურბის. ჯერ იყო და გერმანიიდან დაურეკა პროტაგონისტს და ქართლის დიდ სოფელში, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ბინადრობენ ფხოველები, წაყოლა სთხოვა:

„ბერლინიდან გიგო ისე მელაპარაკებოდა, თითქოს აქვე იყო, თითქოს საერთოდ არ წასულიყო არსად, წლობით არ გადახვეწილიყო... თავის გვერდით

დგომას მთხოვდა. სოფელში მის ლვიძლ ბიძაშვილს მაშინ გადაეწია დენის ჩამრთველი, როცა მისივე მეზობელი პოძე იყო ასული და ქარის გამოგლეჯილ მავთულს ამაგრებდა. საქმეც მთის წესით გაირჩა. ბარის და მთავრობის კანონთან სუფთაა გიგოს ბიძაშვილი და ახლა, მთავარია, მთის წესით მოხდეს შერიგება, მთაში უნდა მოხდეს და იქაურ სალოცავთან უახლოესი კაცი ნათესავი – გიგო უნდა მივიდეს სახვენრით. ხარი უნდა დაკლას“.

გიგოს ამოჩემებით, მანქანით კი არა, მაინცდამაინც ცხენზე ამხედრებულები უნდა წასულიყვნენ სოფელში. შეუდგებიან ძნელ, ხიფათიან ბილიკებს, რომელთა კვალი თითქმის წაშლილია. გზად მხოლოდ ნასოფლარები და მწყემსთა ბინები ხვდებათ. ეს ოთხდღიანი „ექსპედიცია“ ყოველ საღამოს მწყემსთა ბინებში, შემდეგ კი სოფელში – სუფრით, ლოთობით, აგრესით და სახეცვლილი მითებისა თუ ანდრეზების გაუთავებელი თხრობით თავდება. გმირისათვის ეს აბსურდული ფარსია, „პერფორმანსი“, გიგოსთვის კი მნემონიკური ადათის აღსრულება, რომლის დასრულებისთანავე კლავ გერმანიაში ბრუნდება.

მანანასთვის ეს ამბავი ლირსსაცნობია, რადგან „რიტუალის კვდომის პროცესია“, რაც მექანიკურად, ცოდნის გარეშე სრულდება. მისი ნახვა კი მნიშვნელოვანია – სულ მალე აღარ იარსებებს.

გერმანიდან საპოლოოდ დაპრუნების შემდეგ გიგოს დაქორწინება ეკაზე (ბეკინა სამანიშვილივით: ორნაქმარევ, უშვილო ქალზე) ვირტუალური გაცნობით და ფეისბუქის მეშვეობით დათქმული ერთადერთი პაემანით შედგა, თუმცა, ცოლისათვის სრულიად უცნობია გიგოს ნამდვილი სახე. ცხოვრობენ პატარა ბინაში, ვალებში გახლართულნი. ეკა რას იფიქრებდა, რომ ქმარი ამ დროს ხან ძვირადლირებული გამაჯან-

სალებელი კომპლექსის აუზში ცურვას სწავლობდა, შემდეგ კი თბილისის ზღვის მიყრუებულ ნაპირას აირჩია სავარჯიშო ადგილი, მისი ღიმილისმომგვრელი ცურვა-ფართხალისათვის რომ არ დაეცინათ. წვიმიან ზაფხულში თავდასაცავად პატარა ნიში – თავშესაფარი ააშენა, რომელიც, ქვეშეცნეულად, ფხოვურ სახატეს მიამსგავსა:

„ხატის გარშემო უცნაური ამბები დაინყო და გიგო გაოცდა. ვიღაცებმა მის აშენებულ პატარა თავშესაფარში ხატების მიტანა დაინყეს, ქრისტიანული ხატების – პენოპლასტში ჩასმული რეპროდუქციების. ჯერ ანდრია პირველწოდებული გაჩნდა, მერე – სხვა წმინდანები. ვიღაცამ ჯვარცმაც დაასვენა შიგნით და მალე პატარა ნაგებობის კედლებზე სანთლების ანთება დაინყეს. ყოველ შუადღეზე მისულ გიგოს სულ ახალ-ახალი რამეები ხვდებოდა იქ, მაგრამ საკუთარი თვალით მღოცველი არასოდეს უნახავს. ეს ეჩვენებოდა უცნაურზე უცნაურად, მით უფრო, რომ საცურაოდ თბილისის ზღვის ყველაზე შეუხედავი და უკაცური ნაპირი ჰქონდა ამოჩემებული...“

ორ ცივილიზაციას (ქართული – გერმანული-ევროპული) ნაზიარევი გიგო, ეთნიკურად მთიელი, ფეხს ვერსად იკიდებს, ანთეოსივით მიწას მოწყვეტილია; რეალობას ვერ უმკლავდება, თუმცა თავისი „ამბების“ გადმოცემისას სხვათა ენაწყლიანი დარიგებაც სჩვევია.

„მოსისხლესთან“ შერიგებისა და ხატისათვის მოზვრის მსხვერპლშეწირვის მიზნით გერმანიდან ახლად ჩამოსული გიგო შემხვედრ მეცხვარეებსა თუ ფხოველ ნათესავებს „ევროპულ ცივილიზაციას“ ძირითადად ფრაუ ვოლბერისაგან შეძენილ „ცოდნას“ – დასავლური სექსის თავისებურებებს უზიარებს: სანოლში იმ ამბის შემდეგ კი არ უნდა დაიძინო, ქალს უნდა დაელაპარაკო! ეს ამოჩემებული შეგონება მსმენელებ-

ში მხოლოდ გაუგებრობასა და გაავებას იწვევს; მთხობელი კი სიტუაციის კომიზმს ვერც კი ამჩნევს.

რომანი გიგოს მოულოდნელი, ტრაგული, ცინიკურად თუ ვიტყვით, ტრაგიკომიკური, აბსურდული სიკვდილის ამბით იწყება, რამაც კიდევ ერთხელ შეკრიბა და კიდეც გააოგნა თანაკლასელები: პახმელიაზე პინგ-პონგის ზედიზედ სამოცი პარტია ითამაშა, ყველა მოიგო, თუმცა გულმა ვეღარ გაუძლო და იქვე მყისიერად გარდაიცვალა. დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ უტყუარი: ეს პროცესი „დისკზე“ არის გადალებული გამაჯანსალებელი კომპლექსის სათვალთვალო კამერებიდან:

„გიგო თურმე რიგრიგობით ყველას ეთამაშება, ყველას უგებს. სულ ერთი-მეორის მიყოლებით ანგრევს იმ ბობოლებს და დავაი, შემდეგი! მერე გულზე ხელს იკიდებს და კადრიდან გადის, როგორ კვდება, არ ჩანს, მაგრამ ყველა მისკენ გარბის...“

პირველი, რაც პროტაგორისტს გაუელვებს გონებამი, ესაა მათი სადლეგრძელო, „ვინც მყისიერად მოკვდა“. სწორედ ამ სადლეგრძელოს სვამდნენ გიგოს სოფელში, როცა მთამი სხვადასხვა მიზეზით უეცრად დაღუპულებს იხსენიებენ.

შეიძლება ვაჟა-ფშაველას ლექსიც გავიხსენოთ:

„უქმად ჩამაპლევთ სიცოცხლეს, უქმად საფლავში სწვებითა.“

გიგოს უდროო, აბსურდული აღსასრული, ავტორს მამის სიკვდილს აგონებს: მამამისი სანდროც ხომ ძალიან ადრე განეშორა წუთისოფელს – ისიც უპედური შემთხვევის გამო. გიგოსაგან განსხვავებით, პირველობის მოსურნეობით და სახელის მოხვეჭით კი არა, თავისი საქმის სიყვარულით იყო შეპყრობილი. იშვათი პროფესია პქონდა – ქვენარმავალთა ექსპერტი საქართველოს მინდორ-ველებსა თუ ძველ ციხე-კოშკთა ნანგრევებში დაუდალავად

იკვლევდა ცივსისხლიანთა ენდემურ თუ შორი ქვეყნებიდან მოღწეულ სახეობებს.

სწორედ ერთ-ერთი მათგანის, ლიბანური ხვლიკის მოძიება ანაკლიის ციხესთან გახდა მისთვის საბედისწერო:

„იმ ბუნკერში, სადაც პირველ ხვლიკს ჩაჰყვა, კარგა ხანს სდია და ბოლოს დაიჭირა, მართლა იყო რაღაც, რისგანაც სითბო მოდიოდა. ჰო, იქ თბილოდა და ამ სითბოს საკუთარი წყარო ჰქონდა. არ გაჩერებულა, მაგრამ იმ სითბოს უშუალო სიახლოვეს დაიჭირა პირველი უცხო ქვენარმავალი და მერე სასწრაფოდ ამოვიდა ზევით.

რუსმა სამხედროებმა იმ ციხის ძირში, სადაც ოდესალაც თურქებს ეყენათ გარნიზონი, რადიაციული ნარჩენები დატოვეს. ზოგი ამბობდა, რომ განზრახ, ზოგი ამბობდა, რომ შემთხვევით დარჩათ, მერე ის ნარჩენები ცნობისმოყვარე და მოუსვენარმა კაცმა აღმოაჩინა, არ გაუმართლა და მოკვდა სამწელინად-ნახევარზე განერილი ნელი და, ალბათ, როგორი მტანჯველი სიკვდილით“.

შექრნუნებული ავტორი მითად აქცევს მამის უნუგეშო ავადობას: „მამაჩემის სიკვდილის მიზეზი ორი ძლევა-მოსილი იმპერია გახდა“.

მართლაც რომ ყველაფერი მეორდება: ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ განხორციელდება „საუკუნის პროექტი“ – ანაკლიის ღრმანწყლიანი პორტი, რომელი დიდი იმპერიის, ამერიკისა თუ რუსეთის სამხედრო გემები ჩაუშვებენ ღუზას?

მამასაც სურს მითად აქციოს თავისი სნეულება და, პენსიაზე გასული, შთაგონების წყაროდ XVII საუკუნის ტანჯვისა და ცრემლის ნავსაყუდელს ანაკლიას აქცევს: შეუდგება ვრცელი მონოგრაფიის – „ტყვეთა სყიდვის ეკონომიკა დასავლეთ საქართველოში“ – წერას.

იწყებს და ვერ ამთავრებს. ამ დროს

კი „გარეთ დროება იცვლებოდა. ომი და გაჭირვება სუფევდა. მის სამუშაო ოთახში ციონდა, ისევე როგორც მთელ ბინაში და ქვეყანაში. ხშირად ლამფის შუქზე უწევდა წერა, მაგრამ გადაწყვიტა არაფერი შეემჩნია“.

XVII საუკუნე – საქართველოს ზნე-ობრივი და ფიზიკური განადგურების სიმბოლო – ავტორისათვის ტრაგიკული ნიშანსვეტია გაუთავებელი ძმათამ-კვლელი შიდა ომებისაც. ეს ის დროა, როცა „მეჩვიდმეტე საუკუნეში არაგვის ერისთავებმა მთის დამორჩილება გა-დაწყვიტეს და ლაშარის გორზე მოაჭ-რევნეს წმინდა მუხა, რომელიც ოქ-როს ჯაჭვით იყო ზეცასთან მიბმული. ჰოდა, ასეა აღნერილი, რომ ის ჯაჭვი წივილით ავარდა ცაშიო. რაღაც მთავა-რი ცოდნა დაიკარგა მაშინ, ზეცასთან კავშირი გაწყდა. მეჩვიდმეტე საუკუ-ნემდე სხვანაირი იყო ლვთაებების პან-თეონი და მზე-ქალი იყო უმთავრესი...“

პროტაგონისტს ბრაზით ავსებს ისიც, რომ „ევროპაში მაგ დროს პარო-კოა გაქანებული“.

„ქაოსია თქვენი ქვეყანა!“ – დამშვი-დობების ნაცვლად ასე ეტყვის გიგოს დაქრძალვაზე ჩამოსული ფრაუ ვოლ-ბერი ავტორს, რომელიც აეროპორტში აცილებს მას. იგი, როგორც ჩანს, გა-ნიცდის ყოფილი „სექსუალური პარ-ტნიორის“ სიკვდილს, თითქოს უფრო მოძერებულია, მაგრამ გაალმასებულია ამ „ქაოსში“ მოხვედრის გამო. როცა გამცილებელი თვითმფრინავის მო-ლოდინში ყავაზე ეპატიუება სტუმარს, გერმანელი ქალბატონი მკვახედ პასუ-ხობს:

„რაც შეეხება ყავას, ჩემს ყავის ფულს მე თვითონ გადავიხდი. ხომ მო-მიყვანე აეროპორტში, არც ეს მითხო-ვია, ტაქსითაც შემეძლო მოსვლა, მაგ-რამ მადლობელი ვარ. ოლონდ იცოდე, ყავაზე საკუთარი თავის დასაპატიუე-ბელი ფული მაქვს და სულაც არ მჯერა ამ თქვენი სხვის დასანახად ჩადენილი

ჯენტლმენობის“.

ავტორის მიერ წარსულის ძნელბე-დობის მწვავე აღქმას ვერც თანამედ-როვეობა ედება სალბუნად, ამიტომაც იწვევს რომანი განგაშის განცდას, რაც არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდს, არამედ მთელ ქვეყანას დაუფლებია.

„საქართველო ერთი ბეწო ქვეყა-ნაა“ – დედის ამ სიტყვებით გაღიზიანე-ბული შვილი ასე პასუხობს: „ჰო, ერთი გადაფურთხებაა...“ (მდრ. აკაკი: „ფურ-თხის ლირსი ხარ შენ, საქართველო“).

პროტაგონისტს თითქოს აწყობილი ცხოვრება აქვს: ჰყავს საყვარელი დედა და ცოლ-შვილი, შემოსავლიანი სამსა-ხური, ბინა თბილისში (დედმამისეული და ცოლის – ალდესი), აქვს სახლი დე-დულეთში, იმერეთის ლარიბ, მაგრამ „უსაფრთხო“ (რადგან ტურიზმის მექად ქცევა არ ემუქრება) სოფელში, სადაც მრავალი ზაფხული აქვს გატარებული, ახლა კი 11 წლის კატო ჩაჰყავს ხოლ-მე ბებიასთან (ალდე, რომელიც ძალიან უყვარს, „თავისუფალი“ ქალია, რასაც ქმარი უდრტვინველად ეგუება); მეგობ-რობს თანაკლასელ თურმანიძესთან (ისინი უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს). ზემოთქმულის მიუხედავად, მას არა და არ ასვენებს სულის ფორიაქი, ხილუ-ლი თუ ქვეცნობიერში დაბუდებული: მამის ნაადრევი სიკვდილი, განსაკუთ-რებული ელდა მეგობარი ბავშვების ტრაგიკულად დალუპვის გამო და, რაც მთავარია, ბილო ოცდაათწლეული, რომელსაც, „საკუთარი ქვეყნისაგან დაფეხებული“, მხოლოდ მუქ ფერებში აღიქვამს: „ადამიანი მეცოდება გაჩე-ნის დღიდან და კატო ყველაზე მეტად, რახან შვილია ჩემი და ნინ აქვს ყველა ხიფათი, გულისტკენა და მარტომობა“. მას აშფოთებს კატოს მომავალი ამ ქა-ოტურ, „ტრადიციულად“ პოლარიზე-ბულ, პარტიათა სამეფოდ ქცეულ ქვე-ყანაში.

შიში თავგზას ურევს თბილისელ „თა-ვადს“ ჯამბაკურ ერისთავს, რომელსაც

მშობლიურ სოფელში „სასახლე“ აუგია, სულ ახლოს კი რუს ოკუპანტებს მავთულხლართები გაუბამთ. ოჯახში რატომდაც შეკედლებული ჰყავს უთვისტომო რუსი (თუ ებრაელი?) ლოთი ლოიოშა, კაცმა არ იცის, რა მიზნით: სიმბოლური შურისძიებისათვის თუ „თავდაცვის“ გამო. შიში წამლავს ლიონასაც, რადგან თავისიანებისაკენ გახედვაც არ უნდა და ჭაჭის არაყით და გიტარაზე დამღერებით თავის ჭიასაც ახარებს და „კნიაზსაც“ ასიამოვნებს: ხან ბობ მარლეის ჰიტს მღერის, ხანაც, განგებ ჩახრინწული ხმით – ვლადიმერ ვისოცკის სიმღერებს. წაპახუსევზე კი განიცდის, რომ ვისოცკის ულალატა: „როგორ გავბედე?! საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ. მისი კონი როგორ ვიმღერე?! საშინელება იყო, კატასტროფა. ვისოცკი ხატია, მე კი... მე კი... ჯობდა არ გამელვიძა და არ გამხსენებოდა“ (ვისოცკის სიმღერების შესრულება, ბევრ მომღერალს რომ უცდია – მართლაც კატასტროფაა, სხვათა შორის, ირაკლი ჩარკვიანის „გადამღერებაც“ ასევე წარუმატებელია).

უადგილო, მაგრამ აუცილებელი ჩანართი:

შარშან გამოვაქვეყნე ესეი არჩილ ქიქოძის „ნორვეგიულ დღიურზე“, სა-დაც უნებლიერ ლაფსუსი გამეპარა: თითქოს „კონ-ტიკის“ ექსპედიციის მოთავე ინგლისელი ტიმ სევერინი იყო. ლიოშასავით ბოდიშს ვუხდი დიდებულ ნორვეგიელ მოგზაურსა და მწერალს ტურ ჰეიერდალს, რომლის წიგნი „მოგზაურობა „კონ-ტიკიზე“ სტუდენტობისას წავიკითხე, რა თქმა უნდა, რუსულად. ქართულ ენაზე მგონი დღესაც არ გვაქვს თარგმანი.

რაც შეეხება ტიმ სევერინის „არგოთი“ მოგზაურობას საბერძნეთიდან საქართველოში (არგონავტების მარშრუტის განმეორება რიონის სიმერხრის გამო ვერ მოხერხდა), გაფაციცებით ვადევნებდით თვალს ტელევიზიით,

მით უმეტეს, რომ ინტერნაციონალურ ეკიპაჟში ქართველი ახალგაზრდა უურნალისტი და სპორტსმენი პაატა ნაცვლიშვილიც მონაწილეობდა.

•

არჩილ ქიქოძის რომანს უძლვის წინათქმა:

„ავტორი მადლობას უხდის ეთერ თათარაიძეს და ამირან არაბულს, რომელთა წაშრომიც „შენდობით მომიხ-სენიე“ ამ წიგნის ერთ-ერთი მთავარი შთაგონება გახდა“.

თათარაიძე-არაბულის უაღრესად წარმატებული ტანდემის უნიკალური წიგნი-ფოტოალბომი „შენდობით მომიხსენიეთ“, სამყაროს ერთიანობის (საიქიო-სააქაო), ამაღლებულის, ჰუმანურობის, ხსოვნისა და არდავიწყების რწმენას ბადებს.

არჩილ ქიქოძის რომანიც ხომ „დავიწყების შიშის“ დათრგუნვის მცდელობაა; ბოროტისა და კეთილის უსასრულო ჭიდილის, ყოფნა-არყოფნის დიქოტომიის წარმოჩენაა.

ავტორისათვის ანტიკური საბერძნეთისა და საქართველოს მთაში დღემდე შემორჩენილი რიტუალიც (მაგ. დოლი – მიცვალებულის საპატივცემულოდ) ქვეყნიერების ერთიანობის სიმბოლოა.

ავტორი ხშირად დადის სასაფლაოზე – ქალაქადაც და სოფლადაც; მთის თითქმის სრულიად დაცლილ სოფლებშიც და ხიფათიან, „უგზო“ ბილიკებზე, სადაც აღმართულია ქვის წიგნის წიგნის სიმბოლოა.

ადამიანმა საკუთარი მეხსიერების სამსახურში ჩაიყენა „ქვა, რომელიც თითქმის უკვდავია“.

„ხვლიკი საფლავის ქვაზე“, ერთგვარი მეტაფორაა სამყაროს უსასრულობისა:

„მწერები, ამფიბიები, ცხოველები, ქვეწარმავლები ჩვენზე დღემოკლეები არიან, მაგრამ ჩვენ იმათ დაბადებას, დაბერებას და სიკვდილს ვერ ვხედავთ,

ამიტომ თითქოს მხოლოდ ჩვენ და ჩვენი პუდელები ვართ წარმავლები, ისინი კი – უკვდავთა ჯარი, ბუნების დაუმარცხებელი არმიაა“.

ასეთი პასაჟები რომანში ხშირია. მანაცა არავის „ერჩის“: მხოლოდ ართობს ჭიანჭველების, ფაროსანების, ხვლიკებისა თუ აივანზე გარინდებული „კარგი ნაცნობის“ გომბეშოს მზერა, იმაზეც წუხს, რომ მისი შვილი კრაზანებს ანადგურებს. ყოველივე ეს კი ბარათაშვილის ერთ ენიგმურ სტროფს ეხმიანება: „მრნამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო, / უასაკოთა და უსულთ შორის/ და უცხოველეს სხვათა ენათა/ არს მნიშვნელობა მათის საუბრის“.

წიგნი რთული აღსაქმელია, მკითხველის გარკვეულ მზაობასაც გულისხმობს; ის თითქოს დანაწევრებულია,

ფილოსოფიურ რეფლექსიებს „დამინებული“ ყოფა ენაცვლება; დახვეწილი იუმორს – ირონია, ცინიზმი და „შავი იუმორი“; რომანტიკულ ელფერს – დაუნდობელი ნატურალიზმი; თუმცა, ყოველივე ამას მაინც გადაფარავს ადამიანური სითბო, თანალმობა და სიყვარული.

რომანი უჩვეულოდ იწყება და ასევე უჩვეულოდ მთავრდება, კუდმოკვეცილად, ერთადერთი სიტყვით – „მატარებელი“... ეს, ავტორის აზრით, „გაცვეთილი სიმბოლო“, ბუნდოვანების, გაურკვევლობის მოლოდინს ბადებს.

„ცხოვრების ეტლის სადარებელი“ მატარებელი დღესაც მთელ მსოფლიოს, მათ შორის საქართველოსაც მიაქანებს, მაგრამ საით?



## პატანდილ ნიკოლეიშვილი

ქართველ მუჭათირთა ტრაგიკული ხვალი

(ილჰან აკინი – „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“)

მოხდა ისე, რომ საქართველოდან ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა ტრაგიკული ცხოვრების სეული ხვედრის წარმოსახვა თითქმის მთლიანად დარჩა ქართველ მწერალთა მხატვრული შემოქმედების მიღმა და ამ თემაზე ძალზე ცოტა ტექსტი შეიქმნა ლიტერატურულად ფასეული და მნიშვნელოვანი. ქართული მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, მუჰაჯირობის პრობლემამ უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართველ პუბლიცისტთა და ისტორიკოსთა ნააზრევში. კერძოდ, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს პრობლემა არა მარტო მუჰაჯირობის დროს რჩებოდა ქართველ მწერალთა, პუბლიცისტთა თუ მკვლევართა აქტიური განსჯის საგნად, არამედ შემდგომ პერიოდშიც.

ქართულ მწერლობაში აღნიშნული მიმართულებით არსებული ამ ხარვეზის რამდენადმე მაინც შევსების წარ-

მატებულ მცდელობად უნდა მივიჩნიოთ თურქი მწერლის, ეთნიკური წარმომავლობით ქართველი პროზაიკოსის ილჰან აკინის (ბერიძის) რომანი „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“. ხსენებული წარმომები პირველად 2014 წელს დაიბეჭდა სტამბოლში „დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის“ დაფინანსებით. წიგნის მთელი ტირაჟი მაშინ იმდენად სწრაფად გაიყიდა, რომ 2015 წელს იგი ხელმეორედაც გამოიცა.

ილჰან აკინი თანამედროვე თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის წარმოებები ინგლისურ, არაბულ და ჰინდის ენებზეცაა თარგმნილი. მწერლის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ქართულ ენაზე დღესდღეობით მხოლოდ ერთი მხატვრული ქმნილება – ზემოთ ხსენებული რომანი „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლებაა“ თარგმნილი. იგი მაღალმხატ-

ვრულად თარგმნა ცნობილმა თურქოლოგმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ნანა კაჭარავამ, რომელიც 2014 წლიდან – თურქეთის რესპუბლიკის დუზჯეს უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის გახსნის მეორე წლიდან – სტუდენტებს ამ უნივერსიტეტშიც ასწავლის ქართულ ენას.

ილჰან აკინის (წინაპართა ქართული გვარით – ბერიძის) რომაზე საუბრის დაწყებამდე მკითხველს მისი ბიოგრაფიდანაც მინდა შევთავაზო რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია: თავად ისიც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალია. დაიბადა 1963 წელს დუზჯეს პროვინციის სოფელ მუნჯურლუში. სპეციალობით თურქული ენის პედაგოგია და სხვადასხვა დროს მასწავლებლად მუშაობდა. შემდგომში საქმიანობა განაგრძო იზეთ ბაისალის სახელობის უნივერსიტეტის დუზჯეს უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში, სადაც განათლების ფაკულტეტთან არსებულ სამწერლობო სახელოსნოში კითხულობდა ლექციებს შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებით.

თურქეთის სამეცნიერო და ლიტერატურული ასოციაციების კავშირის მიერ იგი დასახელებული იყო 2012 წლის საუკეთესო რომანისტად. არის ოცამდე რომანის ავტორი და რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

ილჲან აკინი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებზე. ამჟამად ცხოვრობს ქალაქ დუზჯეში და არის იქ არსებული ქართული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელი საბჭოს წევრი.

ილჲან აკინის მხატვრული პროზის თემატიკა მეტად მრავალფეროვანია და ავტორის თვალთახედვის არეში არა მარტო თურქული რეალობაა მოქცეული, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნების მკვიდრთა ყოფაც.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ილჲან აკინის, როგორც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალს, თავისი ისტორიული წარმომავლობით ბევრი რამ აკავშირებს საქართველოსთან, გულდანყვეტით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართულ თემატიკას მის შემოქმედებაში ბოლო დრომდე არ საგულისხმო ადგილი არ ჰქონია. მის მწერლურ ბიოგრაფიაში ამ თვალსაზრისით გარდამტები მნიშვნელობის მქონე მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ბოლო წლებში დაწერილი ორი რომანი: „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“ და „ოქროს საწმისი“.

ქალბატონ ნანა კაჭარავას ხაზგასმით, „ოქროს საწმისში“, რომელიც ავტორს საბოლოოდ დასრულებული სახით დღემდე თურქულ ენაზეც კი არ აქვს გამოქვეყნებული, განსხვავებული თვალთახედვით ყოფილა გააზრებული კოლხეთში არგონავტების ჩამოსვლისა და ოქროს საწმისის გატაცების ამბავი. რაც შეეხება „უხმო ქვითინს“, იგი მწერლის მიერ ქართულ თემატიკაზე შეექმნილი პირველი მხატვრული ტექსტია, რომელშიც ისტორიული რეალიების გათვალისწინებითაა მოთხოვილი ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა ტრაგიკული ცხოვრებისეული ხვედრი.

მწერალმა მის მიერ წარმოსახულ მოვლენებს მეტი ემოციური სიმძაფრე იმითაც შესძინა, რომ რომანის თურქულენოვან ტექსტში ქართული სიტყვა-გამოთქმებიცა და ხალხური სასიმღერო ტექსტებიც ჩართო მიზანმიმართულად. ეს ის ტექსტოლოგიური აქსესუარებია, რომელთა მეშვეობითაც ავტორი არა მარტო ქართულ რეალობასთან მისი რომანის პერსონაჟთა სისხლხორცეულ სიახლოება და მისგან სულიერ განუყოფელობას წარმოაჩენს, არამედ თავად მის გენეტიკურ კავშირსაც თავის ისტორიულ სამშობლოსთან.

კერძოდ, წინაპართა ენის არმცოდნე

მწერალი რომანის ტექსტში ამ ენიდან ხსოვნას მწირად შემორჩენილი ქართული სიტყვებისა და სასიმღერო ტექსტების ჩართვითაც ცდილობს, მის მიერ წარმოსახული ქართველი პერსონაჟების ტრაგიკულ ცხოვრებისეულ თავგადასავალს კიდევ უფრო მეტი ემოციური სიმძაფრე რომ შესძინოს. იმისათვის, რომ ეს ყველაფერი ქართული ენის არმცოდნე მკითხველისთვისაც გახადოს გასაგები, ქართული ანბანით დაბეჭდილ ამ ლექსებსა და სიტყვებს ავტორი იქვე ლათინური ტრანსკრიფტითაც და შესაბამისი ახსნა-განმარტებითაც წარმოგვიდგენს. მაგალითად:

პატარა გოგო დამეკარგა,  
წითელპერანგა,  
ან ავლილი, ან ჩავლილი  
ხომ არ გინახავთ?  
დღე და ღამე ვტირი მე და  
ცრემლი მწველია,  
პატარა გოგოს სიყვარული  
ოჳ, რა ძნელია...  
ვაიმე, ჩემო ანგელოზო,  
ჩემო ლამაზო,  
პატარა გოგო დამეკარგა,  
რა მეშველება?  
მაღლა-მაღლა ნუ დაფრინავ,  
ჩამოვარდები,  
ვაჭრის ხელში ჩავარდები,  
დამეკარგები...  
პატარა გოგო დამეკარგა,  
რა მეშველება?

როგორც უკვე ითქვა, ილპან აკინის რომანის უმთავრესი თემა ქართველ მუპაჯირთა ტრაგიკული ხვედრის წარმოსახვაა. კერძოდ, მწერალი ოსმალეთში მუპაჯირად მიმავალ პადრისა და მის ცხრა წლის ძმისშვილს – დილას ხიფათიან თავგადასავლას მოგვითხრობს და შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს იმ უმძიმეს მდგომარეობას, რომელშიც საქართველოდან უცხოეთში გადასახლებული ქართველი მუპაჯირები აღმოჩნდნენ.

რომანის მიხედვით, ამ ადამიანების მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად ამ ქვეყნის შემადგენლობაში საქართველოს იმ რეგიონების მოქცევა წარმოადგენდა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში შედიოდა.

როგორც მკითხველს მოეხსენება, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის შემადგენლობაში მოქცეული ამ რეგიონების მოსახლეობა დროთა განმავლობაში მუსულმანური სარწმუნოების აღმსარებელი გახდა, ისინი თავიანთ ეროვნულ ფესვებს მაინც არ მოწყვეტილან და უმტკიცესად დაიცვეს საკუთარი ეთნიკური იდენტობა. რომანში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ მათი ეროვნული თვითშეგნებისთვის საფუძვლის შემრყევ მოვლენად სულაც არ ქცეულა წინაპართა რელიგიური აღმსარებლობისგან ამ ადამიანთა განდგომა და ისინი კვლავინდებურად რჩებოდნენ თავიანთი ისტორიული სამშობლოს ერთგულ და მოყვარულ ადამიანებად.

ჩემი აზრით, მუპაჯირობის საფუძვლად ქცეული უმთავრესი გარემოებები ილპან აკინის რომანში ნაწილობრივ არის წარმოჩენილი და ამ ტრაგიკული მოვლენის განმაპირობებელ ლამის ერთადერთ ფაქტორად რუსული კოლონიალიზმის დამთრგუნველი და მომაკვდინებელი ზემოქმედებაა მიჩნეული. იმ გარემოებაზე კი ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება, მუპაჯირთა მიერ ისტორიული სამშობლოდან გადასახლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უმთავრეს საფუძველს რელიგიური რწმენა რომ წარმოადგენდა.

მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟებს არც ის ჰქონდათ გაცნობი-ერებული, რუსეთის იმპერიის შემად-

გენლობაში მათი რეგიონის მოქცევის შედეგად ეს რეგიონი ფაქტობრივად დედასაქართველოს ღვიძლი ნაწილი რომ ხდებოდა, რაც ისტორიულ სამშობლოსთან საუკუნეების წინათ განყვეტილი ურთიერთობის რეალურად აღდგენას მოასწავებდა.

ყოველივე ზემოთქმულის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს რომანიდან.

ბათუმიდან ოსმალეთში მიმავალ გემზე მყოფი რვაასზე მეტი ქართველი მუჰაკირი, რომელთა შორის რომანის მთავარი პერსონაჟები – ბადრია და მისი ცხრა წლის ძმისშვილი დილაც არიან, სამუდამოდ ემშვიდობება სამშობლოსა და ახლობელ ადამიანებს. მათ უდიდეს ნაწილს ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული, ამ საბედისნერო ნაბიჯის გადადგმითა და სამშობლოსთან სამუდამო გამოთხვებით რამდენად სწორ ნაბიჯს დგამდა და რა ბედი მოელოდა უცხო ქვეყნაში ღვთის ანაბარად გადახვეწის შედეგად.

აქედან გამომდინარე, მათი იმუამინდელი სულიერი განცდების წარმოსახვის დროს მწერალმა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ უმწვავესი საკითხის განსჯა-გააზრებასა და მათი სულიერი განცდების წარმოჩენას მიაქცია. ჩემი აზრით, ილპან აკინის რომანისადმი ინტერესს, უპირველეს ყოვლისა, ის ეპიზოდები განსაზღვრავს, რომელთა მეშვეობითაც ავტორი მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით წარმოსახვს მუჰაკირად ქცეულ ადამიანთა სულიერ განცდებსა და მათ მიერ მიღებული ამ პროცესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაწყებულმა ამ პროცესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები 1877-1878 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შემდომ პერიოდში შეიძინა, რის შედეგადც მუჰაკირად ქცეული ასი ათასობით ქართველი სამუდამოდ აიბარგა მშობლიური მიწიდან და ოსმალეთის მკვიდრად იქცა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის მონაკვეთი, სადაც მწერალი ბადრისა და მისი ახლად გაცნობილი მოხუცი ქობულეთელი თანამგზავრის საუბარია გადმოცემული. საკუთარი გადაწყვეტილების

მართებულობაში ღრმად დარწმუნებული ბადრისაგან განსხვავებით, მოხუცს აღნიშნული პრობლემისადმი რამდენადმე გაორებული დამოკიდებულება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მუჰაკირობის ტრაგიკულ გზაზე ფეხშედგმულ მოხუცს ოჯახის წევრები ოსმალეთში წინასწარ ჰყავდა გახიზნული, იგი შინაგანად მაინც იყო დაეჭვებული თავისი გადაწყვეტილების მართებულობაში.

კერძოდ, ბადრისთან გამართული ერთ-ერთი საუბრის დროს იგი სსენებული პრობლემისადმი თავის სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამგვარად გამოხატავს: „ნასვლა უფრო სწორი თუ დარჩენა, შვილო? – ეუბნება იგი ბადრის. – მე მთლად დარწმუნებული არავარ. ნეტავ დავრჩენილიყავით...“

დავრჩენილიყავით და საკუთარი თავისათვის საკუთარ სამშობლოში მიგვეხდა...

ვერაფრით გაერკვია, წასვლა უფრო სწორი იყო თუ დარჩენა.

მიჩვეული ადგილებიდან, სამშობლოდან მოწყვეტისა და გადახვეწის სიმწარე იყითხებოდა მის სახეზე“.

როგორც ითქვა, მუჰაკირობის ტრაგიკული პროცესის დაწყება არსებითად განაპირობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის მიერ მისაკუთრებული ქართული რეგიონების მოქცევამ რუსეთის სახელმწიფო-ეპრივ დაქვემდებარებაში. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაწყებულმა ამ პროცესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები 1877-1878 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შემდომ პერიოდში შეიძინა, რის შედეგადც მუჰაკირად ქცეული ასი ათასობით ქართველი სამუდამოდ აიბარგა მშობლიური მიწიდან და ოსმალეთის მკვიდრად იქცა.

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით: „ეს ყველაფერი იმ დღეს დაიწყო, როდესაც რუსთა ხელმწიფებ თავი მთელი ქვეყნიერების მართლმადიდე-

ბელთა მფარველად გამოაცხადა“ . მისი შეფასებით, აღნიშნული მოვლენა მეტად საშიშ ფაქტს იმიტომაც წარმოადგენდა, რომ „მპრძანებლობის ეს საოცარი სურვილი რუსთა ხელმწიფეს დროთა განმავლობაში ისეთ უინად გადაექცევა, რომ მილიონობით ადამიანის დაღუპვის, შიმშილისა და სიღარიბის, მშობლიური ადგილებიდან აყრის, გადასახლებისა და მუჰაჯირობის მიზეზი გახდება“.

რუსი დამპყრობლებისაგან არსებითად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ოსმალეთთან რომანის მუჰაჯირ პერსონაჟებს. კერძოდ: მათი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსად რუსეთისა, ჩვენი ქვეყნის ცალკეული რეგიონები საუკუნეების განმავლობაში მის შემადგენლობაშიც იყო მოქცეული, ოსმალეთის იმპერიული ხელისუფლება იქ მცხოვრებ ქართველთა მიმართ დისკრიმინაციულ პოლიტიკას არასოდეს ატარებდა და მათდამი აშკარად კეთილგანწყობით დამოკიდებულებას ავლენდა.

მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევს ერთ-ერთი მათგანი თავიანთი ცხოვრების ოსმალურ პერიოდს: „ოსმალეთის ქვეშვრდომობაში... მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს...“

ოსმალეთი არ ერეოდა ჩვენს ყოფაში, ჩვენს საქმეში, ჩვენს ენასა და რწმენაში... არ ერეოდა იმაში, რას ვთე-სავდით, რას ვიმკიდით“.

ისტორიული რეალობის არსში გარკვეულ ქართველ მყითხველს, ბუნებრივია, იმის ხაზგასმით და არგუმენტირებულად აღნიშვნა არ სჭირდება, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული რეგიონების მოსახლეობის მიმართ ამ ქვეყნის იმპერიული ხელისუფლების მიერ გატარებული მმართველობითი პოლიტიკის ამგვარი შეფასება რეალურ საფუძველს რომა მოკლებული. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ოსმალეთი-

სადმი ქართველ მუჰაჯირთა ამგვარი ლოიალური დამოკიდებულების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს გარემოებად არა მარტო რუსული კოლონიური პოლიტიკის მეტი სისასტიკე იქცა, არამედ რელიგიური ფაქტორიც.

„უხმო ქვითინის“ პერსონაჟთა ეროვნული თვალთახედვის წარმოსახვის დროს ილპან აკინის რომანში მესამე მიმართულებაცაა მკაფიოდ გამოკვეთილი – თავგანწირული ბრძოლის სურვილი რუსული ოკუპაციისაგან საკუთარი მხარის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ მუჰაჯირად გადახვენის გზით ბევრი მათგანი რეალურად ეცლებოდა ბრძოლის ასპარეზს, ისინი თავიანთ მიწა-წყალს ამ ნაბიჯის გადადგმით მტრის საჯიჯვნად არ ტოვებდნენ და არა მარტო შინაგანად იყვნენ მტერზე შურისძიების დაუმცხრალი გრძნობით გულანთებულნი, არამედ რეალურადაც ცდილობდნენ თავიანთი მიწა-წყლიდან სამშობლოს დამპყრობრუს აგრესორთა განდევნას, მაგრამ, რადგანაც ამ უთანასწორო ბრძოლაში მიზნის მიღწევას ვერ ახერხებდნენ, საომარ ასპარეზს ეცლებოდნენ, საკუთარ მიწა-წყალს ტოვებდნენ და ოსმალეთში მიდიოდნენ ახალი სამშობლოს მოსაძებნად.

როგორც უკვე ითქვა, რომანის მუჰაჯირ პერსონაჟთა გარკვეული ნაწილი სამშობლოდან მათ გადახვენასთან დაკავშირებით მიღებული ამ გადაწყვეტილების მართებულობაში თავადაც არ იყო დარწმუნებული და ამ ტრაგიკული მოვლენისადმი მათ აშკარად გაორებული და შინაგანად წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ. კერძოდ, მათი აზრით, სამშობლოდან გადახვენის მიუხედავად, ისინი მუდმივად არ თმობდნენ საკუთარ მიწა-წყალს და კვლავაც გააგრძელებდნენ თავგანწირულ ბრძოლას რუს დამპყრობთა წინააღმდეგ.

რომანის პერსონაჟთა ამ წარმომად-

გენლების ეროვნულ თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქ- მნელად დავიმოწმებ ფრაგმენტებს იმ საუბრიდან, რომელიც ამასთან დაკავ- შირებით იმართება ნაწარმოების მთა- ვარ პერსონაჟ ბადრისა და მის მოხუც თანამგზავრს შორის. მოხუცის თქმით, მშობლიური კარ-მიდამოდან მასობრი- ვად აყრა და სხვა სახელმწიფოში გა- დასახლება შესაძლოა ვინმეს სამშობ- ლოდან მათ გაქცევად და სიმხდალის გამოვლინებად მიეჩნია. სინამდვილეში, ეს ასე არ იყო და ისინი მხოლოდ იმი- ტომ ტოვებდნენ საკუთარ ქვეყანას, ძა- ლა რომ მოეკრიბათ და აუცილებლად დაბრუნებულიყვნენ უკან მტრისთვის ანგარიშის გასასწორებლად.

თუმცა ავტორისეული მონათხრობი- დან თვალნათლივ ჩანს, რომ მათი ეს სურვილი რეალურ საფუძველს მოკ- ლებული სიტყვები იყო და ოსმალეთში სამუდამო გადასახლებით ისინი თავი- ანთ ხვედრს იძულებით შერიგებულნი და მომხვდურ მტერთან ომში დამარ- ცხებულნი ტოვებდნენ საპრძოლო ას- პარეზს. ამდენად, მათი საუბარი იმაზე, რომ მშობლიური კარ-მიდამოდან გა- დახვეწის მიუხედავად, მტერზე შურის საძიებლად უკან უსათუოდ დაბრუნ- დებოდნენ და დაკარგულ სამშობლოს კვლავაც დაიბრუნებდნენ, საფუძველს მოკლებულ სურვილს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთქმულის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნე- ლად დავიმოწმებ ფრაგმენტებს რომა- ნის სენებული ეპიზოდიდან: „მოხუცი ბადრისაკენ შეტრიალდა და ირონიული ღიმილით ჰკითხა:

– ახლა ჩვენ ამ გემით ხომ სულ სხვა ადგილას გადასასახლებლად მივდი- ვართ. რა, რუსებს გავექეცით?..

მოხუცის ამ სიტყვებში ირონიულად, გადაკრულად სიმხდალის ბრალდება გამოსჭვიოდა...

ეს გადასახლება, ბადრის აზრით, არამც და არამც მთლიანად გადასახ-

ლება არ იყო.

მით უმეტეს, სულ არ იყო გაქცევა... ათასი წლის განმავლობაში მის გვარსა და მოდგმას, მის სისხლსა და ჯიშს თავისი სამშობლოს – კავ- კასის ეს ბარაქიანი მიწები ასაზ- რდოებდა და კვებავდა. სულაც არ აპირებდა სამშობლო რუსებისთვის ასე ადვილად დაეთმო...

ნებისმიერი ქართველი, მსოფლი- ოს რომელ კუთხეშიც არ უნდა დასახ- ლდეს, არ ულალატებს იმ მიწას, სადაც უმკია, უთესია, თავი გამოუკვებავს... მაშ, რა ხდება, ახლა სამშობლოს რომ ტოვებს და გარბის?“

მართალია, საომარი ასპარეზი მათ ადვილად არ დაუთმიათ, მაგრამ ამ უთანასწორო ომში იძულებული გამ- ხდარან, უკან დაეხიათ და მუჰაჯირო- ბის გზას დადგომოდნენ. ბევრი მათგა- ნი მაშინ ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მშობლიურ კარ-მიდამოს მხოლოდ დროებით ტოვებდა და სხვა ქვეყანაში არა მუდმივ საცხოვრებლად, არამედ ძალების მოსაკრებად მიდი- ოდა, თუმცა, როგორც ისტორიულმა რეალობამ დაგვინახა, მათ ამ იმედიან მოლოდინს საფუძველი არ გააჩნდა.

ამ გარემოებას ილპან აკინის რო- მანშიც რომ ესმება ხაზი, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის შეუ- საბამობა, რომელიც რუსული ოკუპა- ციის წინააღმდეგ ბრძოლაზე მოსაუბ- რე ქობულეთელი მოხუცისა და ბადრის რეალურ ქმედებებსა და მათ პატრიო- ტულ მიზანსწრაფვას შორის ვლინდე- ბა ცხადად და აშკარად. კერძოდ, რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლა- ში დამარცხებულ მოხუცს შექმნილი მდგომარეობიდან ის გამოსავალი მოუ- ძებნია, რომ ჯერ თავისი ოჯახი დე- დაწულიანად გაუხიზნია ოსმალეთში, ახლა კი თავადაც დასდგომია ამ გზას. „როდესაც დავინახე, არაფერი გამო- დიოდა, – ეუბნება იგი ბადრის, – მო- ვუყარე თავი ჩემი სახლის ქალებსა და

ბავშვებს და ამ ხუთი თვის წინ უმცროს ვაჟთან ერთად ოსმალეთში გავხიზნე. იძულებული გავხდი, ასე მოვქცეული ყავი.

მე და ჩემი ორი ვაჟი მხარდამხარ, გააფთრებით შევებით მტერს, ალაპია მონწე.

მშობლიური მიწის მომხვდურისთვის ჩაბარება, სამშობლოს მიტოვება და სხვა ქვეყანაში გადახვეწა ძალიან გამიჭირდა, შვილო... მაგრამ სიბერემ და უძლურებამ ბრძოლის გაგრძელების საშუალება არ მომცა და ოსმალეთში გადასულ უმცროს ვაჟთან წასვლას დავთანხმდი“.

სამწეხაროდ, ქობულეთელი მოხუცი გამონაკლისი არ ყოფილა და სამშობლოდან გადახვეწის გზას მაშინ უამრავი მუჰაჯირი დაადგა. როგორც ილჰან აკინის რომანიდანაც თვალნათლივ ჩანს, ახალი სამშობლოს მაძიებელ ამ ადამიანებს იმხანად ბოლომდე არ ჰქონდათ გაცნობიერებული ნამდვილი არსი მათ მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილებისა, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე მათ ახალ სამშობლოში ჩასვლამდეც შეეწირა.

სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს რომანის მთავარი პერსონაჟის – ბადრისა და მისი ცხრა წლის ძმისშვილის – დილას ტრაგიული თავგადასავალი. კერძოდ, ავტორისეული მონათხრობის მიხედვით, ნაკლებად სარწმუნოცა და გაუგებარიც კია მოტივი იმისა, რის საფუძველზეც ბადრიმ და მისმა მრავალრიცხოვანმა ოჯახმა მიიღო გადაწყვეტილება ოსმალეთში გადასახლების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით აი, რა ინფორმაციას აწვდის ბადრი თავის მოხუც თანამგზავრს:

„ჩვენი ოჯახისა და სანათესაოს გადაწყვეტილებით, მხოლოდ ჩვენ ორნი დავადექით გადასახლების გზას. დილას მამა, ჩემი უფროსი ძმა, წლების წინათ უკურნებელმა სენმა საწოლს მი-

აჯაჭვა... დედაჩემი კი მოხუცი ქალია... იმდენად მოხუცი, რომ მგზავრობას ვერ გაუძლებდა...

დილას დედა მათთან დარჩა. დილას კიდევ უმცროსი დაიკო ჰყავს სახლში... ისიც, რადგანაც ძალიან პატარაა, დედასთან დარჩა“.

ილჰან აკინის რომანი პირობითად ორ უმთავრეს სიუჟეტურ ნაწილად შეიძლება გავყოთ: პირველ ნაწილში ავტორი ოსმალეთში დასამკვიდრებლად მიმავალ ქართველ მუჰაჯირთა მგზავრობასა და ისტორიულ სამშობლოსთან დაკავშირებულ მოგონებებზე მოგვითხრობს, ხოლო წანარმოების მეორე ნაწილში ოსმალეთში მათი დამკვიდრების უაღრესად რთული და დრამატული მოვლენებით აღსავსე პროცესია წარმოსახული.

პირველი, რაც უდიდესი ხიფათით სავსე შვიდღლიან მოგზაურობას გადარჩენილმა და მათ ახალ სამკვიდრებელ ადგილად არჩეულ ქვეყანაში მშვიდობიანად ჩასულმა ასეულობით მუჰაჯირმა გააკეთა, ის იყო, რომ ოცნებით ნალოლიავებ ამ ქვეყნის მიწას „დაეკონენ და კოცნა დაუწყეს“, თუმცა მათი ამგვარი ქმედება იმას სულაც არ წიმნავდა, რომ ამით ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან დამაკავშირებელ ფესვებს წყვეტდნენ.

ილჲან აკინის რომანის ღირსება ისიც არის, რომ იგი ტრაგიული ბედის მქონე ამ ადამიანთა ნოსტალგიურ გრძნობებსაც წარმოაჩენს ძალზე ემოციურად და შთამბეჭდავად. სწორედ დაუმცხრალ სულიერ ტკივილად ქცეული ამ გრძნობის ერთ-ერთ ასეთ სიმბოლოდ აქცია მწერალმა მუჰაჯირთა მიერ ახალ სამშობლოდ დასახულ ქვეყანაში თავიანთ სამკვიდრებლიდან წამოლებული ნერგები და მათთან დაკავშირებულ პატრიოტულ ემოციას ერთ-ერთ მათგანს ამ სიტყვებით გამოახატვინებს:

„ქართველი კაცი, სადაც უნდა წა-

სულიყო, სადაც უნდა გადასახლებულიყო, თავისი ხე, ყურძენი, ხეხილი – ყველგან თან მიჰქონდა.

მამის წამოლებულ ნერგებს სულ სხვა ფასი ჰქონდა... ეს მამის საჩუქარი, წინაპრების სახსოვარი იყო.

ნერგები ასწია, ცხვირთან მიიტანა და სამშობლოს მონატრებული სურნელი ღრმად შეისუნთქა“.

ილპან აკინის რომანის უმთავრეს სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მწერალი ქართველ მუჟაჯირთა მიერ თავიანთ ახალ სამშობლოში დამკვიდრების ურთულეს პროცესსაც წარმოაჩენს ფსიქოლოგიური სიმართლით. ავტორისეული მონათხრობის ეს ეპიზოდები არა მარტო იმითა საინტერესო, რომ მწერალი ოსმალეთში გადახვენილი ჩვენი თანამემამულების დამკვიდრების ურთულეს ისტორიას გვიამბობს მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით, არამედ მათი ახალი სამშობლოსადმი ამ ადამიანთა სიყვარულის გამომვლენ ეპიზოდებსაც წარმოაჩენს ხაზგასმულად რომანტიზებული ფორმით.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის ადგილი, სადაც გმირულ-ჰეროიკული ფორმითაა მოთხრობილი შესაბამისი სამხედრო დანაყოფისთვის დილას მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებულ შეიარაღებულ სპეციალისტებისათან დაკავშირებული ამბავი ომიდან გამოქცეულ თურქ დეზერტირთა პანდიტურ ქმედებათა აღსაკვეთად. ამ გმირული ნაბიჯის გადასადგმელად საჭირო უდიდესი სულიერი ძალისა და ფიზიკური გამძლეობის მობილიზება წუთისოფლის სიმუხთლეებთან პერმანენტულად მიმდინარე ბრძოლებში მრავალგზის ხელმოცარულმა და მარტოდმარტო დარჩენილმა დილამ, უპირველეს ყოვლისა, იმით შეძლო, რომ ამ გზით მას, პირველ ყოვლისა, იმ ქვეყნისადმი სურდა თავისი მოქალაქეობრი-

ვი მადლიერების გამოხატვა, რომელიც მისთვის და წინაპართა სამშობლოდან აბარგებული ათასობით მისი თანამემამულისათვის თავიანთი პირვანდელი სამშობლოს ნაცვალ სამკვიდრებლად იყო ქცეული.

უაღრესად სახიფათო ამ ნაბიჯს დილა არა სპონტანურად, არამედ გაცნობიერებულად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დგამს და თავისი მოქალაქეობრივი ვალის წარმატებით მოხდის გამო თვითკმაყოფილებას ამ სიტყვებით გამოხატავს: „მე, რაც საჭირო იყო ჩემი ფიცის ერთგულებისთვის, სწორედ ის გავაკეთე...“

როგორც შემეძლო, გადავიხადე ვალი იმ მიწისა, რომელზე მოყვანილ პურსაც ვჭამთ, წყალსა ვსვამთ და რომლისთვისაც ლოცვას აღვავლენთ...

ესეც არ ვიკმარე, ლომივით ორი ვაჟკაცი ბალკანეთის ფრონტზე გავაგზავნე და სამშობლოს შევწირე... გმირულად დაღუპული ორი ვაჟკაცის დედა ვარ... ხვალ რომ საჭირო შეიქნეს, იმავეს ვიზამ“.

ილპან აკინის რომანიდან დამოწმებული ეს ფრაგმენტი არა მარტო ოსმალეთის იმპერიას შეხიზნულ ქართველ მუჟაჯირთა დიდი ნანილის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების წარმოსაჩენადაა უაღრესად მნიშვნელოვანი, არამედ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ არაქართველთა მოქალაქეობრივი თვითშეგნების შესაფასებლადაც. გულსატკენი ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის, რომ მათი გარკვეული ნანილის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნება რეალობის ამგვარად განმსჯელ-შემფასებლის როლში ნაკლებად გვევლინება და ქვეყანას, სადაც მათი წინაპრები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ, თავიანთი სამშობლოდ ნაკლებად, ანდა საერთოდ არ მიიჩნევენ.

ილპან აკინის რომანის შთამბეჭდაობას არსებითად ზრდის, როგორც

მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა ღრმად ინდივიდუალიზებული მხატვრული სახეები, ისე ორიგინალურად მიგნებული და მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით წარმოსახული სიტუაციები და პიროვნებათა სულიერი ემოციების წარმომჩენი ეპიზოდები. მაგალითად, აი, როგორი ფსიქოლოგიური სიზუსტით მიგნებული დეტალით გამოხატავს მწერალი სამშობლოსა და მახლობელ ადამიანებთან პატარა დილას სამუდამოდ გამოთხოვების ტრაგიულ პროცესს: „გადასახლების მკაცრი პირობების წინაშე დამარცხებულმა დილამ სიცივეს, ავად მქროლავ გამყინვავ ქარს მკერდი შეუშვირა და უკანასკნელად გაიქცა დედისაკენ, სამშობლოსაკენ.“

გემბანის დაუანგულ, გაყინულ რკინის მოაჯირს პატარა თითებით მაგრად ჩაეჭიდა და უკან დარჩენილებს მიაჩერდა და დანისლული თვალებით.

თვითონაც ვერ გაერკვია, ბედისწერას აუჯანყდა, თუ იმათ, ვინც იძულებით ამ გზას გაუყენა; მაგრამ მისი უხმო გოდება და ქვითინი ცაში ვარსკვლავებს ათროთოლებდა“.

ქარიშხლის გამძვინვარების შედეგად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ მუჰაჯირთა ტრაგიული განსაცდელი კი ასეა წარმოსახული: „წყვდიად სიბნელეში არაფერი ჩანდა. კაპიტანი მხოლოდ გრძნობდა, რომ გემი სადაცაა ნაფორებად შეიძლებოდა ქცეულიყო. რაც დრო გადიოდა, გაავებული ტალღების ხმაურისა და სამკვდრო-სასი-

ცოცხლო წივილ-კივილისგან ყურთას-მენა აღარ იყო.

შავი ზღვა ლაგამიდან განთავისუფლებული, გაუხედნავი ცხენივით ჭიხვინებდა, ყველაფრის ფეხქვეშ ამოდებასა და გაქელვას ლამობდა და მგზავრებს შავ დღეში აგდებდა.


ცხადი იყო, შუაგულ ზღვაში ამაღამ ჯოჯოხეთი ტრიალებდა და ძველი, დაუანგული გემის გემბანზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართულიყო...

რაც დრო გადიოდა, ზღვა უფრო და უფრო ცოფდებოდა და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ეს უზარმაზარი გემი გადაეყლაბა და ასობით ადამიანის სასაფლაოდ ქცეულიყო“.

უცხო ქვეყანაში ერთადერთი მახლობელი ადამიანის – ღვიძლი ბიძის დასაფლავების შემდეგ სრულიად მარტო დარჩენილი დილას სასოწარკვეთა ზუსტად მიგნებული ასეთი ფსიქოლოგიური პასაჟითაა გამოხატული: „ბედისწერას დამორჩილებული და მიწაზე, მტკერში მჯდარი ფრთხილად წამოდგა, თავი ჩაქინდრა და ცხოვრების წყვდიადისაკენ გაემართა“.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, საკმაოდ მყარ საფუძველს იძლევა კიდევ ერთხელ იმის ხაზგასასმელად, რომ ილპან აკინის „უხმოქვითინი“ ოსმალეთში ქართველ მუჰაჯირთა გადასახლების ტრაგიული პროცესის მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით ამსახველ რომანად უნდა მივიჩნიოთ.

## შერვუდ ანდერსონი



### ამბავი პაცისა

ვერც მაშინ, მკვლელობის ბრალ-დებით სამსჯავროს წინაშე წარმდგარ-სა და ვერც მერე, იმ უცნარი თავ-მოტვლებილი ჩია კაცუნას ალიარების შემდეგ უდანაშაულოდ შერაცხულს, თვალს ვერ ვაცილებდი დატყვევებული - თითქოს რაღაცის მიხვედრას ცდი-ლობდა უინმორეული.

ჯიუტად ჩაჰკირკიტებდა რაღაც აზრს, შორიდანაც რომ არ ეხმიანებოდა ქალის მკვლელობაში მის დამნაშავედ ცნობას. მისთვის თითქოს სულერთი იყო - მართლმასჯულების ძალით, მკვლელად მიიჩნევდნენ და ჩამოახრჩობდნენ, თუ თავისუფლებას მიანიჭებდნენ. სამართალი როგორლაც მისი ყოფიერების მიღმა დარჩენილიყო და მკვლელობაში თავის თანამონანილეობასაც ისეთნაირად უარყოფდა, ვითომც შემოთავაზებულ სიგარეტზე ამბობდა უარს - გმადლობთ, ამჟამად არ ვეწევი, ერთ ყმაწვილკაცთან დავნაძლევდი, რომ მთელ თვეს უსიგარეტოდ გავძლებდიო.

აი, ყველაფრის თავი და თავი. ასე-თი რამ შეშფოთებას იწვევდა იქ მყოფ-

თა შორის. მართლაც, ბრალეული რომ ყოფილიყო და თავისი ტყავის გადარჩენაზე ეზრუნა, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად ყველას ის გვეგონა მკვლელი, ამაში ღრმად ვიყავით დარწმუნებული. მერე კი სწორედ მისმა ამ უკიდურესმა გულგვრილობამ განგვმსჭვალა მისდამი თანაგრძნობით. ახალი ამბავი რომ გასკდა და იმ დამთხვეულმა ჩია კაცუნამ, სცენის მუშამ, ალიარა, მკვლელი მე ვარო, - დარბაზში ტაშმა იქუხა.

ამის მერე კაცი გაამართლეს, მაგრამ ნირიც არ შესცვლია. თითქოს სადღაც ეგულებოდა ვიღაც კაცი თუ ქალი, მის გულისთქმას რომ ჩასწვდებოდა; პოდა, მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ სულდგმულის პოვნა და მასთან გასაუბრება. სასამართლო პროცესის მსვლელობისას სულ ვცდილობდი, ამ კაცისათვის კარგად შემევლო თვალი და მის დასრულებისთანავე დრო ვისელთე. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ბნელში დაფათურობდა, რათა ძირს დავარდნილი ნემსი თუ ქინძისთავი მოექება. იმ ბერიკაცს ჰგავდა, თა-

ვის სათვალეს რომ ვერ პოულობს, ჯი-ბებს იჩხრეკს და უმწეოდ აქეთ-იქით იყურება.

ყველას და მათ შორის მეც ერთი კითხვა გვიტრიალებდა თავში – ნუთუ შესაძლებელია, კაცს სრულიად არხე-ინად ეჭიროს თავი და ცივსისხლიანი ჩანდეს იმ წუთში, როცა ყველაზე ახ-ლობელი და ძვირფასი ადამიანი უკ-ვდება და, იმავდროულად, სულის რო-მელიღაც კუნჭულში ნაზიც იყოს და ფაქიზიც?! – მაგრამ ასე იყო; ჰოდა, კაცს ზოგჯერ მოუნდება, ვინმეს გა-ანდოს, რა და როგორ მოხდა, ოლონდ მდიდარ ლამაზმან მექვიდრებსა თუ ცივსისხლიან მკვლელებზე შეთხული საგაზეთო აბდაუბდისა და სხვა მსგავ-სი ყურით მოთრეული ამბების მოუშვე-ლიებლად.

არსი იმ ამბისა, მე რომ შევიტყვე, ასეთი იყო:

ამ კაცის გვარი გახლდათ უილსონი – ედგარ უილსონი. ჩიკაგოში სადღაც, დასავლეთიდან, შესაძლოა, მთიანი და-სახლებიდან ჩამოსულიყო. იქ, შორეულ დასავლეთში, ალბათ, ცხვრის ფარას მწყემსავდა ან რაიმე მსგავს საქმიანო-ბას ეწეოდა, რადგან მასავით თავისე-ბური, განდგომილი კაცის იერი მარტო იმათა აქვთ, ვისაც დიდი ხანი გაუტა-რებია მარტოობაში. საკუთარ თავსა და თავის გარდასულ ცხოვრებაზე ისეთ ურთიერთგამომრიცხავ ამბებს ჰყვე-ბოდა, რომ ის, ვინც გარკვეულ ხანს მასთან დაჰყოფდა, თავისდა უნებურად თავს არიდებდა მის ნარსულში ჩალ-რმავებას.

„ეშმაკმა უწყის მაგისი თავი, მაგ კაცისაგან სიმართლეს მაინც ვერ გაი-გებ“, – ბოლოს ხელს ჩაიქნევდა ხოლმე მისი მსმენელი. ცნობილი მის შესახებ მარტო ის იყო, რომ, კანზასის რომე-ლიღაც ქალაქიდან სხვის ცოლთან ერ-თად გამოქცეული, ჩიკაგოში დასახ-ლებულიყო.

ქალს რაც შეეხება, მის შესახებ ცო-

ტაოდენი რამ ვიცოდი. თავის დროზე, ალბათ, ნარმოსადეგი ქალი იქნებოდა – ჯიშიანი, ფერხორციანი და ტანას-ხლეტილი; ეგაა, რომ უილსონთან შეხ-ვედრამდე უსიხარულოდ მიათრევდა წუთისოფლის დღეებს. იმ უსიცოცხლო და უსახური კანზასის ქალაქებში ამ-ქვეყნიური ყოფა რატომღაც და რო-გორლაც ხშირად უგვან და ულიმლამო არსებობად იქცევა ხოლმე. მიზეზი ვინ იცის – ასეა და მორჩა! ეს მართლაც ასეა და ნურავინ დაუჯერებს იმ მწერ-ლებს, ვესტერნულ ყოფას ვარდისფერ ფერებში რომ ხატავენ.

ამ ქალის შესახებ აი, კიდევ რა შე-მიძლია დავძინო: მის ყმაწვილქალობა-ში მამამისს შავი დღე დასდგომოდა. ის ერთი უბრალო მოსამსახურე ყოფილა, რომელიღაც ექსპრეს-კომპანიის ნარ-მომადგენელი მიმოსვლის სფეროში თუ რაღაც ამის მსგავსი. გარკვეული რაო-დენობის თანხის გაქრობასთან დაკავ-შირებით დაუპატიმრებიათ, თუმცა ცი-ხეში, მართლმსაჯულების წინაშე წარ-დგომამდე, ტყვია უხლია თავში და ასე გამოსალმებია სიცოცხლეს. ქალიშვილს დედა უკვე გარდაცვლილი ჰყოლია.

ერთი-ორი წლის შემდეგ ყმაწვილი ქალი გათხოვილა; მისი ქმარი წესიერი, მაგრამ ერთი მუდო კაცი გამომდგარა. სააფთიაქო მაღაზიის გამყიდველად უმსახურია და, მომჭირნეობის წყალო-ბით, სულ მალე საკუთარი სააფთიაქო მაღაზიის მეპატრონეობისათვის გამო-უკრავს ხელი.

ქალი, როგორც უკვე აღვნიშნე, ტა-ნადიც იყო და საღ-საღამათიც, მაგრამ მერე და მერე ხორციც დაეყარა და სი-ფიცხეც შეპპაროდა, თუმცა უნინდებუ-რი შნო-ლაზათი მაინც შერჩენოდა. იყო მასში რაღაც ისეთი, რასაც ძალუმად ელტვოლნენ მამაკაცები. ამ პატარა, უბადრუკ ქალაქში მცხოვრები რამ-დენიმე კაცი ისე გაეხელებინა ვნებას, რომ ქალისათვის წერილების გაგზავ-ნასაც არ მორიდებოდნენ და ღამით

სახლიდან გამოპარვაც არაერთხელ შე-  
ეთავაზებინათ მათთან შესახვედრად.  
ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე...  
წერილები ხელმოუწერელი გახლდათ:  
„პარასკევს საღამოს აქა და აქ მოდით.  
ჩემთან გამოლაპარაკება თუ გინდათ,  
ხელში წიგნი დაიჭირეთ“-ო.

ერთხელაც ქალი შემცდარა და  
ქმრისათვის ერთი წერილის შესახებ  
უამბნია. კაცი განრისხებულა და მო-  
საღამოვებულზე, თოფით ხელში, და-  
ნიშნული პატივის ადგილისაკენ გაუწე-  
ვია. არავინ რომ არ გამოჩენილა, შინ  
მიბრუნებულა და ერთი ამბავი აუტე-  
სია. უხამსად, მდაბიურად უჯაჯლანია  
ცოლთან: „ალბათ, ქუჩაში გვერდით  
რომ ჩაგიარა, როგორლაც სხვანაირად  
შეხედე იმ კაცს. კაცი ვერასოდეს შეპ-  
ბედაცს გათხოვილ ქალს, თუ მან საბა-  
ბი არ მისცა“-ო.

მას მერე კაცი სულ ერთსა და იმა-  
ვე ფირფიტას ატრიალებდა. ცხოვრება  
გაუფერულდა. ქალმა წესად შემოიღო,  
მისთვის ლიმილი შეეგებებინა პასუ-  
ხად. შვილები არ ჰყავდათ და ის რომ  
დადუმდებოდა, სახლშიც მდუმარება  
ისადგურებდა.

მერე ის კაცი გამოჩენილა – ედ-  
გარ უილსონი. ალმოსავლეთისაკენ  
აეღო გზი და გზად ორი-სამი დღით  
იმ ქალაქში დარჩენილიყო. ამჯერად  
ცოტაოდენი ფულიც მოექუჩებინა და  
რკინიგზის სადგურის მახლობლად ერ-  
თი მუშა კაცის პატარა, ავეჯით გაწ-  
ყობილ ბინაზე შეეჩერებინა არჩევანი.  
ერთ დღეს ეს ქალი შეუნიშნავს ქუჩაში  
მიმავალი და სახლამდე დასდევნებია. მეზობლებს შეუნიშნავთ, მთელ საათს  
ქუჩაში გამავალ ჭიშკართან რომ მდგა-  
რან და უსაუბრიათ. მეორე დღეს კაცი  
კვლავ გამოჩენილა.

ამჯერად მათი საუბარი ორიოდ სა-  
ათს გაგრძელდა. მერე ქალი შინ შევი-  
და, რაღაც ნივთები აიღო და კაცთან  
ერთად სადგურისკენ გასწია. ჩიკაგოში  
მიმავალ მატარებელს გაჰყვნენ, იქ და-

სახლდნენ და, როგორც ჩანს, ნეტარე-  
ბა-სიამტკებილობაში ატარებდნენ თავი-  
ანთ დღეებს, ვიდრე ქალის აღსასრუ-  
ლის უამბა არ დაჰკრა. ახლა სწორედ  
ამის შესახებ მინდა გიამბოთ. რა თქმა  
უნდა, შეუღლებით ვერ შეუღლდებოდ-  
ნენ. იმ სამი წლის მანძილზე, რაც მათ  
ჩიკაგოში გაატარეს, კაცს ხელი არ გა-  
უნდრევია ლუკმაპურის საშოვნელად.  
არადა, ისე ცოტა ფული ჰქონდათ, რომ  
ძლივს იმყოფინეს კანზასიდან ჩიკაგომ-  
დე ჩასასვლელად. ჰოდა, უსაშველოდ  
გაუჭირდათ.

იმ ხანებში, სულ პირველად რომ  
მოვკარი ყური მათ ამბავს, ქალაქის  
ჩრდილოეთ დასახლებაში სამ-ოთხსარ-  
თულიან აგურისახლებნამოჭიმულ  
უბანში ცხოვრობდნენ. იმ სახლებში  
ერთ დროს ჩვენი საზოგადოების ე.წ.  
ზედა ფენას მოეყარა თავი, მაგრამ მე-  
რე საქმე უკან-უკან წასულა. დღეს-  
დღეობით ამ უბანს განახლების ნიავ-  
მა დაპერა, მაშინ კი, წლითი-წლობით,  
სულ უფრო და უფრო პარტახდებოდა  
იქაურობა. ავეჯით გაწყობილ ამ ძველ  
ბინებს შორის, რომელთა ფანჯრებზეც  
წარმოუდგენლად ტურტლიანი მაქმა-  
ნიანი ფარდები კონწიალობდა, აქა-იქ  
გამოერეოდა ხოლმე სამარცხვინოზე  
სამარცხვინო მინგრეულ-მონგრეული  
ფიცრული სახლები. სწორედ ერთ-ერთ  
მათგანში ცხოვრობდა უილსონი თავის  
ნანდაურთან ერთად.

ჰო-ჰო-ჰო, რა სანახავი იყო იქაუ-  
რობა! იმ ადგილების მეპატრონე ერ-  
თობ შორსმჭვრეტელი ვინმეა და იცის,  
რომ ჩიკაგოსნაირ დიდ ქალაქებში არც  
ერთი უბანი არ არის სამუდამოდ გან-  
წირული. მისი ყაიდის კაცი ასე მსჯე-  
ლობს: „ჯანდაბას, ავიღებ ამ ადგილს.  
მინას, რომელზეც ეს სახლი დგას, ერთ  
მშვენიერ დღეს დიდი ფასი დაედება,  
თუმცალა თვითონ სახლს ჩალი ფასი  
აქვს. ავდგები და სახლს იაფად გავაქი-  
რავებ; სამაგიროდ, არც მის შეკეთე-  
ბა-გამაგრებაზე ავიტკიებ თავს. იქნებ

იმდენი ავილო, გადასახადები დავფარო, ამასობაში კი ფასებიც აიწევს".

ასე რომ, დგას სახლი წლიდან წლამდე საღებავშემოცლილი, ფანჯრებდაბრეცილი, ლამის მთლად ყავარჩამოშლილსახურავიანი. მეორე სართულისაკენ მიმავალ გარეთა კიბის რიკულს კი ისეთი მოშავო-მორუხო ზინტლის ფერი დასდებია, როგორსაც დაიდებს ხოლმე ხის მასალა ჩიკაგოსა და პიტსბურგის მსგავს ქალაქებში, სადაც საწვავად ნედლ ნახშირს იყენებენ. კიბის რიკულის ოდნავი შეხებაც კი ხელებს გიშავებს. ბინები ზედა სართულზე ცივია და გულმიუსავალი.

წინა მხარეს ერთი დიდი ოთახია ბუხრით, რომელსაც ბლომად აგური ჩამოშლია, უკანა მხარეს კი – ორი პატარა საძინებელი ოთახი.

აი ასეთ ბინაში ცხოვრობდა იმხანად უილსონი, თავის სატრაფოსთან ერთად. ეს ბინა ქირით აეღოთ მაისის თვეში და, ასე მგონია, სულაც არაფრად დაგიდევდნენ იმას, რომ დიდი ოთახი, რომელშიაც იდგნენ, ცივი იყო და ნახევრად ცარიელი. ოთახი ღარიბულად იყო გაწყობილი: მორყეული, ფეხმოტებილი ხის საწოლი, რომელიც დიასახლისს საფუთავი ყუთის თამასით შეეცვალა; სამზარეულოს მაგიდა, რომელსაც უილსონი საწერ მაგიდა იყენებდა და ორი-სამი იაფთასიანი ტაბურეტი.

ქალმა სამსახური იშოვა – რენდოლ-ფის ქუჩაზე, თეატრში, მეგარდერობედ დაიწყო მუშაობა და ორივეს მისი შემოსავლით გაპქონდა თავი. ამბობდნენ, ეს ადგილი ვიღაც მსახიობმა თუ თეატრის მოყვარულმა გამოუქეპნა ქალს, რომლისთვისაც თვალი დაუდგმსო, თუმცა საკმარისია, ქალმა თეატრში დაიწყოს მუშაობა, მამინათვე კუდს გამოაბამენ ამ ამბავს, ვინც უნდა იყოს – სახელგანთქმული მახიობი თუ უბრალო დამლაგებელი.

ასე იყო თუ ისე, სამსახურში იც-

ნობდნენ, როგორც თავდაჭერილ ადამიანსა და გამრჯე თანამშრომელს.

უილსონი ლექსებს წერდა. მათი მსგავსი არასოდეს არაფერი წამეტითხა, თუმცა ისევე, როგორც ყველა უურნალისტი, თავის დროზე მეც ხარკს ვუხდიდი პოეზიას და თავადაც ვწერდი, როგორც გარითმულ, ისე ჩვენს დროში მოდურ თეთრ ლექსებს, მაგრამ მე უფრო კლასიკური თემები მიზიდავდა.

უილსონის ლექსები კი ჩემთვის ჩინურივით იყო, თუმცა, საქმის არსს პოლომდე თუ ჩავწედებით, მთლად მაგნაირადაც ვერ ვიტყოდი.

მისი ლექსების შეკვრა რომ ჩამივარდა ხელში, ჩემს ოთახში განმარტოებით დავიწყე კითხვა. ერთხანს დაბანგულივით ვიყავი. მათში ლაპარაკი იყო რაღაც კედლებზე, ღრმა ჭაბურლილებზე, დიდრონ ქოთნებზე, რომლებშიაც ნორჩი ხეები ჩაერგოთ, დლენიადაგ ქოთნის კიდეების გადმოლახვას რომ ლამობდნენ და მაღლა მიიწევდნენ, ჰაერსა და სინათლეს ელტვოდნენ.

რაღაც ახილებულობის კვალი დაჰკრავდა მის ლექსებს, გიუის ნაბოდვარს ჰგავდა ყოველი მისი სტრიქონი, მაგრამ თავისებური ხიბლიც არ აკლდა. ისინი რაღაც ახალი სამყაროსაკენ გიბიძგებდნენ, სადაც ყველაფერი სულ სხვაგვარ ღირებულებას იძნდა და, ასე მგონია, პოეზიაც სწორედ ეს არის. არსებობს ხულული სამყარო, რომელსაც ყველანი ვიცნობთ ან გვგონია, რომ ვიცნობთ – სამყარო მიწური სახლებისა და ცენტრალურ-დასავლეთ შტატების ფერმებისა, რომლებშიაც მავთულხლართებით შემოუღობავთ ყანები და აღმადაღმა დაჯლიგინებენ ფორდის ფირმის ტრაქტორები; სამყარო ქალაქებისა თავიანთი უმაღლესი სასწავლებლებით, ყოველ კუთხეში გაკრული სარეკლამო განცხადებებითა და ყველაფრით, რისგანაც შედგება ჩვენი ცხოვრება ან ჩვენ გვგონია, რომ შედგება.

არის სამყარო, რომელშიაც დავაბი-

ჯებთ და არის კიდევ ის სხვა სამყარო, რომელიც მე უილსონისად წარმომისახავს – პირადად ჩემთვის, ბურუსით მოსილი სამყარო, სადაც ყველაფერი შორეული გეჩვენება და ყოველი საგანი ახლებურად, უჩვეულოდ გესახება, კაცის სიღრმისეული არსი საჩინო ხდება, თვალი რაღაც ახალს ხდავს, თითო კი ახალსა და უცნაურ რასმე შეიგრძნობს.

არსებითად, ეს იყო კედლების სამეფო. ბედმა გამიღიმა და უილსონის ყველა ლექსი ხელში ჩამივარდა. მოვლენები ისე წარიმართა, რომ მე გამოვდექი პირველი კორესპონდენტი, რომელიც იქ გაჩნდა იმ დამით, როდესაც ქალის ცხედარი აღმოაჩინეს. იქვე იყო კაცის მთელი ნაცოდვილარი, გულდასმით რომ ჩაეწიკწიკებინა ბავშვის საწერ რევულში. ორი თუ სამი გამოთაყვანებული პოლიციელიც იქ აყუდებულიყო. მათი ერთი განზე გახედვა და დრო ვისელთე – ლექსების რვეული უმაღ ჩემი პალტოს კალთის ქვეშ გავაქანე. მოგვიანებით, მისი საქმე რომ ირჩეოდა, ამ ლექსთაგან რამდენიმე, ყველაზე მეტად საგულისხმო, ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნეთ. არცთუ ცუდი საგაზეთო მასალა გამოგვივიდა – „პოეტი, თავისი მიჯნურის მკვლელი“.

„ძოწისფერს ალარ იცვამდა იგი,  
ლალისფერია ღვინო და სისხლი...“

და სხვა ამისთანანი ჩიკაგოელების გულს ეფონებოდა.

ნამით კვლავ მის პოეზიას დავუბრუნდეთ. მხოლოდ ამას ვიტყვი: მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია იმ აზრით, რომ კაცთა მოდგმამ ოთხ კედელს შორის გამოიმზყვდია საკუთარი თავი და რომ, ალბათ, ყოველი კაცი იმისთვისაა განწირული, მთელი თავისი დღე და მოსწრება ამ კედლებს მიღმა გაატაროს, დღენიადაგ მუშტი ან სხვა რამ იარაღი იქნიოს და ამ კედლებსა სცეს, რათა (უთუოდ ხვდებით

ყრუ კედელი გაარღვიოს და გაინავარდოს. ძნელი იყო იმის გაგება, ერთ დიდ კედლებზე იყო საუბარი, თუ ყოველი კაცის გარშემო აღმართულ ცალკეულ ზღუდეებზე. უილსონი ხან ასე წერდა, ხან – ისე. ადამიანებს თვითონ აღემართათ ეს კედლები და ახლა, მათ შორის გამომწყვდეული, ბუნდოვნადლა ხვდებოდნენ, რომ იქ, ამ კედლებს მიღმა, დარჩენილიყო სითბო, სინათლე, ჰაერი, მშვენიერება, ნამდვილი ცხოვრება; და ამ დროს იქვე, მათივე უგუნურების წყალობით, ეს კედლები სულ უფრო და უფრო მყარდებოდა და მაღლა მიიღოვნდა.

თქვენი არ ვიცი და მე, ცოტა არ იყოს, ურუანტელს მგვრიდა მსგავსი აზრები.

ამას მოჰყვებოდა ფიქრები უძირო ჭაბურლილებზე: ადამიანები ყველგან და ყოველ წუთს სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდნენ უძირო ჭებში. იცით, არც თავად მათ ჰქონდათ ამის სურვილი და არც სხვა ვინმე მოითხოვდა მათგან რაიმეს ამის მსგავსს, მაგრამ დღენიადაგ ასე ხდებოდა – ჭა უსასრულოდ ღრმავდებოდა, შორიდან მომავალი ხმები კი სულ უფრო და უფრო იხშობოდა, ხოლო ამქვეყნიური სითბო და შუქი კვლავ სადღაც შორეთისაკენ მიიღოვნდა. მგონი, ეს ასე იყო იმიტომ, რომ ადამიანები, რაღაც ბრმა ახირების გამო, სულ არ ცდილობდნენ, გულისხმიერებით მოჰყიდებოდნენ ერთიმეორეს.

უილსონის პოეზიას რომ გავეცანი, ძალზე უჩვეულო მეჩვენა. აი, მისი ერთ-ერთი ქმნილება. მასში, როგორც ნახავთ, არც კედლებია ნახსენები, არც უძირო ჭა და არც ქოთანი, მაგრამ ის ერთი იმათგანია, გაზეთში რომ გამოვაქვეყნეთ მისი საქმის გარჩევისას და დიდი მოწონებაც ხვდა წილად; უნდა ვაღიარო, მეც მომენტია. იქნებ მისმა აქ ხსენებამ როგორლაც ჩემი ნაამბობის არსშიც ჩაგახედოთ, რაღგან, ალბათ,

წარმოდგენა შეგექმნებათ იმ უცნაურ პიროვნებაზე, ამ მოთხრობის გმირი რომ გამხდარა. „ნომერი ოთხმოცდაჩვიდმეტი“, – ასე იყო იგი დასათაურებული. აი ისიც:

„სიგარეტის სიფრიფანა ქალალდს  
მჭიდროდ შემოტმასნია  
ჩემი თითები,  
რაც იმას მეტყველებს,  
რომ ამჟამად ჩემს სულს  
სრული სიმშვიდე მოჰყენია.  
მაგრამ განა მუდამ ასეა!  
როს ჩემი სული ბორგავს,  
საკუთარი  
უსუსურობა მჯაბნის,  
ხოლო როცა, როგორც ამწუთას,  
შვებას ვიგრძნობ,  
უძლეველი ვარ!

ეს-ეს არის, ჩემი ქალაქის  
ერთ-ერთ ქუჩას მივუყვებოდი,  
მერე კართან შევდექი,  
გამოვალე, მაღლა ამოვედი  
და აი აქ ამოვყავი თავი;  
ახლა სარეცელზე ვარ გაშოტილი  
და ფანჯრიდან გარე სამყაროს  
გავცერი.  
უეცრად მთელი სისავსით  
გავაცნობიერე, რომ შემეძლო  
ისევე ლალად და იოლად  
ჩავბლაუჭებოდი მაღლივ შენობათა  
კედლებს, როგორც ახლა ამ  
სიგარეტს სრესენ ჩემი თითები.  
შემეძლო მთელი შენობა  
თითებშუა მომექცია,  
ტუჩებთან მიმეტანა და  
კვამლის ბოლქვები  
შემებოლებინა მისთვის.  
შემეძლო ჩემი გულის ჯავრი  
ქარისათვის გამეტანებინა და  
ათასობით კაცისათვის  
სული შთამებერა,  
რათა მათ მაღლივი შენობის  
სახურავი გაერლვიათ და ცას,  
იდუმალებას შერთვოდნენ.

როგორც სიგარეტებს ვაქრობდი  
ამ კოლოფიდან,  
ისე შემეძლო ერთიმეორის  
მიყოლებით უამრავი შენობა  
მიმეცა ცეცხლისათვის,  
ხოლო ალში გახვეულ ქალაქთა  
ნამთები მხარილლივ  
მომესროლა ფანჯრიდან.

არც ისე ხშირად ვახერხებ  
ამნაირი მდგომარეობის მიღწევას –  
სრული სიმშვიდე მოჰყენია  
ჩემს სულს და საკუთარი  
ძალებისადმი რწმენით აღვსილვარ.  
როცა ამგვარი გრძნობა მეუფლება,  
მიამიტი და ალალმართალი ვხდები  
და ამის გამო საკუთარ თავს  
შევნატრი. ასეთ წუთებში  
ჩემს თავს ძალზე  
მგრძნობიარე და ალერსიან  
სიტყვებს ვეუბნები.  
ვწევარ ტახტზე ფანჯარასთან  
და ვფიქრობ, რა იქნებოდა,  
ქალს ვისმე  
– ან თუნდაც მამაკაცს –  
ჩემთან სარეცელი გაეზიარებინა.  
რა იქნებოდა, ქუჩაში სახლების  
გროვას დავწვდომოდი,  
თავდაყირა დამეყენებინა,  
გადმომეყარა იქიდან ადამიანები,  
მერე ერთ არსებად შემეკრა,  
შემედულაბებინა და  
შემეყვარებინა!

ამ ხელს ხომ ხედავ?! რა იქნებოდა,  
დანა რომ სჭეროდა,  
რომელიც შენს არსებაში  
ჩაბუდებულ მთელ სიყალბეს  
ამოძირებულივდა?!  
რა იქნებოდა, ამ დანით  
იმ შენობებისა თუ სახლების  
კედლები გამერლვია,  
რომლებშიაც ახლა ათასობით  
კაცი ძილს მისცემია?!

განა არა ღირს იმაზე ფიქრი,

თუ რა მოხდებოდა,  
ამ ხელის თითებს დანა რომ  
ჩაებლუჯა და ამ დანით გაეკვეთა,  
ძირისძირობამდე გაერღვია ის  
შემზარავი გარსი, რომლის მიღმაც  
მიღლიონობით ცოცხალი არსება  
შეყუულა და გამომწყვდეულა?!“

დიახ, როგორც ხედავთ, აქ ის აზრი  
იკვეთება, რომ არსებობს რაღაც ძალა,  
რომელიც, სათუთიც შეიძლება იყოს.  
ახლა ერთ თხზულებასაც გაგაცნობთ,  
კიდევ უფრო მეტი სინაზით რომ არის  
გამსჭვალული. კრებულში იგი ასეა და-  
სათაურებული – „ნომერი ოთხმოცდა-  
სამი“:

„მე ხე ვარ, კედელთან რომ  
იზრდება. უფრო და უფრო  
მაღლა მივიღტვი.  
ჩემი სხეული დასერილია.  
ბებერია ჩემი სხეული,  
მაგრამ მაინც მაღლა მივიწევ  
და ვლამობ, კედლის თავს  
გადავევლო.  
მსურს, რომ კვირტები ჩემი  
და ნაყოფი ჩემი კედლის  
გადაღმა მოვიტყორცნ.  
რა იქნებოდა, გამშრალი  
ბაგები დამენახა?!  
რა მოხდებოდა, ჩემი  
კვირტები კედლის  
გადაღმა მომესროლა  
და ბავშვებისათვის თავზე  
დამეყარა?!  
რა იქნებოდა, ჩემი კვირტები,  
მაღლიდან რომ ცვივა,  
იმათ სხეულებს მოლამუნებოდნენ,  
ვინც კედლის გადაღმა ცხოვრობს?!  
ჩემი ტოტები მაღლა მიღლტვიან  
და დედამინის ბენელი წიაღი,  
კედლის ქვეშ რომ მოქცეულა,  
ახლებური სინოტივით მავსებს.  
ჩემს ნაყოფს ვერა ვცნობ  
ჩემად, ვიდრე, ჩემი მკლავებიდან  
ჩამოპერტყოლი,

კედელს არ გადაევლება და  
სხვების მკლავებში არ მოექცევა“.

ახლა კი ამ წყვილის ცხოვრებას მი-  
ვუბრუნდეთ – ძველი ხის სახლის ზედა  
სართულზე, უშველებელ ოთახში. რა-  
ღაც იღბლად, ისეთ რამეს მივაკვლიე,  
რომლის წყალობითაც მცირე რამ შე-  
ვიტყვე მათ შესახებ.

მას შემდეგ, რაც სულ ახლახან –  
გასულ გაზაფხულს – ამ სახლში დაი-  
დეს ბინა, თეატრი, რომელშიაც ქალი  
მსახურობდა, კარგა ხნით დაიხურა და  
მათ ჩვეულებრივზე მეტად გაუჭირ-  
დათ; ამიტომ ქალმა გადაწყვიტა, და-  
მატებით ცოტაოდენი ფული ეშვება და  
უკანა ორი პატარა ოთახი ქვეიჯარით  
გაექირავებინა, სავარაუდოდ, ბინის ქი-  
რის გადასახდელად.

ხან ვინ ცხოვრობდა ამ ციცქანა,  
ბნელ სოროებში და ხან – ვინ; ოლონდ  
ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება,  
რანაირად ახერხებდა ხალხი ამ შიშველ  
კედლებში ცხოვრებას, თუმცა ჩიკაგო-  
ში არის ასეთი ადგილები, „ლამის გა-  
სათევს“ რომ უწოდებენ, სადაც ხუთ-  
ათ ცენტად შეიძლება იატაკზე ლამის  
გათენება და სადაც იმაზე მეტი ხალხი  
აფარებს თავს, ვიდრე ეს საპატიო სა-  
ზოგადოებაში წარმოუდგენიათ.

ერთ ჩია ტანის ქალს მივაკვლიე,  
რომელიც ოდესლაც რამდენიმე კვირის  
განმავლობაში მდგმურად იდგა მათ  
ერთ-ერთ ოთახში. მას არც მთლად  
ახალგაზრდა ეთემოდა, მაგრამ კუზი-  
ანსა და მომცრო ტანის პატრონს პა-  
ტარა გოგოს იერი დაჰკერავდა. ის იქ-  
ვე, ახლოს, სამრეცხაოში მუშაობდა და  
სარეცხს აუთობდა. ვილაცას მისთვის  
იაფფასიანი დასაკეცი საწოლი მიეცა  
სამადლოდ. საოცრად მგრძნობიარე  
არსება გახლდათ ბედისაგან დაჩაგრუ-  
ლი ადამიანისათვის ჩვეული ტკივილ-  
ჩამდგარი თვალებით და, ასე მგონია,  
ოცნებებში თავს ევლებოდა ამ კაცს,  
გვარად უილსონს. ასეა თუ ისე, მისგან

ბევრი რამ შევიტყვე.

ქალის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სცენის მუშამ თავი დამნაშავედ ცნო და სასამართლომ უილსონი გაამართლა, ხშირად შევივლიდი ხოლმე იმ სახლში, სადაც ის ერთ დროს ცხოვრობდა. ზოგჯერ ამას ნაშუადლევს ვახერხებდი, როდესაც ჩვენი გაზეთი მეორე დღისათვის დასაბეჭდად იგზავნებოდა. ჩვენი გაზეთი ხომ საღამოთი გამოდის და ორი საათის მერე მეტწილად თავისუფლებით ვტკბებით.

ერთ დღეს სახლის წინ ის კუზიანი გოგო დავინახე და გამოველაპარაკე. ნამდვილი ოქროს საბადო იყო!

თვალებში, როგორც უკვე გითხარით, ტკივილი ჩასდგომოდა და მერძნობიარე ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. უბრალოდ გამოველაპარაკე და მაშინათვე უილსონზე ჩამოვაგდეთ სიტყვა. მას ერთ-ერთ უკანა ოთახში დაედო ბინა, რაც მაშინათვე მამცნო.

ზოგჯერ შრომის უნარი ღალატობდა და სამრეცხაოში მუშაობას დროებით წყვეტდა, რადგან ჯან-ლონე აღარ მოსდევდა; ასეთ დღეებში შინ რჩებოდა და დასაკეც საწოლზე წამოგორდებოდა ხოლმე. თავი უსკდებოდა ტკივილისაგან, საათობით რომ უგრძელდებოდა და თითქმის ვერ ალიქვამდა, მის გარშემო რა ხდებოდა. მერე და მერე ალქმის უნარი უბრუნდებოდა, მაგრამ კარგა ხანს საშინელ სისუსტეს გრძნობდა. ალბათ, მაინცდამაინც ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერა და ეჭვი მაქს, ეს ამბავი დიდად არც ადარდებდა.

ასეა თუ ისე, ავადმყოფობის შემოტევის შემდეგ, მიკნავებული, ოთახიდან არ გამოდიოდა და წინა ოთახში დაბინავებული წყვილის ცხოვრების ნირის შეცნობის წაფილი იპყრიბდა. ასე რომ, საწოლიდან წამოდგებოდა ხოლმე, წინდებიანი ფეხებით ჩუმად მიიპარებოდა იმ კართან, ოთახებს ერთმანეთთან რომ აკავშირებდა და კარის ჭუჭრუტა-

ნაში იჭვრიტებოდა. ამის გამო იძულებული იყო, მტკრიან იატაკზე ჩაეჩიქა.

ცხოვრებას, იმ ოთახში რომ მიედინებოდა, იმთავითვე მოეჯადოებინა. ზოგჯერ მამაკაცი მარტო რჩებოდა, სამზარეულოს მაგიდას მიუჯდებოდა და რაღაცას წერდა, რაც შემდეგ იმ წიგნაკში შეჰქონდა, რომელსაც ბოლოს მე დავეპატრონე და რომლიდანაც დროდადრო ციტატებს ვიშველიებდი. ქალი ზოგჯერ მასთან ერთად იყო, ზოგჯერ კი კვლავ მარტო რჩებოდა, მაგრამ არაფერს წერდა. ასეთ დროს სულ დადიოდა და წინ და უკან ბოლთასა სცემდა.

როდესაც ორივენი ოთახში იყვნენ და მამაკაცი წერდა, ქალი თითქმის არ ინძრეოდა; ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე დაჯდებოდა ხოლმე და გულზე ხელს დაიკრეფდა. კაცი რამდენიმე სტრიქონს დაწერდა და ბოლთის ცემას მოჰყვებოდა, თან თავისთვის ლაპარაკობდა ან ქალს ებაასებოდა. ასეთ დროს ქალი ხმას არ სცემდა და, ხებარ გოგონას თუ დავესესხებით, პასუხს მხოლოდ მის თვალებში ამოიკითხავდით. რა დასკვნა გამომქონდა მასთან საუბრიდან და რა არის ნაყოფი ჩემივე წარმოსახვისა, ვალიარებ, წესიერად თვითონაც არ ვიცი.

ასეა თუ ისე, რასაც ჩავწვდი და ჩემებურად თქვენთვის გაზიარებას ვცდილობ, ამ ორი ადამიანის ურთიერთობასთან დაკავშირებული თავისებური უცნაურობის განცდაა. ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი ოჯახი, რომელსაც ბედმა არა და არ გაულიმა. სავარაუდოდ, კაცი ცდილობდა, თავის პოეზიასთან დაკავშირებული ძალზე რთული სამუშაო შეესრულებინა, ქალს კი სურდა, თავისებურად დახმარებოდა.

რაღა თქმა უნდა, უილსონის ზემოხსენებული ლექსის წყალობით, უეჭველად ჩასწვდით მის კავშირს არა მაინცდამაინც ამ კერძო კაცისა და ქალის, არამედ ზოგადად ადამიანურ ურ-

თიერთობებთან.

ამ ყმაწვილს, გარკვეულწილად, ნახევრად მისტიკური აღქმა ჰქონდა ცხოვრებისა, ჰოდა, სანამ თავის გულის სწორს იპოვიდა, უაზროდ დაეხეტებოდა დედამიწაზე და ცხოვრების მეგზურს ეძებდა. მერე კანზასის შტატის ქალაქში ეს ქალი იპოვა და ყველაფერი თავის ადგილს დადგა – ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ჩათვალა.

დიახ, დარწმუნებული იყო, რომ მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა მარტოხელა ადამიანი, რომელიც ან იაზროვნებდა, ან რამეს იგრძნობდა და რომ ამნაირი მცდელობებით ადამიანი თავის თავს ჩიხში მოიქცევდა და სამყაროს მიუვალი კედლის, ან რაღაც მსგავსის წყალობით განერიდებოდა. დაინტებოდა ცილობა. ყველაფერი აირ-დაირეოდა. საჭიროა, ვიღაცამ გეზი მოგცეს, რომელსაც ყველა ხმა მოერგება და საბოლოოდ ცხოვრების ჭეშმარიტი საგალობელი ყალიბში მოექცევა. გათვალისწინეთ, რომ მე ჩემს აზრებს არ გამოვხატავ. ვცდილობ, წარმოდგენა შეგიქმნათ იმაზე, თუ რა შემორჩია ჩემს მეხსიერებას უილსონის ნაწერების კითხვის, მასთან ხანმოკლე ნაცნობობისა და იმ შთაბეჭდილების შესახებ, ეს თავისებური კაცი რომ ტოვებდა ირგვლივ მყოფებზე.

ის მთელი არსებით გრძნობდა, რომ ამქვეყნად არც ერთ მარტოსულს არ შეეძლო რამე ეგრძნო ან რამეზე ეფიქრა. იმასაც ამტკიცებდა, რომ მას, ვინც მარტო ინტელექტით ცხოვრობდა და სხეულის მოთხოვნებს არად აგდებდა, ტვინი აერეოდა. გააზრებული ცხოვრება პირამიდასავით წამოიმართებოდა. ეს დაახლოებით ასე ჩანს: პირველ რიგში, გულის სწორის სხეული და გონება უნდა შეენივთოს მავანისა და მავანის გრძნობა-გონებას და მერე, როგორ-დაც იდუმალი გზით, ამქვეყნად ყველა სხვა ხალხის გრძნობა-გონება უნდა გამთლიანდეს და ძლიერი ქარივით ან

რაღაც მსგავსივით შემოიქრას.

უილსონზე ჩემი ნაამბობის მკითხველს ეს ამბავი, ალბათ, აბდაუბდად მოგეჩენება, თუმცა ეგებ არც ეგრეა საქმე. ეგებ შენ უფრო ნათელი გონება აღმოგაჩნდეს და იმას, რაც მე ასე ჩახლართული მგონია, სულ ადვილად ჩასწვდე.

ასეა თუ ისე, უნდა გამცნო, რაც შევიტყვე, როდესაც მიზეზ-საბაბთა და მისწრაფებათა იმ მორევში გადავეშვი, რომელსაც, უნდა ვაღიარო, სათანა-დოდ ვერც კი ჩავწვდი.

მართლა ასე ფიქრობდა კუზიანი გოგონა (ან ეგებ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია მისი ნათქვამის შელამაზება!)?. რა მნიშვნელობა აქვს!.. მთავარი ისაა, თავად ის კაცი – ედგარ უილსონი რას გრძნობდა.

ჩემი აზრით, გრძნობდა, რომ პოეზიის სფეროში თავისი სიტყვა უნდა ეთქვა, რასაც ვერ შეძლებდა, სანამ იმ ქალს არ იპოვიდა, რომელიც სრულად და განსაკუთრებული ძალისხმევით შეძლებდა, თავი ხორციელი სამყარო-სათვის მიეძლვნა; და რომ ეს იქნებოდა კავშირი, რომლის წყალობითაც ყველანი სილამაზეს ეზიარებოდნენ. უნდა მოეძებნა ქალი, რომელსაც ეს უნარი ექნებოდა მომადლებული და რომლის ძალმოსილებაც ანგარებით არ იქნებოდა შეძლალული. ისე, კაცმა რომ თქვას, დიდი თავკერძა ვინმე კი იყო!.. კანზასელი აფთიაქარის ცოლს მიადგა და დაასკვნა, სწორედ იმას მივაკვლიე, ვინც მჭირდებოდაო.

მიაკვლია და მოაჯადოვა. ვერ ვხვდები, რით. ოღონდ ეგაა, ქალი მასთან სრული, შეუზღუდავი ბედნიერებით ტკბებოდა, რასაც როგორლაც უცნაურად და უთქმელად გამოხატავდა.

როდესაც ვცდილობ, ამ კაცზე თუ სხვებზე ზემოქმედების მისეულ უნარზე ვისაუბრო, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ხალხით გადაჭედილ ქუჩაზე აღმართულ ორ მაღლივ შენო-

ბას შორის გაჭიმულ ბაგირზე სიარულს შევჭიდებივარ. ერთი შეძახილი ქვემო-დან, სიცილისა თუ ავტომობილის საყ-ვირის ხმა და უცებ უკვალოდ ქრები. უბრალოდ სასაცილოა!

როგორც ჩანს, სურდა, თავისი თა-ვიცა და საყვარელი ქალიც თავის ლექ-სებთან შეედუღაბებინა. გაიხსენეთ, ერთ თავის ლექსში, რომელსაც ვიმოწ-მებ, ამბობს, რომ სურს, ქალაქის ყვე-ლა მცხოვრები ერთ პიროვნებად შეკ-რას და მუჭში მოიქციოს და რომ ის ყველამ უნდა შეიყვაროს.

შესაძლოა მავანმა და მავანმა ძლე-ვამოსილ პიროვნებად, ლამის საზა-რელი ძალმოსილების განსახიერებად მიიჩნიოს. ამ მოთხოვნის წაკითხვისას მიხვდებით, მეც როგორ მომახვია თავს საკუთარი ნება და ჯერაც როგორ მი-ყენებს თავისი მიზნის ასასრულებლად.

ის ქალი ხელში ჩაიგდო და დაეპატ-რონა. სურდა სრულად დაუფლებოდა და დაეუფლა კიდეც. ეს, ალბათ, ყვე-ლა კაცს უნდა, მაგრამ ვერ ბედავს. ალბათ, ქალსაც თავისებურად აშლო-და საღერღელი და მამაკაციც უხვად აჯილდოებდა ჭეშმარიტი სიყვარულით დღითა თუ ღამით, ერთად ყოფილისას თუ განშორებისას.

უნდა ვალიარო, რომ მთელი ეს ამ-ბავი ტვინს მირევს. ვცდილობ, გამოვხა-ტო ის, რასაც ვგრძნობდი და ვგრძნობ არა ჩემი სულის სილრმეში ან ის, რაც იმ კუზიანი გოგოს ბაგეებს დაცდენილ-მა სიტყვებმა მაგრძნობინა, რომელიც, გეხსომებათ, იატაკზე ფეხმორთხმული და ჭუჭრუტანაში მაცქერალი დავტოვე უკანა ოთახში.

კუზიანი გოგო თვალს ადევნებდა იმას, რაც მეზობელ ოთახში ხდებო-და და წყვილის მთელი ცხოვრება მის თვალწინ იშლებოდა. ეს გოგოც ამ კა-ცის, უილსონის, ზეგავლენის ქვეშ მოქ-ცეულიყო. მას ის შეუყვარდა, ამას წყა-ლი არ გაუვიდოდა. ოთახი, რომელშიაც მუხლი მოეყარა, ბნელი იყო და მტვრი-

ანი. იატაკს, ალბათ, მტვრის სქელი ფე-ნა დასდებოდა.

მან მამბო – ეს ნაამბობი სიტყვე-ბითაც რომ არ ყოფილიყო გადმოცემუ-ლი – თუ მაგრძნობინა, რომ უილსონი ან თავის ოთახში იჯდა და მუშაობდა, ან წინ და უკან დაიარებოდა თავისი გულის სწორის თვალწინ; ის კი სკამზე ჩამომჯდარიყო და სახესა თუ თვალებ-ში რაღაც საოცარი გამომეტყველება აღბეჭდოდა!..

კაცი დღენიადაგ ესიყვარულებო-და. ვრცელდებოდა თუ არა ეს განყე-ნებული ალერსი ირგვლივ მყოფებზე? შესაძლოა, ასეც იყო, რადგან, რამ-დენადაც მისი რჩეული ხორციელების განსხეულებად გვევლინებოდა, იმდე-ნად თავად იგი სრულიად განსხვავე-ბულ სულისკვეთებას ასხივებდა. თუ თქვენთვის ამას არანაირი მნიშვნელო-ბა არა აქვს, იმ კუზიანი გოგოსთვის, რომელიც სრულიად გაუნათლებელი გახლდათ და ვერასდროს დაიჩემებ-და, რაღაცის გაგების განსაკუთრებუ-ლი ნიჭი მაქვსო, ეს ასე არ იყო. იდგა მტვერში მუხლმოყრილი და ჭუჭრუტა-ნიდან ყურს უგდებდა და თვალს ადევ-ნებდა მათ თანაცხოვრებას. ბოლოს კი იგრძნო, რომ ადამიანი, რომელსაც არასდროს არსად გადაჰყროდა და რო-მელთანაც არანაირი შეხება არ ჰქონო-და, მასაც ანებივრებდა თავისი სიყვა-რულით.

ეს გააცნობიერა თუ არა, მთელი მისი არსება სიხარულით განიმსჭვალა. აშკარად მთელი არსებით ნეტარებაში გადაეშვა. თვითონ სულ არ შეცვლილა, მაგრამ მიხვდა, რომ ცხოვრება ამად ღირდა.

იმ ოთახში პატარ-პატარა ამბე-ბი ხდებოდა ხოლმე და ამის მოყოლა ღირს!

მაგალითად, ივნისის ერთ მოუა-მულ, წვიმიან დღეს კუზიან გოგოს თა-ვის ოთახში იატაკზე მუხლი მოეყარა, უილსონი და მისი სატრფო კი თავიანთ

ოთახში განმარტოებულიყვნენ.

ქალი სარეცხს რეცხავდა და რაკი იმ დღეს გარეთ ვერ გააშრობდა, კედლიდან კედლამდე თოკი გაჭიმა და ტანისამოსი ოთახში გაფინა.

სარეცხის გაფენა რომ დასრულა, უილსონი, რომელიც, წვიმის მიუხედავად, სასეირნოდ გასულიყო, შინ დაბრუნდა, მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა.

რამდენიმე წუთი წერაში გაატარა, მერე ადგა და ოთახში სიარულს მოჰყვა; სიარულისას სახეზე სველი სამოსელი მოედო.

ბოლთას სცემდა და კვლავ თავის გულისსწორს ებაასებოდა, მაგრამ ნელნელა მთელ ტანისამოსს წამოავლო ხელი, ზედა გარეთა კიბის ბაქანზე გავიდა და ტალახიან ეზოში მოისროლა. სანამ კაცი ამას სჩადიოდა, ქალი გაუნძრევლად იჯდა და ხმას არ იღებდა. კაცი კვლავ საწერ მაგიდას მიუჯდა. ქალი ქვედა სართულზე ჩავიდა, ტანისამოსი აკრიფა და კიდევ ერთხელ გარეცხა და მხოლოდ ამის შემდეგ, ქალი ოთახში ტანისამოსის გაფენას რომ შეუდგა, მამაკაცმა გაიაზრა, რა ჩაიდინა.

სარეცხის განმეორებით რეცხვისას კაცი კიდევ ერთხელ გავიდა სასეირნოდ და კუზიანმა გოგომ, კიბეზე ნაპიჯების ხმა რომ მოესმა, კარის ჭუჭრუტანასთან მიირბინა. ჩაიჩოქა და დაინახა, რომ მამაკაცი ითახში შებრუნდა. გოგომ კარგად დაინახა მისი სახე. „წუთით შეცდუნებულ ბავშვს დაემსგავავსა, მერე კი, ხმა არ გაუღია, მაგრამ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა“—ო, — თქვა მან. ასე იყო. ქალი, რომელიც ისევ სარეცხს ფენდა, შემოტრიალდა და იქ მდგარი კაცი დაინახა. მკლავზე მთელი შეკვრა სარეცხი ჰქონდა გადაკიდებული, მაგრამ ყველაფერი იატაკზე დაუცვივდა და კაცისაკენ გაიქცა.

— ნახევრად ჩაიჩოქა, — თქვა კუზიანმა გოგომ. — სხეულზე მკლავები შემოაჭდო, თვალებში ჩახედა და შეევედ-

რა: „არა, არა! ნუ წუხარ! დამიჯერე, ყველაფერი მესმის. გთხოვ, ნუ წუხარ“—ო! სულ ეს იყო.

ახლა კი გიამბობთ, როგორ გამოესალმა ქალი წუთისოფელს. ეს იმ წლის შემოდგომაზე მოხდა.

იქ, სადაც ეს ქალი დროდადრო მუშაობდა, ანუ თეატრში, ერთი კაცი, ჩიატანის, ნახევრად შლეგი სცენის მუშა მსახურობდა. სწორედ ამ კაცმა დაახალა ტყვია.

კაცს ის შეუყვარდა და, ქალის მშობლიურ ქალაქ კანზასის ბინადარი მამაკაცებისა არ იყოს, რამდენიმე ბრიყვული ბარათი მისწერა, რომელთა შესახებაც ქალს უილსონისათვის არაფერი უთქვამს. ეს წერილები დიდი კრძალულობით არ გამოირჩეოდა და ყველაზე უსიამოვნონი მათ შორის, რაღაც უგნური ახირების გამო, უილსონის გვარ-სახელით გახლდათ ხელმოწერილი. ორი მათგანი, მოგვიანებით, გარდაცვლილ ქალს აღმოუჩინეს და სასამართლო პროცესზე უილსონის წინააღმდეგ სამხილად გამოიყენეს.

მამასადამე, ქალი თეატრში მუშაობდა. ზაფხული მიიწურა. შემოდგომის ერთ საღამოს თეატრში გენერალური რეპეტიცია უნდა გამართულიყო. ქალი თეატრში წავიდა და უილსონიც თან წაიყვანა. შემოდგომა იდგა და, როგორც ჩიკაგოში იცის წლის ამ დროს, აცივდა, ნესტი დადგა და ქალაქი ნისლის სქელმა ფენამ დამძიმა.

გენერალური რეპეტიცია არ გამართულა, რადგან წამყვანი მსახიობი ავად გამხდარიყო თუ რაღაც ამის მსგავსი. უილსონი და მისი გულისსწორი ერთორ საათს უქმად ისხდნენ თეატრის ცივ და ცარიელ დარბაზში, მერე კი ქალს უთხრეს, შეგიძლია შინ წახვიდე და დაიძინოო.

ქალმა და უილსონმა ფეხით გადაჭრეს ქალაქის ქუჩები და ერთ პატარა რესტორანთან შედგნენ წასახემსებ-

ლად. კაცი, როგორც სჩვეოდა, დუმდა და განზე გამდგარიყო. ეჭვი არ არის, ისეთ რაღაცებზე ფიქრობდა, რისი გამოხატვაც პოეზიის ენით განეზრახა და რის შესახებაც ვცდილობ, გიამბოთ. მიდიოდა და ვერაფერს ამჩნევდა – ვერც თავის თანამგზავრს და ვერც ქუჩაში მათკენ მომავალ თუ მათ გვერდით მოსიარულე ხალხს. ასე მიიჩნევდა წინ, ქალი კი...

ქალი, როგორც ყოველთვის მის თანდასწრებით, დუმდა და კმაყოფილი გახლდათ იმით, რომ კაცი გვერდით ჰყავდა. მამაკაცის არანაირი აზრი, არანაირი განცდა ქალის მახვილ თვალს არ გამოეპარებოდა. თვით სისხლი, კაცის სხეულში რომ ჩქეფდა, ქალის სისხლიც იყო. კაცი მუდამ ამას აგრძნობინებდა და ქალიც დუმდა, კმაყოფილი იმით, რომ მამაკაცის სული რაც უნდა შორს გაფრენილიყო და ბენელი, მაღალი კედლებიდან თუ ღრმა ნაპრალებიდან გასასვლელი ეძებნა, მისი სხეული სადღაც იქვე, გვერდით ეგულებოდა.

რკინიგზის უბანში რესტორნიდან გამოსულებმა ისე გადაჭრეს ხიდი ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, რომ, უწინდებურად, ერთი სიტყვითაც არ შეხმანებიან ერთმანეთს.

თითქმის უკვე შინ იყვნენ მისული, როდესაც ბურუსიდან, თითქოს არსაიდან, ის ჩია ტანის კაცი, სცენის მუშა, გამოტყვრა, ხელები რომ უცახცახებდა და წერილებს სწერდა; ჰოდა, ადგა და ქალს ტყვია დაახალა.

სულ ეს იყო, მეტი არაფერი. ეს იყო და ეს.

როგორც უკვე აღვნიშნე, გვერდიგვერდ მიდიოდნენ, როდესაც ქალის თვალწინ გაიელვა ზედ შუაგულ ბურუსიდან გამომტყვრალი კაცის თავმა – კაცისა, რომლის ხელმაც ტყვია დაახალა. ანაზდად პისტოლეტის გასროლის უეცარი, მკვეთრი ხმა გაისმა; მერე კი სცენის მუშის – დედაპერივით დანაოჭებულსახიანი იმ სულელი ჩია კაცის

სახე გაკრთა, რომელიც სასწრაფოდ შეტრიალდა და გაიქცა.

ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც მე აღვწერე, თუმცა ამას არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია უილსონის სულიერ განწყობაზე. ის კვლავ გზას განაგრძობდა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. ქალმა კი, რომელიც ძლივს იდგა ფეხზე, ძალ-ლონე მოიკრიბა და კვლავ მის გვერდით განაგრძო სვლა ისე, რომ კრინტიც არ დაუძრავს არაფერზე.

ასე გაიარეს, ალბათ, ორიოდ კვარტალი და მიადგნენ გარეთა კიბეს, რომელიც მათი ბინისაკენ მიემართებოდა. ამ დროს მოირბინა პოლიციელმა, რომელსაც ქალმა ცრუ ჩვენება მისცა და უაბბო, ორი მთვრალი მამაკაცი როგორ წაეკიდა ერთმანეთს, რის შემდეგაც პოლიციელმა იქაურობა დატოვა და ქალის მიერ მითითებული მიმართულებით წავიდა – ანუ იმ ადგილის საპირისპიროდ, საითაც სცენის მუშა გაიქცა.

ისინი წყვდიადსა და ბურუსს მოეცვა. ქალი მკლავზე წაეპოტინა მამაკაცს და მასთან ერთად კიბეზე აცოცდა. კაცმა კი, თუკი ამის ლოგიკურად ახსნა რამენაირად შესაძლებელია, ჯერაც არაფერი იცოდა გასროლისა და იმის შესახებ, რომ ქალი სულს ღაფავდა, თუმცალა ყველაფერი გაიგონა და დაინახა. მოგვინებით ამ ამბის საქმეში ჩახედულმა ექიმებმა განაცხადეს, რომ იოგი, კუნთი თუ რაღაც ამის მსგავსი, რომელიც გულის მოქმედებას აწესრიგებს, ტყვიას პრაქტიკულად გაეკვეთა.

მე ვიტყოდი, რომ ქალი ცოცხალ-მკვდარი იყო.

და მაინც, წყვილმა კიბეები აიარა და ოთახში შევიდა. ამას ერთობ დრამა-ტული და მშვენიერი სანახაობა მოპყვა. უპრიანი იქნებოდა, ეს სურათი სიტყვებით კი არ გადმოგვეცა, მთელი მისი ნართაულებით სცენაზე გადმოგვეტანა.

ორივენი ოთახში შევიდნენ. ერთი

მათგანი მკვდარი იყო, მაგრამ მზად არ გახლდათ, ელიარებინა სიკვდილი, სანამ რაღაც განსაკუთრებული და შევენიერი არ გაიპრეწინებდა, ანუ ერთი, მიცვალებული, ჯერაც ცოცხალი იყო და მეორე, ცოცხალი, იმწუთას მკვდარი გახლდათ იმისათვის, რაც იქ ხდებოდა.

ოთახი, რომელშიაც ისინი შევიდნენ, წყვდიადს მოეცვა, მაგრამ უტყუარი ცხოველური ალლოთი დაჯილდოებული ქალი ოთახში შევიდა და ბუხარს მიუახლოვდა, კაცი კი კარიდან ათიოდე ფუტის მანძილზე შედგა, კვლავაც მხოლოდ მისეულ, განყენებულ ფიქრს მიცემული. ბუხარი სავსე იყო მყარი ნარჩენების გროვით, სიგარეტის ნამწვით – ის ხომ გაუთავებლად ეწეოდა; სავსე იყო ქაღალდის ნაგლეჯებით, რომლებზეც რაღაცები დაეჯღაბნა, ნაგვის გორებით, როგორებიც მუდამ დახვავებულია უილსონისნაირი ყმაწვილკაცების ირგვლივ. შემოდგომის იმ პირველ, ცივ საღმოს ბუხარი ამ სწრაფად აალებადი მასალით გადატენილიყო.

ქალი ბუხრისაკენ წალასლასდა, სადლაც, ბნელში, ასანთი მოძებნა და ამ გროვას ცეცხლი წაუკიდა.

ეს, სწორედ ეს სურათი ჩამებეჭდა გონებაში სამუდამოდ! ცივი ოთახი, იქ მდგომი ეს ბრმა, თვალდავსებული კაცი და ბოლოს, მუხლმოყრილი ქალი, ბოლო წუთებში სილამაზის მსუბუქ გაელვებას რომ ელტვოდა. ცეცხლის წვრილი ენები ხტუნვა-ხტუნვით მაღლა მიისწრაფოდნენ. კედლების თავზე ათინათები დაცოცავდნენ და ბუქნაობდნენ. ქვემოთ, იატაკზე, წყვდიადის ნაპრალი ჩანდა, რომელშიაც საკუთარი მიზანსწრაფულობით დაბრმავებული კაცი იდგა.

როგორც ჩანს, დამწვარი ქაღალდის გროვამ წამით გაიელვა ოთახში, ბუხართან მდგომი ქალი კი ამ შუქს მიღმა განაპირებულიყო.

მერე კი, გაფითრებულმა, ბარბა-

ცით გაიარა ეს განათებული სივრცე, როგორც აბდლვრიალებული სცენა და ჩუმად, ნაზად მიუახლოვდა მამაკაცს. სიტყვა რა არის, სიტყვა არ დასცდენია. იქნებ რაღაც ჰქონდა სათქმელი. ამას ველარავინ გაიგებს. ისე მოხდა, რომ კრინტი არ გაუღია.

კაცისაკენ მიიწევდა და, მიუახლოვდა თუ არა, იატაკზე დაეცა და მის ფეხებთან სული დალია. იმავე ნამს ჩაიწვა და ჩაინავლა ოდნავ ცეცხლმოდებული ქაღალდი. სიკვდილამდე თუ კიდეც გაიბრძოლა იატაკზე გაშოტილმა, ისიც უჩუმრად. არსაიდან არანაირი ხმა არ ისმოდა. ძირს დაცემული მისი სხეული საყვარელ მამაკაცსა და კიბეზე გამავალ კარს შორის ეგდო.

აი, მაშინ კი უილსონმა სულ მთლად დაკარგა ადამიანის სახე – ეს უკვე მეტისმეტი იყო და ჩემთვის სრულიად შეუცნობელი.

ცეცხლი ჩამქრალიყო და ქალს, რომელიც უყვარდა, სული დაელია.

ის კი იდგა, სადლაც სიცარიელეში იყურებოდა და, ღმერთმა იცის, რაზე, ალბათ, ამ სიცარიელეზე, ფიქრობდა.

ხუთ-ათ წუთს ასე იდგა. ეს ის კაცი გახლდათ, რომელიც, ამ ქალს სანამ იპოვიდა, ეჭვებისა და პასუხებუცემელი კითხვების ღმრა მორევები ჩაძირულიყო. მასთან შეხვედრამდე არაფრის გამოხატვა არ შეეძლო. მხოლოდ აქეთიქით დაეხეტებოდა, ხალხის სახის გამომეტყველებას აკვირდებოდა და მისი ყოფით ინტერესდებოდა, ოლონდ არ იცოდა, როგორ უნდა დაახლოებოდა ადამიანებს. ქალმა შეძლო, ერთხანს ამ მორევისათვის გამოეგლიჯა და მაღლა ამოეყვანა. მასთან ერთად კაცი ზედაპირზე, ცის ქვეშ, მზის შუქზე დაცურავდა. ქალის მიერ მამაკაცისათვის სიყვარულით გაღებული თბილი სხეული იმ ნავად ეგულებოდა, რომლის წყალობითაც მორევის ზედაპირზე ტივტივებდა, ახლა კი ნავი დამსხვრეოდა და

კვლავ მორევის ფსკერისაკენ მიექანებოდა.

ეს ყველაფერი მის თავს დატრიალებულიყო, მან კი ამის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ერთდროულად კიდეც იცოდა და არც იცოდა.

ის ხომ პოეტი იყო, ჰოდა, იმ წუთში მის გონიერაში, ალბათ, ახალი ლექსი იბადებოდა.

როგორც უკვე გითხარით, ერთხანს ასე იდგა, მერე კი, ალბათ, იგრძნო, რომ რაღაც უნდა ელონა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, თავი დაეხსნა მოახლოებული უბედურებისაგან.

თავდაპირველად სურვილი აღეძრა, კარისაკენ წასულიყო, კიბეზე დაშვებულიყო და ქუჩას გაჰყოლოდა, მაგრამ მასა და კარს შორის დაგდებული ქალის ცხედარი ხელს უშლიდა.

და აი, ისეთი რამ ჩაიდინა, რაც მოგვიანებით, მისივე ნაამბობიდან გამომდინარე, სხვათა მიერ რაღაც საშინელ ბოროტებად აღიქმებოდა: ქალის ცხედარს ისე მოექცა, თითქოს სადღაც, ტყის უკუნეთში წაქცეული ხე ყოფილიყოს. ჯერ სცადა, ფეხი წაეკრა და თავიდან მოეშორებინა, მერე კი, რაკი ეს ვერ შეძლო, ტლანქად გადააბიჯა, თანაც, ზედ ქალის მელავს დააბიჯა ფეხი. მოგვიანებით ცხედარზე მისი ფეხსაცმლის ქუსლის დანატოვარი ფერშეცვლილი ლაქა აღმოაჩინეს.

კინაღამ დაეცა, მაგრამ მერე წელში გასწორდა და გარეთ გავიდა, მორყეულ კიბეზე დაეჭვა და ქუჩას შეუყვა.

ამასობაში ღამეული ცა მოიწმინდა, აცივდა და ცივმა ქარმა ბურუსი გაფანტა. უილსონმა, სრულიად გულგრილად, რამდენიმე კვარტალი ჩაიარა. ისე არხეინად მისეირნობდა, როგორც შენ გაისეირნებდი, მეოთხველო, მეგობართან ერთად წახემსების შემდეგ.

მართლაც, მაღაზიასთანაც კი შეჩერდა რაღაცის საყიდლად. დამამახსოვრდა ამ მაღაზიის სახელი – „შოლ-

ტი“. შიგნით შევიდა, სიგარეტების შეკვრა იყიდა, მოუკიდა და წუთით შეყოვნდა, თითქოს ყურს უგდებდა იქ შეხეტებული მუქთახორების ლაყაფს.

მერე ისევ სეირნობას შეუდგა, თან სიგარეტს ეწეოდა და, ნყალი არ გაუვა, თავის ლექსზე ფიქრობდა. შემდეგ კი კინოთეატრში შევიდა.

ეგებ სწორედ ამან გამოაფხიზლა. თავადაც ხომ ადამისდროინდელი ფიქრებით, დაუწერელი ლექსების ნაწყვეტებითა და, ღმერთმა იცის, კიდევ რაჯურის ხარაურით გადატენილი ძველი ბუხარი იყო! ადრე საღამოობით ხშირად შეივლიდა ხოლმე თეატრში, სადაც ქალი მსახურობდა, რათა შინ მასთან ერთად დაბრუნებულიყო. ახლა კი ხალხი მის თვალწინ გამოდიოდა პატარა კინოთეატრიდან, სადაც ის-ის იყო ეჩვენებინათ ფილმი „სამყაროს შუქი“.

უილსონი ბრბოს შეერია და მასში ჩაიკარგა, თან სიგარეტს ეწეოდა, მერე ქუდი მოიხადა, იქაურობას წამით აფორიაქებული მზერა მოავლო და უცებყვირილი მორთო.

იდგა, ყვიროდა და ცდილობდა, ყველას გასაგონად ეთქვა, რა მოხდა. იმწუთას იმ გაუბედავი კაცის გამომეტყველება ჰქონდა, რომელიც სულ ახლახან ნანახი სიზმრის გახსენებას ცდილობს. ეს სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა, მერე კი ტროტუარი ჩაირბინა, ისევ შეჩერდა და კვლავ თავის ნაამბობს დაუბრუნდა და აი, ასე, უეცარი გაქცევა-გამოქცევით, კიდევ ერთხელ მიაღწია სახლამდე. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ბრბოთი გარემოცული, მონჯლრეული კიბით ზედა სართულზე აიჭრა და იმ ოთახში შევიდა, სადაც მოკლული ქალის ცხედარი ეგდო. პოლიციელი მარტო ამის შემდეგ მოვიდა და დაპატიმრა.

თავიდან აღგზნებული ჩანდა, მაგრამ მერე დაშოშმინდა და, როდესაც სასამართლო პროცესზე ვექილმა მისი შეურაცხადობის საკითხის წამოქრა

სცადა, გაეცინა კიდეც.

როგორც უკვე აღვნიშნე, სასამართლო პროცესზე მისმა ქცევამ ყველანი შეგვაცბუნა; მას, როგორც ჩანდა, ოდნავაც არ ანაღვლებდა არც თავად მკვლელობა და არც საკუთარი ხვედრი. იმ კაცის აღიარება რომ მოისმინა, რომელმაც მის საყვარელ ქალს ტყვია დაახალა, თითქოს არანაირი გულისწრომა არ გამოუმუდრავნებია. რაღაც უცნაურ წადილს შეეპყრო, რასაც არაფერი აკავშირებდა მომხდართან.

საქმე ისაა, რომ სანამ ამ ქალს შეხვდებოდა, მთელ დუნიაზე დაეხეტებოდა და თავს სულ უფრო და უფრო ღრმად იმარხავდა უძირო ნაპრალებში, რომლებზეც თავის პოეზიაში ლაპარაკობდა და, იმავდროულად, მაღალ-მაღალ კედელს აგებდა თავის თავსა და სხვა ყველას – ისევე, როგორც ჩვენ – შორის.

იცოდა, რას აკეთებდა, მაგრამ ვერ ჩერდებოდა. სწორედ ამაზე ლაპარაკობდა, როდესაც მის ირგვლივ მყოფ ხალხს ევედრებოდა, მომისმინეთ. ერთხანს ეჭვის მორევს თავი დააღნია და ქალის ხელს ჩაეჭიდა. მასთან ხელჩაჭიდებული, ერთხანს ცხოვრების ზედაპირზე ტივტივებდა, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ კვლავ ფსკერისაკენ მიექანებოდა.

ის, რომ გაუთავებლად ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, ქუჩაში ხალხს

აჩერებდა და ესაუბრებოდა, სხვის სახლებში შედიოდა და მათაც ესაუბრებოდა, ალბათ, სხვა არაფერი იყო, თუ არა ძალისხმევა, რომელსაც მერე და მერე ხშირად მოუხმობდა ხოლმე, რათა სამუდამოდ მორევში არ დანთქმულიყო. გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს იყო ბრძოლა წყალწილებული კაცისა.

ავად თუ კარგად, გიამბეთ ამ კაცის ამბავი. იძულებული ვიყავი, მეცადა და მეამბნა. იყო მასში რაღაცნაირი ძალისილება, რომელიც ჩემზეც ისევე ზემოქმედებდა, როგორც კანზასელ ქალსა და ყველასათვის უცნობ იმ კუზიან გოგონაზე, მტკრიან იატაკზე რომ იჩოქებდა და კარის ჭუჭრუტანიდან უჭვრეტდა.

ქალის გარდაცვალების შემდეგ ძალისხმევა არ დაგვიკლია უილსონის გვარის კაცის ეჭვისა და უტყვობის მორევიდან ამოსათრევად, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ჩვენ თვალწინ სულ უფრო ღრმად ეშვება ფსკერზე, საშველი კი არა და არ ჩანს.

ეგებ თავი იმიტომ ვაიძულე, ეს ამბავი მეამბნა, რომ იმედი მქონდა, მისი ქალალდზე ამეტყველებით თავად გავერკვეოდი მომხდარში. ნუთუ შეუძლებელია, რომ, გარკვეულობის კვალდაკვალ, ძალა მოვიკრიბო მორევის ფსკერისაკენ ხელის გასაწვდენად უილსონის გვარის კაცის კვლავ ზედაპირზე ამოსატივტივებლად?!

ინგლისურიდან თარგმნა

რუსულან მახათაძემ